ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 თებერვალი **შაბათი** 2013
№038 (13 954) ფასი 80 თეთრი

ლელოს სტუმარი

[illegible]



11

## უკვე ოფიციალურად

# დვალიშვილი ლეგიაში

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ლადო დვალიშვილი ოფიციალურად გახდა პოლონეთის ჩემპიონატის ლიდერ ვარშავის „ლეგიას“ წევრი.
პოლონურ კლუბთან ორწლინახევრიანი კონტრაქტი გუშინ გაფორმდა.
ლადო ახალ კლუბში 13-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.






ლადო დვალიშვილი კონტრაქტზე ხელმოწერისას

# შერმადინმა რუსეთში არც ბურთი დათმო და არც მოგება



გიორგი შერმადინი (ბურთით) ხიმკისთან მატჩში

ევროლიგაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა“ და **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ“. პირველმა სტუმრად რუსული „ხიმკი“ 87:82 დაამარცხა, ხოლო ვიქტორის გუნდმა შინ ესპანეთის „კახა ლაბორალს“ სძლია - 85:74.

განსაკუთრებით საინტერესო სანახავი „ხიმკი“-“ოლიმპიაკოსი“ გამოდგა, რომლის მესამე პერიოდში რუსები 12 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ ბერძენთა მწვრთნელმა აქცენტი პერიმეტრზე გადაიტანა, მისმა შეგირდებმა მეოთხე პერიოდში 6-დან 5 სამქულიანი ჩააგდეს და თამაშიც შემოატრიალეს.

შერმადინმა მწვრთნელის ტაქტიკური შეხედულებების გამო (ბოლო პერიოდში ტანდაბალ ხუთეულს დაეყრდნო) მხოლოდ 11 წუთი ითამაშა, შედეგად კი 4 ქულა და თითო მოხსნა-დაფარება მიითვალა.

სანიკიძემ მოედანზე უფრო ნაკლები, 6 წუთი გაატარა და თავი მხოლოდ ერთი მოხსნით დაგვამახსოვრა.

გთავაზობთ ჯგუფის კალენდარს. შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში 4 საუკეთესო გავა, ხოლო ამ ეტაპის დასრულებამდე 7 ტურია დარჩენილი და დასკვნები თავად გამოიტანეთ.

ვაჟა სიმონიშვილი

| გუნდი | მოგ-წაგ |
|---|---|
| 1. ბარსელონა (ესპ) | 6-1 |
| 2. მონტეპასკი (იტ) | 6-1 |
| 3. ხიმკი (რუს) | 4-3 |
| 4. კახა ლაბორალი (ესპ) | 4-3 |
| 5. ოლიმპიაკოსი (საბ) | 4-3 |
| 6. მაქაბი (ისრ) | 2-5 |
| 7. ფენერბაჰჩე (თურ) | 2-5 |
| 8. ბეშიქთაში (თურ) | 0-7 |

# ოლიმპიური ჩემპიონი ერთ კვირაში დაბრუნდება

ნაოპერაციევი ლაშა შავდათუაშვილი პირველად დიუსელდორფში იჭიდავებს

ლომერ ჟორჟოლიანი კარიერას აგრძელებს?

10



ლაშა შავდათუაშვილი მოგებით ისევ გაიხარებს



რობერტო მანჩინი

# მანჩინის ბოლო შანსი?

ინგლისის ასოციაციის თასზე ლიდსთან ვერმოგება იტალიელ სპეციალისტს, შესაძლოა, პოსტის დატოვებად დაუჯდეს

ევროთქმეების წინათქმა

5-9



როჯერ ფედერერი

# სენსაცია როტერდამში

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა როტერდამში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე. ამ შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებული, შვეიცარიელი როჯერ ფედერერი მეოთხედფინალში განუთესავ ფრანგ ჟულიენ ბენეტოსთან ორ სეტში 3:6, 5:7 დამარცხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუთვისებელი რესურსი

# რატომ არ შენდება ზღვისპირეთში სპორტული კომპლექსები?

ახლა მოსამზადებელი ეტაპი მთავარი ქართული საფეხბურთო თემაა. სწორედ ამიტომ დაგვაინტერესა უკრაინულ სპორტულ ვებ-ვებგვერდზე გავრცელებულმა ინფორმაციამ: თურქეთში 30-კაციანი ჯგუფის ორკვირიანი შეკრება მინიმუმ 20 ათასი ევრო ჯდება, კვიპროსში – 25-დან 40-მდე, ესპანეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში – 50 ათასი.

ორი აზრი არ არის, კვერცხებისა და "შლოპანცის" "ქანდაკების" დაფინანსებაზე სასურველი და რაც მთავარია, ქვეყნის ბიუჯეტისთვის სასარგებლო სპორტული-საკურორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა იქნებოდა. სამწუხაროდ, საფეხბურთო ბიზნესის ამ სეგმენტით საქართველოში დღემდე კერძო სექტორიც არ ინტერესდება. შედეგად, ჩვენს ზღვისპირა ზოლში სპორტული კლუბების მომზადებაზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურა არ გვაქვს.

მოთხოვნა კი უდავოდ არსებობს, რადგან პოსტსაბჭოეთში ჩვენზე უკეთესი კლიმატის მქონე ზღვისპირა ქვეყანა არ არსებობს. მაგრამ ამ მშვენიერ შანსს საქართველო დღემდე ვერ იყენებს. სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისთვის თითი თითზე არავის დაუდია. ცხადია, ხმელთაშუა ზღვაზე მდებარე ცნობილ საკურორტო ცენტრებში უფრო თბილი და მშრალი კლიმატია და მათ ვერასოდეს შევეჯიბრებით. მდიდარი გუნდები კვლავ თურქეთში, კვიპროსში, ესპანეთსა და საამიროებში მოემზადებიან, მაგრამ აქ ლაპარაკია მეორეხარისხოვანი კლუბების ფინანსების ათვისებაზე. ისინიც ემზადებიან, ოღონდ ახლომდებარე ტერიტორიებზე, მგზავრობის თანხები რომ დაზოგონ და ეს არის ჩვენი შანსი.

ჩვენგან განსხვავებით, 4 წლის წინ ამაზე სოხუმში დაფიქრდნენ. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ახრიკ ცვეიბამ** ლესელიძის ბაზების მოდერნიზაცია და ამით შემოსავლების გაზრდა მოახერხა. იდეა რუსებისგან მოდიოდა, რადგან საბჭოთა პერიოდში ლესელიძის საწვრთნელი ბაზით ბევრი კლუბი სარგებლობდა, მათ შორის, თბილისის "დინამოც". შეკრებების დროს საინტერესო ტურნირებიც იმართებოდა. სწორედ გრანდების ვარჯიშების, მათი სპარინგების ცქერითა და ცნობილი მოთამაშეების მიბაძვით იზრდებოდნენ აფხაზეთის სანაპიროზე ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები.



ასეთ სტადიონს ვინ ჩივის...

ახლა მსგავსი ცენტრები აღარ არსებობს. რუსეთის სანაპიროზე კლიმატი უვარგისია, უკრაინაში ნორმალური პირობებია, მაგრამ დღეისათვის ხმელთაშუაზღვისპირელთა დარი მოსამზადებელი ცენტრები მაინც არ აქვთ.

ისიც სათქმელია, რომ აფხაზეთის დარი შედარებით მშრალი კლიმატი საქართველოს სხვა კუთხეში არ არის, მაგრამ ურეკს, გრიგოლეთსა და ანაკლიას გარკვეული პერსპექტივები გააჩნიათ. ჩვენი ზღვისპირეთი კი უპერსპექტივო რომ იყოს, სომხები არ დაინტერესდებოდნენ.

კონკრეტულ მაგალითს გეტყვით. ოთხი წლის წინათ ერევნის "არარატის" თავკაცმა ურეკის ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონეს აქციათა 51 პროცენტის გაყიდვა შესთავაზა. ის სწორედ ამ ჩვენი გამოუყენებელი რესურსის ათვისებაზე ფიქრობდა, ინფრასტრუქტურას მოვაწყობ, აქაურობას წალკოტად ვაქცევ, გუნდებსაც ჩამოვიყვან და მშვენიერი სპორტული ცენტრი გამოვაო.

სასტუმროს მეპატრონე ვალებში იყო ჩაფლული და უარის თქმა ძალიან გაუჭირდა, მაგრამ აქციები მაინც არ დათმო. მაგრამ მეორე და მესამე სასტუმროს მეპატრონეს იმავეს ვერ მოვთხოვთ. საკითხი კი ასე დგას: შემოსავლის ამ წყაროს ვერ ვიყენებთ.

წლეულს ერთგვარი რეკორდი დაფიქსირდა: თურქეთში მოსამზადებლად უმაღლესი ლიგის ერთდროულად 9 და პირველი ლიგის 4 კლუბი გაემგზავრა. მარტივი არითმეტიკაა: თურქეთში გუნდის მომზადება, მოედნებისა და ადგილზე ტრანსპორტის დაქირავება მინიმუმ 20 ათასი ევრო ჯდება. მაგრამ იყოს 15 ათასი: უკრაინელები 4-5-ვარსკვლავიან სასტუმროებში შედიან, ზოგიერთი ქართული კლუბი კი 3-ვარსკვლავიანსაც სიამოვნებით თანხმდება და შესაბამისად, შედარებით ნაკლებ თანხას იხდის. ამას დავამატოთ თვითმფრინავით მგზავრობის (მინიმუმ) 6-7 ათასი ევრო. ანუ მინიმალური გათვლებით, უცხოური შეკრება კლუბს 21 ათასი ევრო უჯდება.

გამოდის, 13-მა ქართულმა გუნდმა ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე მინიმუმ 273 ათასი ევრო დახარჯა. ცხადია, გუნდები ზაფხულშიც ემზადებიან და გამოდის, რომ ყოველწლიურად ნახევარ მილიონამდე ევრო უცხოეთში გადის.

აბსურდული იქნებოდა იმის თქმა, საქართველოს ზღვისპირეთში საუკეთესო ინფრასტრუქტურა რომ იყოს, 13-ივე გუნდი აქ მოემზადებოდა. მაგრამ ჩვენთან ხშირად ჩამოდიან სომხეთისა და აზერბაიჯანის კლუბები. უკეთესი პირობებით სხვებიც დაინტერესდებიან, ღარიბი ქართული გუნდები და სხვა სახეობები კი ისედაც ადგილზე ემზადებიან.

ეს იმ დროს, როდესაც ამ რეგიონების მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციას პოსტსაბჭოეთში ძველებურად ველარ ასაღებს, საკურორტო სეზონიც მაქსიმუმ 2,5 თვე გრძელდება და შემოსავალი მკვეთრად შეუმცირდა. მათ ჯერ სხვა ბიზნესი ვერ აითვისეს. ზღვისპირეთში სპორტული კლუბების ჩასვლით კი ამ პერიოდის 6 თვემდე გახანგრძლივება და მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა შესაძლებელი უნდა იყოს.

ამდენად, ეს მხოლოდ სპორტული მნიშვნელობის საკითხი არ არის და ასეთი პროექტების განხორციელება სახელმწიფოს ინტერესებში უნდა იყოს. არ დაგვავიწყდეს, თურქები სპორტული-საკურორტო ბიზნესით ღარიბი რეგიონების განვითარების მიზნით დაინტერესდნენ: სასტუმროებს წყლის გადასახადი მოუხსნეს და მათი მეპატრონეები მიხვდნენ, რომ მოედნების მოწყობა მომგებიანი იქნებოდა. ასე სეზონი მნიშვნელოვნად გაახანგრძლივეს და დღეისათვის თურქულ სანაპიროებზე მოსამზადებლად მთელი მსოფლიოდან დადიან. თურქებმა ააშენეს არა უბრალოდ მოედნები, ის ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემოსავლის, დასაქმებისა და განვითარების წყაროდ აქციეს. ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესიც სწორედ ეს უნდა იყოს და მას ფეხბურთი ლოგიკურად მიებმება.

სხვათა შორის, თავის დროზე ეს საკითხი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს განსახილველად პროფლიგის იმდროინდელმა პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა** შესთავაზა, მაგრამ რად გინდა...

**მერაბ მამულაშვილი**

მოსაზრება

# რატომ წაართვეს ფეხბურთს სტადიონები?

## ესპანური საფეხბურთო აკადემია საქართველოში?



**გოდერძი ჩიხრაძე** "გაგრას" ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტია. მან "ლელოს" საინტერესო ჩანაფიქრი გაუმხილა.

*"ნებისმიერი ქართული კლუბის ამოცანა საქართველოს ნაკრებების სამსახური უნდა იყოს. 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების მწვრთნელებს რომ ვუყურებ, მეცოდებიან, ნაცვლად იმისა, რომ მთელი დრო გუნდის შეთამაშებასა და ახალ-ახალი ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებაზე დახარჯონ, ადრეც და ახლაც ბევრჯერ მინახავს, ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელები ფეხბურთელებს სწორ სირბილს, ბურთის გაჩერებას და მსგავს ელემენტარულ რაღაცებს რომ ასწავლიან, რაც მათ ბავშვობაში უნდა აეთვისებინათ. ბავშვთა ფეხბურთში რომ უამრავი პრობლემაა, ეს ყველას მოეხსენება.*

*ამ კუთხით, ერთი საინტერესო ამბავი უნდა გითხრათ. დიდი ხანია, ესპანეთში ქართველი ახალგაზრდა, თორნიკე მაისურაძე ცხოვრობს. ის ამ ქვეყნის მოქალაქეა და სევილიას "ოლიმპიკის" საფეხბურთო სკოლაში 17-წლამდელების გუნდში მუშაობს. ამავე დროს, ადგილობრივი რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის თანამშრომელია. მისგან შევიტყვეთ, რომ ბარსელონის საფეხბურთო აკადემიას მთელს მსოფლიოში საფეხბურთო აკადემიების ქსელი აქვს - ევროპაში, აფრიკაში, აზიაში და ახლა მის კიდევ უფრო გაფართოებას გეგმავენ. მაისურაძისგან შევიტყვე, რომ სავსებით შესაძლებელია, ამ სისტემაში საქართველოც ჩაერთოს. ჩვენთან ბევრი ნიჭიერი ბავშვია და ამას გარდა, საქართველო კავკასიის ცენტრია – ძირითადი ბირთვი ქართველები იქნებიან, მაგრამ შესაძლებელია, საინტერესო ბავშვები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან ჩამოვიდნენ. ასეთია კატალონიელთა გათვლა. საფეხბურთო სკოლების სისტემაში ჩართულ მხარეს ბარსელონელები დაეხმარებიან სპეციალისტების მომზადებაში, გუნდების შეკრებებისა და ტურნირების ორგანიზებაში.*

*მოკლედ, ძალიან კარგი პროექტია და როდესაც შესაძლოა, პარტნიორობაზე დაიწყო ლაპარაკი, "საბურთალოსთან" თანამშრომლობა დაუფიქრებლად შევთავაზე. მიმაჩნია, რომ ის ყველაზე პერსპექტიული სკოლაა. ბოლო წლებში საკმაოდ გაძლიერდა და უახლოეს მომავალში, მისი ხელმძღვანელობა გაფართოებასა და ახალი სტადიონების შემატებას აპირებს. მიმაჩნია, რომ კატალონიელები თავადაც დაინტერესდებიან სკოლით, რომელმაც ბოლო წლებში საკმაოდ ბევრი ნიჭიერი ბავშვი გაზარდა, სადაც კვალიფიციური სპეციალისტები ჰყავთ და სწორი მიმართულებით მიდიან. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ამ სკოლაში ბავშვებთან მუშაობენ უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებში ნამუშევარი ცნობილი მწვრთნელები – თემურ შალამბერიძე, გია ჭიაბრიშვილი, დავით კევლიშვილი. წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა, მაგრამ ასე მგონია, ამ საქმეს კარგი გაგრძელება ექნება" – ამბობს ჩიხრაძე.*

*"გაგრას" ვიცე-პრეზიდენტი ფეხბურთისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების შეცვლის აუცილებლობაზეც გველაპარაკა: "სამწუხაროდ, ბოლო 20 წელია, სახელმწიფომ საფეხბურთო სკოლების პატრონობაზე, ფაქტობრივად, ხელები დაიბანა. ბევრი სტადიონი და საფეხბურთო სკოლა გაიყიდა ან რაგბის გადაეცა: "სინათლე", "შევარდენი", სტუდქალაქისა და ვარკეთილის მეურნეობის სტადიონები, "ლოკომოტივის" ბაზა, აღარ არსებობს ძველი 35-ე სკოლა, რომლის ტერიტორიაზეც ახლა ბაზარია, ავლაბრის სტადიონზე სახლი ააშენეს, ფეხბურთი ვერც დიდ დიღომში ფეხბურთისთვის გადაცემული ტერიტორიით სარგებლობს, რადგან ისიც სხვას გადაეცა და ამხელა უბანი სკოლის გარეშე დარჩა... ჯერ ისედაც ცოტა სტადიონი გვქონდა და ახლა მათი რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა. ახლები თუ არ ავაშენეთ, ფეხბურთს არაფერი ეშველება. რაგბის ნაკრები ჩვენი ქვეყნის სიამაყეა, მაგრამ მათთვის სიკეთე თუ უნდოდათ, ახალი სტადიონები აეშენებინათ, ფეხბურთისთვის კი მისი კუთვნილი დაეტოვებინათ, ეს იქნებოდა კარგი საქმე და არა ის, რაც გააკეთეს და ეს ორი სახეობა ლამის ერთმანეთს რომ გადაჰკიდეს. წლების წინ, თბილისის "ლოკომოტივში" სპორტის დღევანდელ მინისტრთან, ლევან ყიფიანთან ერთად ვმუშაობდი და ამ საკითხების მიმართ მისი დამოკიდებულება კარგად ვიცი. მჯერა, ლევანი მდგომარეობის შეცვლას აუცილებლად შეეცდება".*

**მერაბ მამულაშვილი**

სპარტაკი

# გამარჯვება ალექსანდრიასთან

თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა ცხინვალის "სპარტაკმა" ანთალიაში მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. ავსტრიულ „ბლაუ ვაისთან" და ჩინურ "ჰანჯოუ გრინთაუნთან" ჩატარებული საკონტროლო თამაშების შემდეგ, **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი უკრაინული პრემიერლიგიდან პერშა (რიგით მეორე) ლიგაში დაქვეითებულ "ალექსანდრიას" გაეჯიბრა. ცნობისთვის, „ალექსანდრია", საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველის, **დავით თარგამაძის** ყოფილი გუნდია.

როგორც "სპარტაკის" პრესსამსახურმა გვაცნობა, გუნდმა თამაშით დაჯაბნა ალექსანდრიელები და თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა. მე-20 წუთზე **ვარლამ კილასონიამ** გახსნა ანგარიში, შესვენების შემდეგ კი გუნდის კაპიტანმა **თეიმურაზ შონიამ** ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა. იმავე კილასონიასა და შონიას დუბლის მითვლაც შეეძლოთ, გოლის გატანის კარგი შანსი ჰქონდათ **ზვიად მეტრეველსა** და **თორნიკე თუხარელს**, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

ცხინვალელებმა "ალექსანდრიას" წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ნადირაძე, ჭაფოძე, ქურდაძე, თვალვაძე, ლემონჯავა, თუხარელი, ხიზანეიშვილი, შონია, კილასონია, ბურძენაძე, მეტრეველი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ზუხბაია, დარჩიევი, კაკაშვილი, ხადარცევი, მაქაცარია, ხარაზიშვილი, ნარიმანიძე, კაბისოვი, ხუბეჟოვი, მაქაცარია.**

ანთალიურ შეკრებაზე "სპარტაკი" დასკვნით ამხანაგურ მატჩს კვირას, 17 თებერვალს, ბულგარეთის მთავარ ლიგაში მოასპარეზე "მონტანასთან" გამართავს, რის შემდეგაც გუნდი საქართველოში დაბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერანი

# ორი სპარინგი და მეგრელაძე ჩვეულ ამპლუაში



გიორგი მეგრელაძე

მარტვილის "მერანმა" ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე მორიგი საკონტროლო მატჩები გამართა. **მალხაზ ჟვანიას** გუნდმა პირველი ლიგის ბინადარ ლანჩხუთის "გურიას" 2:1 სძლია, ხოლო საქართველოში შეკრებაზე მყოფ ერევნის "არარატთან" ფრედ, 2:2 ითამაშა.

დავიწყოთ "გურიასთან" მატჩით – "მერანი" მე-10 წუთზე **ლაშა კუჭუხიძემ** დააწინაურა, ლანჩხუთელებმა წონასწორობა 35-ე წუთზე აღადგინეს, მე-60-ზე კი გამარჯვების გოლი **გიორგი მეგრელაძემ** გაიტანა.

"მერანის" სასტარტო შემადგენლობა ამ შეხვედრაში ასეთი იყო: **შეროზია – მელიავა, იობაშვილი, ქარქუზაშვილი, ხუბუა – ბუკია, დიდავა – ს. ლომია, კუჭუხიძე, ფონიავა – კრისი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბერია, გეგეჭკორი, ლ. ღონღაძე, მონიავა, გეგია, გუგუნაიშვილი, ლურსმანაშვილი, შარვაძე, შულაია, ტორონჯაძე, მეგრელაძე.**

ამის შემდეგ "მერანი" "არარატს" გაეჯიბრა. სომხებმა პირველი ტაიმი ორბურთიანი უპირატესობით მოიგეს, შესვენების შემდეგ კი თავი კვლავ ვეტერანმა გიორგი მეგრელაძემ გამოიჩინა, რომელმაც დუბლით მარტვილელებს ფრე მოუტანა.

"მერანის" ძირითადი შემადგენლობა "არარატთან": **შეროზია – გეგეჭკორი, ლ. ღონღაძე, ქარქუზაშვილი, ხუბუა – დიდავა, ბუკია – ს. ლომია, კუჭუხიძე, ტორონჯაძე – კრისი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბერია, მელიავა, ჯლამაია, ლურსმანაშვილი, გეგია, ფონიავა, გაბისონია, შარვაძე, გუგუნაიშვილი, წულაია, მეგრელაძე.**

დღეს "მერანი", რომელიც შეკრებაზე ურეკში იმყოფება, ფოთის "კოლხეთს" გაეჯიბრება, მომდევნო სპარინგს კი ჟვანიას გუნდი 19 თებერვალს გამართავს. შარშანდელისგან განსხვავებით, როცა დიდთოვლობამ საქართველოს შავიზღვისპირეთში მყოფ გუნდებს შეკრება, ფაქტობრივად, ჩაუშალა, წლეულს მზადება დაბრკოლებების გარეშე მიმდინარეობს.

რაც შეეხება ახალწვეულებს – ერთწლიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთის თამაში განაახლა **გიორგი მეგრელაძემ**, რომელიც ოპტიმალური ფორმისგან ჯერ შორს არის, მაგრამ როგორც ხედავთ, ამის მიუხედავად, საგოლე ალღოს კვლავ ავლენს; მერანელი გახდა ნიგერიელი ფორვარდი **კრისი**, რომელიც ბოლოს თურქულ კლუბებში ასპარეზობდა; "მერანს" დაუბრუნდა ცენტრალური მცველი **ვალერი იობაშვილი**; **გელა ხუბუა** "მერანმა" ბოლნისის "სიონიდან", ხოლო **ბერდია შარვაძე** "ზესტაფონიდან" გადაიბირა.

შეგახსენებთ, "მერანი" ჩემპიონატის ქვედა ექვსეულში გააგრძელებს ასპარეზობას, სადაც კომფორტული სატურნირო მდგომარეობა აქვს და პირველ ლიგაში დაქვეითება ნაკლებად ემუქრება, თასის გათამაშებას კი მარტვილელები მეთექვსმეტედფინალიდან გამოეთიშნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზენდელას თასი

## მესამე ნახევარფინალისტი ქართლია

**ზაზა ზენდელიანის** სახელობის XXII ტურნირზე კიდევ ერთი ნახევარფინალისტი გამოვლინდა: გუშინ გორის ახალ სტადიონზე "ქართლმა" თბილისის "იუსი ბესტს" უმასპინძლა.

შეხვედრა დაძაბულად მიმდინარეობდა და გამარჯვებული მხოლოდ მატჩის მიწურულს გამოვლინდა: 85-ე წუთზე "ქართლის" ნახევარმცველმა **ნოდარ ნოზაძემ** მეტოქის კარი აილო და გორელებმა 1:0 გაიმარჯვეს.

ამგვარად, ცნობილია "ზენდელას თასის" სამი ნახევარფინალისტი – "ქართლი" თბილისის "დინამო 2"-ს დაუპირისპირდება, „ვიტ ჯორჯია" კი „ტორპედო 2"-სა და ცხინვალის „სპარტაკი 2"-ს შორის გამარჯვებულს. ეს შეხვედრა დღეს, 16 თებერვალს ქუთაისელთა საწვრთნელ ბაზაზე გაიმართება.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

## თარხნიშვილი ვენტსპილსელია



**თორნიკე თარხნიშვილი** ლატვიური "ვენტსპილსის" ფეხბურთელია. 22 წლის ქართველმა ნახევარმცველმა ახალ კლუბთან 2+1 სისტემით კონტრაქტი გააფორმა და მას თურქულ შეკრებაზე გაჰყვა.

თარხნიშვილი, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არაერთი მატჩი აქვს ჩატარებული, თბილისის "დინამოს" საკუთრება იყო, თუმცა დედაქალაქელთა მაისურით ოფიციალური შეხვედრა არ გაუმართავს. იგი იჯარით ბოლნისის "სიონში" ასპარეზობდა, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ეტაპზე 15 მატჩი ჩაატარა.

რაც შეეხება "ვენტსპილსს", თარხნიშვილის ახალმა კლუბმა ლატვიის 2012 წლის ჩემპიონატი მესამე საპრიზო ადგილზე ჩაამთავრა და ევროპის ლიგაზე იასპარეზებს. ლატვიის ახალი ჩემპიონატი 29 მარტს იწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N 2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

## ბრძოლა თურქეთიდან



ლევან კობიაშვილი

ქართულ გუნდებს მოსამზადებელი პერიოდი უმთავრდებათ, სეზონიც მალე განახლდება სათასო მატჩებით, მარტიდან კი ჩემპიონატიც გახურდება.

და ვინ ხურდება ყველაზე კარგად სეზონის მეორე ეტაპისთვის? „დინამო თბილისმა" ორი უცხოური შეკრება მოილია, უკრაინულ „ზარიასთან" 0:4 წაგებაც მოასწრო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს - თეთრი და შავი ყველაზე კარგად არეულ მარტში გამოჩნდება.

„დინამომ" სასელექციო ფრონტზე იაქტიურა, არაერთ ლეგიონერს დაადგა თვალი. ამ საქმეში „დინამოს" არც გორის „დილა" ჩამორჩა, ბალტიისპირელი მეკარე **კასპარას იკსტენსი** შეიგულა და არც კამერუნელ შუახაზელ **რობერტ ლობეზე** ამბობს უარს. სახელგანთქმული მენეჯერი **მამუკა ჯულელი** რუსეთში კი დაბრუნდა, მაგრამ ამბობენ, ჯულელის სული ისევ ტრიალებს „დილაში", ამ მენჯერს ისევ უთანხმებენ რაღაც-რაღაცებსო. ჯულელი საჭირო კაცია, ეს ყველას ესმის გორის „დილაში". კარგია, რომ ამ კლუბს ისევ აქვს დაფინანსება, **ვალდას ივანაუსკასის** ხელში რა თარგზე იქნება მოჭრილი, ამასაც მალე ვნახავთ. მოლოდინი სალერღელის ასაშლელად დიდებული საშუალებაა.

ზედა ექვსეულიდან ხუთმა გუნდმა მოახერხა უცხოურ შეკრებაზე წასვლა. ლეგიონერულ ფრონტზე „ზესტაფონმაც" იაქტიურა. სასიამოვნოა, ქართული კლუბები კარგად დაქოქილ მექანიზმს რომ ემსგავსებიან. ხინჯად „ზუგდიდის" ამბავი გვრჩება, ამ გუნდს ამბიციურობა არ ეტყობა, თუმცა ვინ იცის, იქნებ არც „ზუგდიდი" გამოდგეს ბალასტი ზედა ექვსეულისთვის.

ქვედა ექვსეულშიც შეინიშნება მოძრაობა. ექვსიდან სამმა გუნდმა მოახერხა თურქულ შეკრებაზე წასვლა. ჯამში უმაღლესი ლიგის ცხრა ქართული კლუბი შესწვდა უცხოური შეკრების მოწყობას, რაც უკვე კარგი ტენდენციაა. პირველლიგელი „ლოკომოტივიც" კი წავიდა თურქეთში მოსამზადებლად. ფეხბურთელებს ჰაერის, გარემოს შეცვლა სჭირდებათ, მწვრთნელისთვისაც სასარგებლოა თვალსაწიერის გაფართოება, ძლიერ უცხოურ გუნდებთან თამაში. ერთი სიტყვით, საქართველოდან გასვლა და მომზადება ჩინებული რამეა.

გავიგეთ, ქართული გუნდების წარმომადგენლები თურქეთში ერთმანეთის თამაშებზეც კი დადიოდნენ ამ მოსამზადებელ პერიოდში, ერთი ქართული გუნდი მეორეს დასაზვერად რომ მიდიოდა, ვიდეოოპერატორიც თან მიჰყავდაო. მოკლედ, გადამწყვეტი ბრძოლა თურქეთიდან დაიწყო.

ფეხბურთის ფედერაცია მალე უმაღლესი ლიგის თორმეტივე კლუბს დაურიგებს wyscot.com - ის კოდს. მისარგებლია ამ ვებგვერდით და მინდა გითხრათ, ეს ისეთი რამეა, რომ თუ ფეხბურთი გიყვარს, ვერ მოსცილდები, კიდევ უფრო ჩამთრევია, ვიდრე რაგინდარა სოციალური ქსელი.

■ ■ ■

**ლევან კობიაშვილმა** დისკვალიფიკაცია მოიხადა და უკვე ითამაშა მეორე ბუნდესლიგაში. ინტერნეტპორტალზე ქომაგთა კითხვებსაც უპასუხა. კობიაშვილი ნაკრებს ისე ჩამოაცილეს, რომ გულშემატკივარს მისთვის მადლობის ტაში არ დაუკრავს, არადა "კობიმ" ნაკრებში 100 მატჩი ითამაშა. კობიაშვილთან მაგრად შეეშალა ჩვენს საფეხბურთო სამყაროს, ამ ყველაფერს მხოლოდ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვერ დავაბრალებთ, რადგან ნაკრები ყველასია.



ვალდას ივანაუსკასი

■ ■ ■

სეზონის განახლებამდე ათი დღეღა დარჩა. სათასო მატჩებს სჩვევიათ სენსაციები, მოულოდნელი შედეგის ალბათობას ისიც ზრდის, რომ 26 თებერვალს გუნდები საშუასეზონო პაუზის შემდეგ პირველ ოფიციალურ შეხვედრას გამართავენ. რას გიგრძნობთ გული? რაღაც სიურპრიზი აუცილებლად იქნება, ბურთი ასეთ დროს განსაკუთრებულად ცელქია და სენსაციის ამხანაგი ხდება.

ქართულ გუნდებს ახლა ფულზე არანაკლებად გულშემატკივარი სჭირდება, ხალხი სტადიონზე თუ მივა, კლუბი ბილეთების გაყიდვით ვერ გამდიდრდება, მაგრამ გუნდის დამფინანსებელს მეტი სტიმული გაუჩნდება. დამფინანსებელი უნდა დარწმუნდეს თუნდაც იმაში, რომ უცხოური შეკრებისთვის გამოყოფილი ფული ფუჭი არ არის.

საქართველოს ჩემპიონატის თამაშზე წასვლა ან უფასოა, ან ერთი კოლოფი სიგარეტის ფასი ღირს. მოწევა კლავს, საფეხბურთო ღელვები კი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, ინტერნეტში ისიც კი წავიკითხე, ასეთი ღელვა ძუნძულსა და ცურვაზე არანაკლებ ეფექტურიაო.

## ფეხბურთი

ზუგდიდი

# ორი ფრე ერთ დღეს



დავით გამეზარდაშვილი

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ზუგდიდმა" ზედიზედ ორი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. დილით ქემერის სტადიონზე ზუგდიდელთა მეორე შემადგენლობა ყაზახეთის პირველი ლიგის ბინადარ "ყიზილჟარს" დაუპირისპირდა და ფრედ, 1:1 ითამაშა, ძირითადმა გუნდმა კი ანთალიის უნივერსიტეტის სტადიონზე რუმინული "ჩაჰლაულის" წინააღმდეგ ითამაშა და ეს მატჩიც ფრედ, 3:3 დასრულდა.

ზუგდიდელები ამ შეხვედრაში სამჯერ იგებდნენ, მაგრამ რუმინელებმა ბოლო წუთებზე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და საკუთარი გუნდი მარცხისგან იხსნეს. მანამდე კი სათამაშო სცენარი ასე წარიმართა: შეხვედრის მე-11 წუთზე მეკარესთან პირისპირ გასული **გიორგი გაბედავა** რუმინელთა მეკარემ საკუთარ საჯარიმოში წააქცია და არბიტრმა პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანი **დავით გამეზარდაშვილმა** უნაკლოდ შეასრულა და ქართველები დააწინაურა.

ამის შემდეგ ზუგდიდელებმა კიდევ ერთი საგოლე მომენტი შექმნეს, თუმცა **ლუკა გუგუჩიას** დარტყმული მცირედით ასცდა მეტოქის კარს.

გოლიდან ათ წუთში რუმინელებმა სტანდარტული მდგომარეობიდან თანაფარდობა აღადგინეს. ორმხრივი იერიშები გახშირდა და ზუგდიდელებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ წინ გასასვლელად. მრავალსვლიანი კომბინაცია **ლევან წურწუმიამ** გადაცემით გააგრძელა და **გიორგი გაბედავამ** დააბოლოვა, როცა რუმინელთა კიპერს აუღებელი თავური დაურტყა.

მეორე ტაიმში რუმინელებმა კვლავ გაათანაბრეს ანგარიში, რის შემდეგაც ზუგდიდელი ფეხბურთელები გააქტიურდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. **ირაკლი ეხვაიას** მიერ საშუალო მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთი რუმინელთა კარის დარაჯს ხელიდან გაუვარდა და სიტუაცია მცველებმა განმუხტეს, ხოლო შემდეგ მეტოქის მეკარემ წურწუმიასა და გაბედავას დარტყმული ბურთები მოიგერია. გაბედავამ ბოლოს მაინც მიაღწია მიზანს და თან ეფექტური გოლიც გამოუვიდა - მემარჯვენე ფორვარდმა მარცხენათი ულამაზესი გოლი შეაგდო. ბოლოს ზუგდიდელებს დალლა დაეტყოთ და რუმინელებმა ისევ აღადგინეს წონასწორობა.

რაც შეეხება ყაზახებთან მეორე გუნდის თამაშს - პირველ ტაიმში ბევრი საგოლე მომენტის ვერგამოყენებას მეტოქის გოლი მოჰყვა. **აკაკი ფარჯიკიამ** გოლი **ნიკა შონიას** გადაცემით გაიტანა. შეხვედრის ბოლოს **რომეო კანკიას** მიერ გატანილი გოლი არბიტრმა არ ჩათვალა და თამაშგარე დააფიქსირა. აქაც ფრე – 1:1.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გაგრა

# ხუთი ახალწვეული და უცვლელი მიზნები

"გაგრამ" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება 15 იანვარს დაიწყო. გუნდი დატოვეს **ირაკლი ხუციძემ** და **გიორგი ჯგერენაიამ**. ხუციძე ამჟამად აშშ-შია და "მინესოტა სტარსში" ისინჯება. იგი ამერიკაში თავისუფალი აგენტის სტატუსით გაემგზავრა. რაც შეეხება ჯგერენაიას, იგი კარიერას უკრაინულ "ილიჩევეცში" გააგრძელებს. მხარეების შეთანხმებით, ჯგერენაია მარიუპოლურ კლუბში ნახევარწლიანი იჯარით ითამაშებს და თუ თავი კარგად წარმოაჩინა, კონტრაქტსაც დაიმსახურებს. ამჟამად გუნდი მუხრანში, საკუთარ ბაზაზე ვარჯიშობს. იქ ფეხბურთელებს ვარჯიშები და თეორიული მეცადინეობები უტარდებათ.

"გაგრას" ხუთი ახალწვეული ეყოლება, მაგრამ რაკი მათთან კონტრაქტები ჯერ არ გაფორმებულა, გუნდის სამწვრთნელო შტაბი რჩეული ფეხბურთელების გვარების დასახელებისგან თავს იკავებს.

"ჩვენი მიზანი უცვლელია - უმაღლეს ლიგაში დაბრუნება და საქართველოს თასის ფინალში გასვლა. გვყავს ახალგაზრდული, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ ამბიციური გუნდი. "გაგრას" კურსიც უცვლელი გახლავთ - ახალგაზდა ფეხბურთელებს, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში წარმოაჩენენ თავს, კარიერის უცხოეთში გაგრძელებაში შევუწყობთ ხელს. ვცდილობთ, საქართველოს ეროვნულ და სხვა ასაკობრივ ნაკრებებს ბევრი კარგი ფეხბურთელი მივაწოდოთ - როგორებიც არიან ოქრიაშვილი, ჯგერენაია, ერისთავი, გადრანი, ადამია და სხვები. ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს ჩვენი კლუბისა და სამწვრთნელო შტაბის სწორი მუშაობის შედეგია", - გვითხრა "გაგრას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **მიხეილ აფხაზავამ**. პირველი ლიგის A ჯგუფში **ზვიად ჯელაძის** გუნდი 37 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ "გურიას" 7 ქულით ჩამორჩება. სეზონს "გაგრა" 26 თებერვალს, ქუთაისის "ტორპედოსთან" მერვედფინალური სათასო დაპირისპირებით განაახლებს, პირველი ლიგის გათამაშება კი სტარტს 6 მარტს აიღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# ვაწაძემ და სხირტლაძემ გაიტანეს, გელაშვილი სასტარტოში გამოჩნდა

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში "ბოხუმი" "მიუნხენ 1860"-ს ესტუმრა და 1:0 გაიმარჯვა. არადა, მე-17 წუთიდან მოყოლებული, კაცნაკლული თამაშობდა. გამარჯვების გოლი "ბოხუმმა" მე-10 წუთზე გაიტანა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, სტუმართა ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა **ნიკოლოზ გელაშვილი**, რომელიც 66-ე წუთზე შეცვალეს, მისმა თანაგუნდელმა **ალექსანდრე იაშვილმა** კი თამაშს თვალი სათადარიგოთა სკამიდან ადევნა.

18-გუნდიან მეორე ბუნდესლიგაში "ბოხუმი" 24 ქულით მე-12 ადგილზეა და ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. **ლევან კობიაშვილის** "ჰერტა", რომელიც მეორე ადგილზეა, კვირას "აალენს" ეწვევა.

მოსკოვის "სპარტაკმა" მორიგი შეკრება დაიწყო, ამჯერად ესპანურ მარბელაში. იქ "სახალხო გუნდმა" პირველი სპარინგ-მატჩი რუმინულ "ოცელულთან" გამართა და 2:1 გაიმარჯვა. **ჟანო ანანიძემ**, რომელიც ტრავმისა და სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ უკვე სრულად გამოჯანმრთელდა, სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. "სპარტაკმა" პირველი ტაიმი 1:0 მოიგო.

დანიური "ორჰუსისა" და შვედური "ჰელსინგბორგის" ამხანაგურ შეხვედრაში სამმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა, საიდანაც ორმა, **მათე ვაწაძემ** და **დავით სხირტლაძემ** გოლი გაიტანა. "ორჰუსის" შემადგენლობაში მათ გარდა, **დავით დევდარიანმაც** ითამაშა. "ორჰუსმა" 4:1 გაიმარჯვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სატრანსფერო მიდი-მოსვლა

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრებები, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>კახა კაჭარავა | კობახიძე (ალანია, რუსეთი), მამალაძე (დილა), მენთეშაშვილი (?), ელიავა (სიონი, იჯარით), მილხრაუმი (დინამო თბ), შარვაძე (მერანი) | ლ. კუტალია, ენდელაძე (ორივე ზუგდიდი), ქანკოტაძე (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), რეკრუკი (?), ლოსანო (მურსია, ესპანეთი), ლოპესი (გვატემალა), სუმა (სიერა ლეონე), პეტკოვი (ბულგარეთი) | სპარტაკი 0:2,<br>დინამო ბთ 5:0<br>**29 იანვრიდან - ანთალიაში**<br>ყარაბახი (აზერბაიჯანი) 0:2<br>რუხი (პოლონეთი) 0:0,<br>ვორსკლა (უკრაინა) 1:1,<br>ლეხია (პოლონეთი) 1:1<br>ტორპედო (ბელარუსი) 2:1 |
| მეტალურგი<br>გიორგი ყიფიანი | **დ. ჯანელიძე (თურანი, აზერბაიჯანი)**, ი. მაისურაძე (დილა), ტატანაშვილი (დინამო თბ), თექთურმანიძე (დინამო თბ, იჯარა დაუმთავრდა), ჰოსმანი (?), კაკუშაძე (?), გიორ. გურეშიძე (?) | კორღალიძე (ზიმბრუ, მოლდოვა), ახალკაცი (დილა), მ. ალავიძე (?), ფიფია (თურანი, აზერბაიჯანი) | **12 იანვრიდან - რუსთავში**<br>სტუ 5:0<br>ვიტ ჯორჯია 2:1<br>**1 თებერვლიდან - ანთალიაში**<br>გურნიკი (პოლონეთი) 0:1<br>აკადემია (მოლდოვა) 1:2<br>პოჰანგი (კორეა) 1:0<br>მეტალურგი (რუსეთი) 1:0 |
| ტორპედო<br>გია გეგუჩაძე | იოსელიანი (კეჩკემეტი, უნგრეთი) | გ. ონიანი (დილა), ცინცაძე (დაუგავა, ლატვია) | **18 იანვრიდან - ქუთაისში**<br>სამტრედია 0:2,<br>საპოვნელა 13:0,<br>შუქურა 2:0,<br>სამგურალი 7:0<br>**1 თებერვლიდან - ესპანეთში**<br>რაპიდი (რუმინეთი) 1:1, პენ 4:3<br>დინამო (რუმინეთი) 1:2<br>დინამო (კიევი) 2:4<br>ოცელული (რუმინეთი) 1:1 |
| დინამო (თბ)<br>დუშან უჰრინი (უმცროსი) | **ვოსკობოინიკოვი (?), იაგუე (?), ლექვთაძე (სიონი, იჯარით), რობერტინიო (ინტერი, აზერბაიჯანი)**, თექთურმანიძე (?), პარუნაშვილი (?), სეფიაშვილი (?) | **შაშიაშვილი (დილა), მილხრაუმი (ზესტაფონი), ტატანაშვილი (მეტალურგი), გრაიციარი (სპარტა, ჩეხეთი)**, თექთურმანიძე (მეტალურგი, იჯარა დაუმთავრდა), შინდაგორიძე (?), დიასამიძე (დინამო ბთ), მენდი (?), უსტარიცი (ესპანეთი), | **15 იანვრიდან - თბილისში**<br>**21 იანვრიდან - ანთალიაში**<br>შახტიორი (ყაზახეთი) 0:1<br>ვორსკლა (უკრაინა) 0:2<br>ილიჩევეცი (უკრაინა) 2:2<br>**5 თებერვლიდან - ანთალიაში**<br>ამკარი (რუსეთი) 1:1<br>პოლონია (პოლონეთი) 2:1<br>ტირასპოლი (მოლდოვა) 2:2<br>ზარია (უკრაინა) 0:4 |
| დილა<br>ვალდას ივანაუსკასი | **გ. დარასელია (მთ. მწვრთნელი, სკა ხაბაროვსკი, რუსეთი), შაშიაშვილი (დინამო თბ), სკენდერი (სონდერიისკე, დანია), სალუქვაძე, ხოჯავა (ორივე სკა ხაბაროვსკი), ს. გურული (დინამო ბთ), გ. ონიანი (ტორპედო)**, ახალკაცი (მეტალურგი), შ. კაშია (ჩიხურა), ბეჭვაია (?), კლიმიაშვილი (?) | **ვ. ივანაუსკასი (მთ. მწვრთნელი)** ი. მაისურაძე (მეტალურგი), კვახაძე (უგუნდოდ), მამალაძე (ზესტაფონი), თოთაძე (დინამო ბთ), იკსტენსი (ლატვია), ი. ლომიძე (?), ლობე (კამერუნი), არაბული (?) | **17 იანვრიდან - თბილისში**<br>ვიტ ჯორჯია 2:0<br>**21 იანვრიდან - თურქეთში**<br>ნოიდშდატლი (ავსტრია) 1:1<br>ბარუერი (ბრაზილია) 2:1<br>სალუტი (რუსეთი) 1:1<br>ბოლესლავი (ჩეხეთი) 3:2<br>რადნიჩკი (სერბეთი) 0:1 |
| კოლხეთი<br>სოსო ფილია | გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე დინამო ბთ), ცხადაია (სიონი), | ზამ. ჯანაშია (?), როსინი (?) | **19 იანვრიდან - ფოთში**<br>სამტრედია 2:1<br>გურია 2:2,<br>სქური 1:0<br>მერანი 1:0 |
| მერანი<br>მალხაზ ჟვანია | გ. ჟვანია (დინამო ბთ), მჭედლიშვილი (ვიტ ჯორჯია) | **გ. მეგრელაძე (უგუნდოდ), კრისი (ნიგერია), შარვაძე (ზესტაფონი), ხუბუა (სიონი)** | **20 იანვრიდან - მარტვილში**<br>კოლხეთი (ფ) 0:1<br>**12 თებერვლიდან - ურეკში**<br>გურია 2:1<br>არარატი (სომხეთი) 2:2 |
| სიონი<br>არმაზ ჭელიძე | ქუცურუა (?), ჭედია (?), ჩიკვილაძე (?), დ. ლომაია (?), ხუბუა (მერანი), მაჭავარიანი (?), რ. ჯიქია (?), ფეიქრიშვილი (?), ქანკოტაძე (ზესტაფონი, იჯარა დაუმთავრდა), **თარხნიშვილი (ვენტსპილსი, ლატვია)** | ბიბილეიშვილი (სტუ), ფოფხაძე (ზუგდიდი), მიკუჩაძე (ისრაელი), ელიავა (ზესტაფონი, იჯარით), მერლანი (ზუგდიდი), ლექვთაძე (დინამო თბ, იჯარით), ახალაია (უგუნდოდ), ცხადაია (კოლხეთი), ო. გველესიანი (უგუნდოდ), ჩივაძე (უგუნდოდ), ჰაიდუჩეკი (პოლონეთი), საპირი (ისრაელი), ფალავანდიშვილი (?) | **18 იანვრიდან - თბილისში**<br>ზოოვეტი 2:1<br>სასკო 4:0<br>ჩიხურა 2:1<br>გაგრა 0:2<br>**5 თებერვლიდან - თურქეთში**<br>ტორპედო (მოსკ., რუსეთი) 0:0<br>რადი (სერბეთი) 2:1<br>ედინსტვო (ჩერნოგორია) 2:2 |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ კოჭლაშვილი | ჩიმაკაძე (დინამო ბთ), ზაქრაძე (?), ლანიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე (ნეფტეხიმიკი, რუსეთი), მჭედლიშვილი (მერანი) | **16 იანვრიდან - მცხეთაში**<br>სტუ 3:0<br>დილა 0:2<br>ჩიხურა 2:1<br>გაგრა 2:0 |
| ზუგდიდი<br>ელგუჯა ქომეთიანი | ს. თოდუა (გურია), კუტალია, ენდელაძე (ორივე ზესტაფონი), კოშკაძე (დინამო ბთ), მერლანი, ფოფხაძე (ორივე სიონი), დ. ბოლქვაძე (ჩიხურა) | ხუხია (დინამო ბთ), გამრეკლიძე (?) | **23 იანვრიდან - ზუგდიდში**<br>კოლხეთი (ხ) 3:2<br>გურია 0:0<br>ლაზიკა 2:1<br>**10 თებერვლიდან - თურქეთში**<br>ფალინგენი (გერმანია, მოყვ.) 8:0<br>ჩახლაული (რუმინეთი) 3:3 |
| ჩიხურა<br>სოსო ფრუიძე | | დ. ბოლქვაძე (ზუგდიდი), ჩირიკაშვილი (უგუნდოდ), შ. კაშია (დილა), ჭედია (სიონი) | **16 იანვრიდან - საჩხერეში**<br>სიონი 1:2<br>ვიტ ჯორჯია 1:2<br>**4 თებერვლიდან - თურქეთში**<br>ლოკომოტივი (ბულგარეთი) 0:1<br>ცსკა (ბულგარეთი) 1:6<br>კასპიი (ყაზახეთი) 2:1 |
| დინამო (ბთ)<br>გია გურული | დიასამიძე (დინამო თბ), ხუხია (ზუგდიდი), სიჭინავა (?), კაკულია (?), კილაძე (გურია), ბალაძე (?), კლოვისი (?), ცნობილაძე (?), ტიმჩიშინი (?), თოთაძე (დილა) | **ჩიმაკაძე (ვიტ ჯორჯია)**, ს. გურული (დილა), გ. ჟვანია (მერანი), გაბუნია, ტყეშელაშვილი (ორივე კოლხეთი), კოშკაძე (ზუგდიდი) | **16 იანვრიდან - ბათუმში**<br>გურია 3:0<br>**7 იანვრიდან - ანთალიაში**<br>აქტაიკი (ყაზახეთი) 4:1<br>გლორია (ბისტრიცა) 1:1 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტურის წინ

# აინტრახტის იარაღი ტრაპია!

## გაუძლებს კევინი დორტმუნდელთა იერიშებს?



ფრანკფურტელებს დორტმუნდთან, პირველ რიგში, მეკარე კევინ ტრაპის იმედი აქვთ

**სანამ „ბაიერნის“ უპირატესობა მინიმუმ 8 ქულამდე არ შემცირდება, ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში საჩემპიონო ინტრიგაზე საუბარი სასაცილოა. შესაბამისად, შაბათ-კვირისთვის დიდად მტკივნეული არ არის ის ამბავი, რომ რეკორდმაისტერმა ამჯერად პარასკევს ითამაშა - ისედაც დიდი ხანია, ბუნდესლიგაში სხვა ინტრიგები უფრო გვაინტერესებს, ვიდრე იმის მხოლოდ და მხოლოდ თეორიულ და აბსტრაქტულ შანსებზე მსჯელობა, მოახერხებენ თუ არა დორტმუნდის „ბორუსია“ და „ლევერკუზენი“ „ბაიერნისთვის“ კონკურენციის გაწევას. მოკლედ, „ბაიერნმა“ გუშინ ვოლფსბურგში ითამაშა, შუა კვირაში კი „არსენალთან“ უმნიშვნელოვანესი ჯახი ელის. დარჩენილი მატჩებიდან ყველაზე საინტერესო უდავოდ „დორტმუნდისა“ და „აინტრახტის“ დაპირისპირებაა**

„ლევერკუზენი“ ამ სეზონში ნამდვილად ძალიან კარგად გამოიყურება - ერთი ეგაა, რომ ძველებურად უამბიციოა: „ბაიერს“ „ბაიერნთან“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კაპიტულაცია ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა გამოცხადებული, როცა მიუნხენში მოიგო. სხვა მხრივ, **საშა ლევანდოვსკისა** და **სამი ჰიიპიას** შეგირდები მართლაც კარგად ასპარეზობენ და სანახაობრივ ფეხბურთს გვთავაზობენ. „ბაიერის“ თავდამსხმელები ერთმანეთს იდეალურად უგებენ (8 გოლი მეორე წრეში). მაგრამ „ლევერკუზენს“ სტაბილურობა აკლია. აგერ, ევროპალიგის პირველ საპლეიოფო შეხვედრაში „ბაიერი“ საკუთარ მოედანზე ლისაბონის „ბენფიკასთან“ 0:1 დამარცხდა.

არასტაბილურობის უმთავრესი მიზეზი დაცვის ხაზის სისუსტეა - „ლევერკუზენის“ მცველები ყველაზე მეტად სტანდარტულების დროს ცდებიან ხოლმე. ეს აუგსბურგელებმაც იციან და დღეს აქცენტს სწორედ სტანდარტულებზე გააკეთებენ. თანაც, „აუგსბურგს“ **მიოლდერსის** სახით ისეთი ცენტრფორვარდი ჰყავს, რომელიც თავით ძალიან კარგად თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ „აუგსბურგი“ მე-17 ადგილზეა და სამშვიდობოს 9 ქულით ჩამორჩება, შვაბებს სჯერათ, რომ ელიტაში ადგილის შენარჩუნებას მოახერხებენ.

*„ყველაზე მთავარი ისაა, რომ მთელი გუნდი ძალიან მოტივირებული და კონცენტრირებულია. ბოლო მატჩებში უდიდესი თავდადებით ვიბრძოდით და ასე იქნება არა მარტო „ლევერკუზენთან“ მატჩში, არამედ სეზონის ბოლომდე,“* - ეს „აუგსბურგის“ თავკაც **მარკუს ვაინცირლის** სიტყვებია.

### ვერდერი ფრაიბურგთანაც სამ ქულას გეგმავს

ბრემენულ კლუბს ზედიზედ ორი თამაში ბოლოს 2011 წლის ნოემბერში ჰქონდა მოგებული. „ჰანოვერთან“ (2:0) და შტუტგარტში (4:1) გამარჯვებების შემდეგ „ვერდერი“ ცხრილში ოდნავ მაღლა აძვრა, თუმცა მაინც მეორე ნახევარშია, რაც „მუსიკოსებისთვის“, რა თქმა უნდა, მიუღებელი პოზიციაა. შესაბამისად, მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** „ფრაიბურგთან“ საშინაო შეხვედრაშიც მხოლოდ სამ ქულას ითხოვს.

*„ბევრი ლაპარაკის დრო არაა. წინა მატჩებში კარგად ვითამაშეთ და „ფრაიბურგთანაც“ უნდა მოვიგოთ,“* - ეს კაპიტან **აარონ ჰანტის** სიტყვებია. **არნაუტოვიჩისა** და **იუნუზოვიჩის** თამაში კვლავ საეჭვოა, თუმცა მათ არყოფნაში თავი **მეჰმეთ ექიჩიმ** გამოიჩინა (დუბლი შტუტგარტში). თუმცა „ფრაიბურგი“ ხელწამოსაკრავი გუნდი არაა და ეს ბრემენელებმა ჩვენზე უკეთ იციან. „ფრაიმ“ წინა ტურში „ფორტუნა“ დაამარცხა (1:0), რაც ბრაისგაუელთათვის 2013 წელს პირველი გამარჯვება იყო და **კრისტიან შტრაიხის** გუნდი ცხრილში მეხუთე ადგილზეა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე წრეში „ფრაის“ დაღმასვლა დაეტყო (1/2/1) და თუ ასე გააგრძელებს, ევროპის ზონიდან მალე გამოვა.

### თუ შალკეს ევროპაში უნდა...

„ფრაიბურგთან“ ერთად, ბევრისთვის მოულოდნელად ევროპალიგის საგზურს უმიზნებს „მაინცი“ - **თომას ტუხელის** გუნდი ცხრილში მეექვსეა. მაინცელთა წარმატებები დიდწილად უნგრელი თავდამსხმელის, **ადამ სალაის** დამსახურებაა, რომელსაც ამ სეზონში 12 გოლი აქვს გატანილი. ამ უკანასკნელის მხარდამხარ დღეს ველარ ითამაშებს **შონ პარკერი**, რომელიც „აუგსბურგთან“ შეხვედრაში (1:1) მოედნიდან გააძევეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტუხელს ტაქტიკა/სტრატეგიის მხრივ დღეს იმპროვიზირება მოუწევს. „მაინცის“ მეტოქე დღეს კრიზისში მყოფი „შალკეა“, რომელიც ერთი კვირის წინ „ბაიერნთან“ 0:4 განადგურდა და ბოლო 4 თამაშში მხოლოდ 4 ქულა აქვს აღებული.

*„გასამართლებელი საბუთები აღარ მიიღება. მაინცში ისეთი თამაში გვაქვს, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ, „შალკე“ ფავორიტია და ისე უნდა ითამაშოს, როგორც ფავორიტს შეეფერება,“* - ეს **ჯერმაინ ჯონსის** სიტყვებია. გაგახსენებთ, რომ პირველ წრეში გელზენკირხენელებმა „მაინცი“ 3:0 დაამარცხეს და მერე ტუხელის გუნდს გერმანიის თასზეც შეხვდნენ და საკუთარ მოედანზე 1:2 დამარცხდნენ.

### გააგრძელებს ჰამბურგი აღმაფრენას?

უცნაური გუნდია „ჰამბურგი“. შეუძლია, „ნიურნბერგთან“ (1:1) და „აინტრახტთან“ (0:2) ამაზრზენად ითამაშოს, მერე კი „ვერდერთან“ (3:2) ბრწყინვალე ფეხბურთი გააჩალოს და ჩემპიონი „დორტმუნდი“ მისსავე სტადიონზე 4:1 გაანადგუროს.

*„ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ამ კვირაში ასე ვთამაშობთ, მომდევნო კვირას კი აბსოლუტურად სხვანაირად,“* - გაოცებულია „ჰამბურგის“ გამთამაშებელი **რაფაელ ვან დერ ვაარტიც**. დორტმუნდში გამარჯვების შემდეგ ჩრდილოგერმანელებმა ეიფორია არ დაუშვეს: *„თუ „გლადბახთანაც“ არ მოვიგებთ, ევროპალიგის საგზურზე ლაპარაკის უფლება არ გვაქვს,“* - თქვა გუშინ კაპიტანმა **ჰაიკო ვესტერმანმა**.

მიონხენგლადბახურ კლუბთან, რომელმაც ევროპალიგაში „ლაციოსთან“ ომი (3:3) გადაიტანა, „ჰამბურგს“ მეკარე **ადლერი** და მცველი **ბრუმა** არ ეყოლება. პრინციპში, „გლადბახიც“ ამოუცნობი და არაპროგნოზირებადი გუნდია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მატჩში არცერთი შედეგი არ იქნება გასაკვირი.

### გადარჩენის ფინალი

„ფორტუნასა“ და „ფიურტის“ დუელი გადარჩენისთვის ბრძოლის პირველი „ფინალია“. მართალია, დიუსელდორფელები ჯერ კიდევ კომფორტულ მდგომარეობაში არიან, მაგრამ თუ აუტსაიდერთან საკუთარ მოედანზე წააგო, „ფორტუნა“ საქმეს გაირთულებს. სწორედ ასეთ მნიშვნელოვან მატჩში დააკლდებიან მწვრთნელ **ნორბერტ მაიერს** კაპიტანი **ლამბერტცი** და ნახევარმცველი **ბოძეკი** (ორივე დისკვალიფიცირებულია). ფიურტელებს **პეკოვიჩი** ჰყავთ დისკვალიფიცირებული, მაგრამ, სამაგიეროდ, **ფიურშტნერი** და **პრიბი** ბრუნდებიან.

### ნადონეცაარ დორტმუნდს აინტრახტი ელის

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ტურის მთავარი მატჩი მეორეადგილოსანი „დორტმუნდისა“ და მეოთხე პოზიციაზე მყოფი „აინტრახტის“ დუელია. „ბორუსიამ“ ზედიზედ სამი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, „ჰამბურგთან“ 1:4 წააგო, მერე კი, ჩემპიონთა ლიგაში „შახტართან“ ფრეს მიაღწია და ახლა ისევ ბუნდესლიგაზე გადაერთვება. **იურგენ კლოპის** სამწყსოს ზედიზედ მეორედ უწევს საკუთარ მოედანზე თამაში და დორტმუნდელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ფანებს „ჰამბურგთან“ განცდილი მოულოდნელი კრახის გამო მოუბოდიშონ. „აინტრახტის“ მთავარი იარაღი „ბორუსიას“ წინააღმდეგ უდავოდ მეკარე **კევინ ტრაპია** - 22 წლის კიპერი „კიკერის“ შეფასებების (საშუალო შეფასება 2.19 ბალი) მიხედვით დღესდღეობით საუკეთესო მეკარეა ბუნდესლიგაში და მნიშვნელოვნად სჯობნის არა მარტო გერმანიის ნაკრების კარის დარაჯ **მანუელ ნოიერს** (3.00, ბაიერნი), არამედ მის შემცვლელებსაც ბუნდესგუნდში - **ადლერს** (2.48, ჰამბურგი), **ცილერს** (3.10, ჰანოვერი) და **ტერ შტეგენს** (2.95, გლადბახი).

*„ტრაპი დღესდღეობით ბუნდესლიგის საუკეთესო მეკარეა. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ კევინს წარმატებები თავში არ აუვარდა და დარწმუნებული ვარ, რომ დიდ ფეხბურთს ითამაშებს,“* - ეს ფრანკფურტელთა მთავარი მწვთრნელის, **არმინ ფეეს** სიტყვებია.

### ჰანოვერი ნიურნბერგში და კრიზისში მყოფთა დუელი

კვირის პირველი მატჩი „ნიურნბერგისა“ და „ჰანოვერის“ დაპირისპირებაა. ნიურნბერგელები ბოლო დროს დასტაბილურდნენ, ბოლო ორ თამაშში 4 ქულა აიღეს და გასავარდნ ზონასთან 9-ქულიანი დისტანცია შეინარჩუნეს. მეტოქე „ჰანოვერს“ ბუნდესლიგაში ბოლო 5 გასვლითი მატჩი წაგებული აქვს, რის გამოც **მირკო სლომკას** გუნდი ცხრილში მნიშვნელოვნად ჩამოქვეითდა. შეგახსენებთ, რომ „ჰანოვერმა“ ხუთშაბათს ევროპალიგაში ითამაშა და „ანჟისთან“ მახაჩყალაში 1:3 დამარცხდა.

ტურის ბოლო მატჩში კი ერთმანეთს კრიზისში მყოფი გუნდები, „ჰოფენჰაიმი“ და „შტუტგარტი“ შეხვდებიან. მართალია, „ჰოფე“ ბოლო დროს ცოტათი დასტაბილურდა, რაც პირველ რიგში უკანა ხაზის დამსახურებაა, მაგრამ საერთო ჯამში „სოფლელები“ ისევ ცუდად გამოიყურებიან. „შტუტგარტმა“ კი ერთმანეთის მიყოლებით 5 თამაში წააგო და უკვე კრიტიკულზე კრიტიკულ მდგომარეობაშია. სპორტული დირექტორი **ფრედი ბობიჩი** ამბობს, სასწრაფოდ წარმატება გვჭირდებაო. შვაბებმა ევროპალიგაში „გენკთან“ 1:1 დააფიქსირეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



კრიზისში მყოფი გუნდები, ვილიამ კვირსტის (მარცხნივ) „შტუტგარტი“ და იგორ დე კამარგოს (მარჯვნივ) „ჰოფენჰაიმი“ ხვალ ერთმანეთს ხვდებიან

#### 15 თებერვალი

**ვოლფსბურგი-ბაიერნი 0:2**

**გოლები:** 0:1 მანჯუკიჩი (36), 0:2 რობენი (90).

**ვოლფსბურგი** (4-2-3-1): ბენალიო – ჰასებე, ნალდო, მადლუნგი, შეფერი – ტრეში (75. ფაგნერი), პოლაკი – ვიეირინია (75. ჰელმესი), დიეგო, ოლიჩი (65. პერიშიჩი) – დოსტი

**ბაიერნი** (4-2-3-1): ნოიერი – ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა – ლუის გუსტავო, შვაინშტაიგერი – მიულერი, კროოსი (79. ტიმოშჩუკი), რიბერი (79. რობენი) – მანჯუკიჩი (83. გომესი).

**გაფრთხილება:** მადლუნგი, ვიეირინია, დოსტი, ჰასებე, ნალდო – რიბერი, დანტე.

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 29-19; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 8-8 (2-6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 30 000

#### 16 თებერვალი

**ლევერკუზენი-აუგსბურგი 18:30**

**ტრავმა:** ბელარაბი - იენტცში, ფიპლი, ვერჰეგი, პეტრჟელა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +1=4-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 3 თამაში: +3=0-0, (11:3)

**ვერდერი-ფრაიბურგი 18:30**

**ტრავმა:** ვოლფი, გებრე სელასიე, ბარგფრედე, ფიულკრუგი - შმიდი, ფრაისი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 27 თამაში: +19=3-5, (71:34)

**მაინცი-შალკე 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** შ. პარკერი (მაინცი)

**ტრავმა:** ბუნგერტი, ჩუპო-მოტინგი - კ. პაპადოპულოსი, უჩიდა, აფელაი, მორიტცი, ჰუნტელაარი, მარიკა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 13 თამაში: +3=2-8, (10:22)

**ჰამბურგი-გლადბახი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბრუმა (ჰამბურგი)

**ტრავმა:** ადლერი, ლამი, მანსიენი, ილიჩევიჩი, სალა - ჰრგოტა, მლაპა

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 89 თამაში: +35=24-30, (141:140)

**ფორტუნა-ფიურტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბოძეკი, ლამბერტცი - პეკოვიჩი

**ტრავმა:** ბრუნო სუარესი, ბოლი, გარბუშევსკი, რაფაელი, ვორონინი - ნდოიე, ჰეფელე, შმიდტგალი, ფიურშტნერი, შტიბერი, ტირალა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=0-4 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 1 თამაში: +1=0-0, (2-0:)

**დორტმუნდი-აინტრახტი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** ლევანდოვსკი (დორტმუნდი)

**ტრავმა:** ოვომოიელა - ამედიკი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 79 თამაში: +36=16-27, (144:109)

#### 17 თებერვალი

**ნიურნბერგი-ჰანოვერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** პოკონიოლი (ჰანოვერი)

**ტრავმა:** შტეფანი, მარკოს ანტონიო, გებჰარტი, ჰლუშეკი - რადლინგერი, ჩერუნდოლო, ეგიმანი, ფელიპე, ანდრეასენი, ფრანკა, შტინდლი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 33 თამაში: +11=11-11, (51:51)

**ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** რობერტო ფირმინიო (ჰოფენჰაიმი)

**ტრავმა:** რუდი, სალიჰოვიჩი, ვუკჩევიჩი, შიპლოკი - ვაისი, აუდელი, ბა, კაკაუ, ჰემლაინი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +1=0-5

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 9 თამაში: +1=4-4, (11:14)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 22 | 18 | 3 | 1 | 57-7 | 57 |
| 2. ბორუსია (დ) | 21 | 11 | 6 | 4 | 47-26 | 39 |
| 3. ლევერკუზენი | 21 | 11 | 5 | 5 | 41-29 | 38 |
| 4. აინტრახტი | 21 | 11 | 4 | 6 | 38-31 | 37 |
| 5. ფრაიბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 26-20 | 31 |
| 6. მაინცი | 21 | 9 | 4 | 8 | 28-25 | 31 |
| 7. ჰამბურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 26-27 | 31 |
| 8. ბორუსია (მ) | 21 | 7 | 9 | 5 | 31-32 | 30 |
| 9. ჰანოვერი | 21 | 9 | 2 | 10 | 39-39 | 29 |
| 10. შალკე | 21 | 8 | 5 | 8 | 33-35 | 29 |
| 11. ვერდერი | 21 | 8 | 4 | 9 | 36-38 | 28 |
| 12. ვოლფსბურგი | 22 | 7 | 5 | 10 | 22-32 | 26 |
| 13. ნიურნბერგი | 21 | 6 | 7 | 8 | 20-27 | 25 |
| 14. შტუტგარტი | 21 | 7 | 4 | 10 | 23-39 | 25 |
| 15. ფორტუნა | 21 | 6 | 6 | 9 | 26-29 | 24 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 21 | 4 | 4 | 13 | 26-45 | 16 |
| 17. აუგსბურგი | 21 | 2 | 9 | 10 | 17-33 | 15 |
| 18. ფიურტი | 21 | 2 | 6 | 13 | 13-35 | 12 |

**ბომბარდირები:** 15 - მანჯუკიჩი (ბაიერნი); 14 – კისლინგი (ლევერკუზენი), ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), 12 – მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი); 11 – თ. მიულერი (ბაიერნი); 10 – იბიშევიჩი (შტუტგარტი), რუდნევსი (ჰამბურგი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● იტალია. სერია A. XXV ტურის წინ

# დიდი მატჩების დიდი ინტრიგა

## კრიზისი რომ დაძლიო, ლიდერს უნდა მოუგო



რომში დიდი ჯახია

**ამ უქმეებზე სერია A-ში ორი ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება და ტურის წინასიტყვაობაშიც სწორედ ამ მატჩებზე ვისაუბრებთ... რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე" „რომა" „იუვენტუსს" უმასპინძლებს, „ფიორენტინა" კი „სტადიო არტემიო ფრანკიზე" „ინტერს" დაუხვდება. ამ შეხვედრებს სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში ბევრი რამის შეცვლა შეუძლია.**

### როცა ლიდერი ფავორიტი არაა

მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის პირისპირ სატურნირო ცხრილში პირველ და მეცხრე ადგილზე მყოფი გუნდები წარდგებიან, „იუვენტუსის" უდავო ფავორიტად დასახელება მაინც არ იქნება სწორი. რაც უნდა კრიზისში იყოს „რომა", ასეთი მატჩების მაღალ დონეზე ჩატარება სჩვევია და მით უმეტეს, საკუთარ მოედანზე. თანაც, დედაქალაქელებს სწამთ, რომ კრიზისის დაძლევისთვის ლიდერის დამარცხება საუკეთესო საშუალებაა - ეს „ჯალოროსის" დროებითმა მწვრთნელმა, **აურელიო ანდრეაცოლიმ** განაცხადა:

*„ტურინული გრანდი უნდა დავამარცხოთ და აღმავლობის გზას დავადგეთ. ჯერ კიდევ გვაქვს სეზონის გადარჩენის შანსი, რისთვისაც ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. „იუვენტუსი" ლიდერია, ყველა რგოლში თანაბრად კარგად დაკომპლექტებული, მაგრამ ამ გუნდის დამარცხების რესურსი ნამდვილად შეგვწევს. ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ, შევუტიოთ და ყველაფერი კარგად იქნება".*

„გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, ანდრეაცოლი **პაბლო ოსვალდოს** თადარიგში დატოვებს, შეტევის წინა ხაზზე კი **ერიკ ლამელას** და **ფრანჩესკო ტოტის** გაამწესებს. ფორვარდთა უკან სავარაუდოდ **მირალემ პიანიჩი** გაირჯება, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი 4-3-3 ტაქტიკაზე უარს ამბობს და 4-3-1-2-ს ირჩევს. ვნახოთ, რამდენად გაამართლებს ანდრეაცოლის ნოვაცია.

ჩემპიონთა ლიგაზე, „სელტიკთან" მატჩისთვის **ანტონიო კონტეს** მარცხენა ფრთაზე შეექმნა პრობლემები, რადგან **პაოლო დე ჩელიე** ტრავმირებული იყო, **კვადვო ასამოა** კი აფრიკიდან ახალი დაბრუნებული და შესაბამისად, გადაღლილი. შედეგად, ფრთა **ფედერიკო პელუზომ** ჩაიბარა და მისთვის უჩვეულო პოზიციაზე გაისარჯა. ამჯერად, კონტე უკეთეს ვითარებაშია, რადგან ასამოა გადმოეწყო ევროპულ რელსებზე და თამაშისთვისაც მზადაა. განელი ჩვეულ პოზიციას დაიჭერს და შუა ხაზში **შტეფან ლიხტშტაინერთან, პოლ პოგბასთან, ანდრეა პირლოსთან** და **არტურო ვიდალთან** ერთად გაირჯება. **კლაუდიო მარკიზიო** დისკვალიფიცირებულია და ამ პრინციპულ პაექრობას გამოტოვებს. შეტევის წინა ხაზზე, სავარაუდოდ ისევ **მირკო ვუჩინიჩს** და **ალესანდრო მატრის** ვიხილავთ, **ნიკოლას ანელკა, ფაბიო კვალიარელა** და **სებასტიან ჯოვინკო** კი თადარიგში დარჩებიან.

ანტონიო კონტეს თქმით, რომში გამარჯვება სკუდეტოსკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება და საამისოდ ყველაფერს გააკეთებენ. *„ჯალოროსისთან" გასვლაზე ქულის მოპოვება ყოველთვის საპატიოა, მაგრამ როდესაც კუდზე უშუალო კონკურენტი გაზის, მაშინ მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძვი"*, - ესეც „ვეკია სენიორას" მწვრთნელის სიტყვებია. მოკლედ, „სტადიო ოლიმპიკოზე" ორივე გუნდი შეუტევს და ჩვენც, მეტი რა გვინდა...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა (4-3-1-2):** სტეკელენბურგი - ტოროსიდისი, მარკინიოსი, ბურდისო, ბალცარეტი - ბრედლი, დე როსი, მარკინიო - პიანიჩი - ლამელა, ტოტი.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, კასერესი - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, პოგბა, ასამოა - ვუჩინიჩი, მატრი.

### მონტელა: კოზირები ჩვენც გვაქვს

მართალია, „ფიორენტინა" უფრო მაღლაა, ვიდრე „რომა", მაგრამ ფლორენციელთა ამოცანაც დაახლოებით იგივეა, რაც „ჯალოროსის"... ძლიერი მეტოქის დამარცხება და კრიზისის დაძლევა. კიდევ ერთი მარცხი „ვიოლას" ჩემპიონთა ლიგის ზონას უიმედოდ დააშორებს და **ვინჩენცო მონტელას** ეს ყველაზე კარგად ესმის:

*„დროა, ნავსი გავტეხოთ, მოვიგოთ და სამი ქულა ჩავიწეროთ აქტივში. მეტოქემ შუა კვირაში ევროპის ლიგაზე ითამაშა, რაც გარკვეულ უპირატესობას გვაძლევს. „ინტერს" ბევრი ახალი ფეხბურთელი ჰყავს, განსაკუთრებით შუა ხაზში და ვფიქრობ, ამ რგოლში ჩვენ უფრო გამოცდილები და შეთამაშებულები ვართ. მოკლედ, გვაქვს ჩვენი კოზირები, რომელთა გამოყენებასაც შევეცდებით".*

მონტელა მართალს ამბობს - **ანდრეა სტრამაჩონიმ** ნახევარდაცვა გვარიანად გადაახალისა და თანაც, ახალწვეულებს ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს. მაგალითად, **კუზმანოვიჩი** და **კოვაჩიჩი** „ვიოლასთანაც" ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებიან. ახალწვეულებს **ესტებან კამბიასო** ამოუდგება გვერდში, ცოტა წინ **ფრედი გუარინი** გაირჯება, კიდევ უფრო წინ კი **ანტონიო კასანოს** და **როდრიგო პალასიოს** ტანდემი. **დიეგო მილიტო** მძიმედ დაშავდა და მისთვის სეზონი დასრულებულია. „ფიორენტინა" **სტევან იოვეტიჩი-ლუკა ტონის** ტანდემით შეუტევს, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ფიორენტინა (3-5-2):** ვივიანო - ტომოვიჩი, გონსალო, სავიჩი - კუადრადო, აკვილანი, პისარო, ბორხა ვალერო, პასკუალი - იოვეტიჩი, ტონი.

**ინტერი (4-3-1-2):** ჰანდანოვიჩი - ძანეტი, რანოკია, ჟუან ჟესუსი, ნაგატომო - კამბიასო, კუზმანოვიჩი, კოვაჩიჩი - გუარინი - კასანო, პალასიო.

**15 თებერვალი**

**მილანი-პარმა 2:1**

**გოლები:** 1:0 პალეტა (39-საკ. კარში), 2:0 ბალოტელი (78), 2:1 სანსონე (90)

**მილანი (4-3-3):** აბიატი – დე შილიო, საპატა, იეპესი, კონსტანტი – მონტოლივო, ნოჩერინო, მუნტარი – ნიანგი (87. ბ. ტრაორე), ბოატენგი (65. ბოიანი), ბალოტელი.

**პარმა (4-3-3):** პავარინი – როზი, კოდა (66. ბენალუანი), პალეტა, მესბა – მარკიონი, ხ. ვალდესი, პაროლო (56. ნინისი) – ბიაბიანი, სანსონე, ამაური (72. ბელფოდილი).

**გაფრთხილება:** საპატა – მარკიონი.

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 13-11 (6-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 54 000

**16 თებერვალი**

**კიევო-პალერმო 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლ. რიგონი (კიევო).

**ტრავმა:** სარდო, დაინელი, სტოიანი - ერნანდესი, მანტოვანი, დოსენა.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +0=3-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +5=6-5, (19-23)

**რომა-იუვენტუსი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი - მარკიზიო, პელუზო.

**ტრავმა:** კასტანი, დოდო, დესტრო - დე ჩელიე, კიელინი, პეპე, ბენდტნერი.

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 41 თამაში: +9=14-18, (45-65)

**17 თებერვალი**

**კატანია-ბოლონია 18.00**

**ტრავმა:** შაკა, ისკო, კაპუანო - ნატალი, ტაიდერი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 11 თამაში: +1=3-7, (7-18)

**ჯენოა-უდინეზე 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** დანილო (უდინეზე).

**ტრავმა:** იანკოვიჩი, ფლორო ფლორესი, კასანი, გრანკვისტი - ბრკიჩი, პინცი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 13 თამაში: +8=2-3, (28-17)

**ნაპოლი-სამპდორია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კოლომბო (ნაპოლი).

**ტრავმა:** ბერამი - პალომბო.

**ბოლო 6 მატჩი**

+4=2-0 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 25 თამაში: +12=6-7, (33-27)

**პესკარა-კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** დესენა, კონტი, ასტორი (კალიარი).

**ტრავმა:** ტონი, კაპუანო, მოდესტო, სფორცინი (პესკარა).

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 8 თამაში: +1=1-6, (5-14)

**ტორინო-ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** დამბროზიო - ბონავენტურა, ბიონდინი.

**ტრავმა:** დიოპი - კაპელი, ჩიგარინი, ტროიზი, ლუკინი, ფერი, მარილუნგო.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 23 თამაში: +6=7-10, (30-32)

**ფიორენტინა-ინტერი 23.45**

**ტრავმა:** კამპორეზე, მატი, ფერნანდესი, როსი, აგაცი - კასტელაცი, სამუელი, მუდინგაი, ობი, მილიტო.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 35 თამაში: +6=9-20, (37-56)

**18 თებერვალი**

**სიენა-ლაციო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** პაჩი, ვიტიელო, ტერცი - ლედესმა.

**ტრავმა:** პოცი, ანჯელო - კლოზე, ბროკი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 19 თამაში: +6=6-7, (27-26)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 24 | 17 | 4 | 3 | 50-16 | 55 |
| 2. ნაპოლი | 24 | 15 | 5 | 4 | 46-21 | 50 |
| 3. მილანი | 25 | 13 | 5 | 7 | 44-31 | 44 |
| 4. ლაციო | 24 | 13 | 5 | 6 | 34-25 | 44 |
| 5. ინტერი | 24 | 13 | 4 | 7 | 39-29 | 43 |
| 6. ფიორენტინა | 24 | 11 | 6 | 7 | 41-29 | 39 |
| 7. უდინეზე | 24 | 9 | 9 | 6 | 35-33 | 36 |
| 8. კატანია | 24 | 10 | 6 | 8 | 31-30 | 36 |
| 9. რომა | 24 | 10 | 4 | 10 | 49-45 | 34 |
| 10. პარმა | 25 | 8 | 8 | 9 | 31-33 | 32 |
| 11. სამპდორია | 24 | 8 | 5 | 11 | 31-30 | 28 |
| 12. ტორინო | 24 | 6 | 11 | 7 | 27-27 | 28 |
| 13. კიევო | 24 | 8 | 4 | 12 | 25-39 | 28 |
| 14. ატალანტა | 24 | 8 | 5 | 11 | 21-33 | 27 |
| 15. ბოლონია | 24 | 7 | 5 | 12 | 33-34 | 26 |
| 16. კალიარი | 24 | 6 | 7 | 11 | 26-41 | 25 |
| 17. ჯენოა | 24 | 5 | 7 | 12 | 25-36 | 22 |
| 18. პესკარა | 24 | 6 | 3 | 15 | 20-49 | 21 |
| 19. სიენა | 24 | 6 | 6 | 12 | 24-34 | 18 |
| 20. პალერმო | 24 | 3 | 9 | 12 | 21-38 | 18 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 15 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა), ლამელა (რომა).

● ტრავმა

# მილიტომ სეზონი დაასრულა



დიეგო მილიტო „კლუჟთან" შეხვედრაში დაშავდა

ევროპალიგაზე, „ინტერმა" რუმინული „კლუჟი" დამაჯერებლად დაამარცხა, მაგრამ მილანელთათვის იმ შეხვედრაში ერთი უსიამოვნო ამბავი მოხდა... მე-10 წუთზე **დიეგო მილიტომ** ჯვარედინი მყესი გაიწყვიტა და შესაცვლელი შეიქნა. თუ რას ნიშნავს ამგვარი დაზიანება, ყველასთვის ცნობილია - 33 წლის ფორვარდს 6-დან 8 თვემდე მოუწევს უქმობა. მოკლედ, დიეგოსთვის სეზონი დასრულებულია.

ამ თემაზე „ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა, **ანდრეა სტრამაჩონიმ** გააკეთა კომენტარი: *„მილიტოს ტრავმამ მშვენიერი საღამო გააფუჭა. ჯვარედინი მყესის გაწყვეტა საშინელებაა და ეს ყველამ კარგად ვიცით. დიეგოს არ გაუმართლა, რადგან იმ ეპიზოდში ასე მძიმედ დაშავების ალბათობა ძალიან დაბალი იყო. იმედია, სარეაბილიტაციო კურსს წარმატებით გაივლის და მომდევნო სეზონიდან დაგვიბრუნდება".*

● სავარაუდო ტრანსფერი

# მურიელი იუვეს სამიზნეში



ლუის მურიელი

„გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „იუვენტუსის" მესვეურები **ლუის მურიელით** არიან დაინტერესებულნი და მის გადაბირებას ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში აპირებენ. 21 წლის კოლუმბიელი ფორვარდი „უდინეზეში" ასპარეზობს, იქამდე კი „ლეჩეში" შედეგიანი თამაშით გაითქვა სახელი.

ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ტურინელები უკვე ამზადებენ შეთავაზებას, რომლის დეტალებიც ცნობილია... „ვეკია სენიორას" მესვეურები ფრიულელებს 10 მილიონ ევროს და **ფაბიო კვალიარელას** შესთავაზებენ, რომელიც უკმაყოფილოა მისი ამჟამინდელი ყოფით. 30 წლის კვალიარელა სათამაშო დროის დეფიციტით აპელირებს და წასვლით იმუქრება. როგორც ჩანს, მასთან განშორება არც პიემონტელთათვის იქნება ტრაგედია.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIV ტურის წინ

# ზოგი ბრწყინვალე განწყობაზე, ზოგიც – უქეიფოდ

## ბარსელონა მილანისთვის მოითელება



ალექს სონგი და ლეო მესი, რომელიც ზედიზედ მე-14 ტურში გატანას აპირებს

ესპანური გუნდები წლის პირველი „ევროგასტროლებიდან" ბრუნდებიან: ზოგი დიდებულ განწყობაზე, ზოგიც - უქეიფოდ. „რეალს" დიდი ბრძოლა ელის მანჩესტერში, „სამეფო კლუბმა" უდიდესი ენერგია შეალია მატჩს, მაგრამ ხეირი ვერ ნახა. მეორე მადრიდული კლუბი, „ატლეტიკო" სულაც ტიტულს კარგავს, ნაკლებად მოსალოდნელია ცივ ყაზანში დიეგო სიმეონეს ბიჭებმა შეძლონ 0:2-ის გამოსწორება, მით უფრო, როცა შინ 10-კაციან მეტოქეს მთელი ტაიმი ვერაფერი მოუხერხეს. სამაგიეროდ, ბრწყინვალე განწყობაზეა „ლევანტე", რომელმაც მიჩელის „ოლიმპიაკოსს" უსიტყვოდ (3:0) მოუგო და ახლა ძნელი სათქმელია, რა შეუშლის ხელს ევროპალიგის მერვედფინალში გასვლაში. აი, მთავარი ვალენსიური კლუბი კი თითქმის გავარდა ჩემპიონთა ლიგიდან, „ღამურებმა" „მესტალიაზე" წააგეს პსჟ-სთან და პარიზში ძნელია, უკეთეს შედეგს ელოდნენ. „მალაგასთვის" და „ბარსელონასთვის" კი ეს ტური გენერალური რეპეტიცია იქნება.

### გრანადა და გრანდი

ლა ლიგის 24-ე ტური პარასკევ საღამოს „სანჩეს პისხუანზე" დაიწყო. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 58 წლის **ფერნანდო ვასკესისთვის** იყო, რომელიც „დეპორტივოს" რიგით მესამე მწვრთნელია ამ სეზონში - ბოლოადგილოსანი „სევილიას" ესტუმრა, რომელმაც აგრეთვე შეცვალა მწვრთნელი (ყოფილი - **მიჩელი** - სტატიაში უკვე ვახსენეთ, ახლა **უნაი ემერი** წვრთნის) და ცხრილის შუაშია.

შაბათის მატჩებიდან დიდ ყურადღებას იქცევს „მალაგასა" და „ბილბაოს" დაპირისპირება და, რა თქმა უნდა, „ბარსელონას" ვიზიტი ანდალუსიაში. ლიდერის მეტოქე „გრანადა" რამდენიმე ტურის წინ კი იყო ხელწამოსაკრავი გუნდი, მაგრამ მწვრთნელი შეიცვალა (მოვიდა 46 წლის **ლუკას ალკარასი**) და გაძლიერდა (დაიმატა **ნოლიტო** და **ბუონანოტე**). შედეგად, „გრანადამ" მოუგო „რეალს" და სტუმრად „დეპორტივოც" დაამარცხა. თუკი ამ რიცხვს „ბარსელონაც" მიემატება, ალკარასს კარიერაში სულ სხვა პერსპექტივები გაუჩნდება, ვიდრე ფინანსურად სუსტი, ანდალუსიური კლუბის ხსნაა.

„ბარსელონა" ისევ **ტიტო ვილანოვას** გარეშეა, კლუბის თავკაცი სიმსივნეს ნიუ იორკში ებრძვის, **ჩავიმ** ვარჯიში განაახლა, ხოლო **დავიდ ვილია** საავადმყოფოდან გაწერეს (სადაც ამ კვირაში კენჭის გავლის გამო 2-ჯერ მოხვდა). პირველის თამაში ნაკლებად სავარაუდოა, მეორის - გამორიცხული.

### მადრიდული დერბი

კვირას „ვალენსია" „მალიორკას" მასპინძლობს და ალბათ მთელ ფრანგულ ჯავრს ბალეარულ კლუბზე ამოიყრის, საინტერესო დაპირისპირებაა სან სებასტიანში, „რეალ სოსიედადი", რომელიც აღარ ხუმრობს (36 ქულით მე-7 ადგილზეა), „ლევანტეს" მასპინძლობს. არც ბარსელონური ჯახი იქნება უინტერესო - **ხავიერ აგირეს** ხელში „ესპანიოლი" უკვე ძალაა, „ბეტისს" კი ჯერაც შეუძლია მაღალი მიზნებისთვის თამაში.

თუმცა დღის მთავარი მატჩი მაინც „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება - გადაღლილი „რეალი" მადრიდულ დერბიში „რაიო ვალეკანოს" მიიღებს, რომელიც ძალზე საინტერესო გუნდია და სრულიად იმსახურებს მე-6 ადგილს (რომელზეც ახლა იმყოფება 37 ქულით). ყველაფრის მიუხედავად, **ჟოზე მოურინიოს** გუნდი მაინც აშკარა ფავორიტია და გამარჯვება მართებს.

#### 15 თებერვალი

**სევილია–დეპორტივო 3:1**

**გოლები:** 1:0 რაკიტიჩი (6), 2:0 მედელი (27), 2:1 რიკი (32), 3:1 მედელი (40)

**სევილია (4-1-4-1):** ბეტო - კოკე (46. ბოტია), ფასიო, სპაჰიჩი, მორენო - მედელი - ხესუს ნავასი, კონდობია (79. სტევანოვიჩი), რაკიტიჩი, რეიესი (71. დელ მორალი) - ნეგრედო.

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - სილვიო, ზე კაშტრო, კაკა, ევალდო - ბერგანტინიოსი (57. ვალერონი), ასუნსაო (66. ოლივეირა) - პიცი, აგილარი, გამა - რიკი (76. სალომაო).

**გაფრთხილება:** კონდობია, კოკე, ბოტია, რაკიტიჩი, სპაჰიჩი - აგილარი, ასუნსაო

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 21-5; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-9 (9-6); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 33 200

#### 16 თებერვალი

**ხეტაფე–სელტა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ოუბინია (სელ)

**ტრავმა:** ვალერა, ლაფიტა, მანე, როდრიგესი - ტუნიესი (?), მალიო, ფერნანდესი (?), ლიორკა

ბოლო 6 მატჩი: +1=2-3 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 5 თამაში: +1=1-3, (4-6)

**მალაგა–ბილბაო 21:00**

**ტრავმა:** დუდა (?), ელიზეუ, გამესი (?) - გურპეგი, ლორენტე, გალარეტა, მუნიაინი (?), პერესი, ეკიზა, გომესი (?)

ბოლო 6 მატჩი: +2=2-2 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 23 თამაში: +8=8-7, (32-30)

**გრანადა–ბარსელონა 23:00**

**ტრავმა:** ბენიტესი, ბრაიმი (?), ფ. რიკო - სანტოსი, ჩავი (?), ვილია

ბოლო 6 მატჩი: +3=1-2 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები: სულ 3 თამაში: +0=0-3, (3-8)

**ოსასუნა–სარაგოსა 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** პოშტიგა, ალვარო, ექტორი (სარ)

**ტრავმა:** სისი, რიესგო - რომარიკი, ობრადოვიჩი, ალამო, ლოოვენსი, სუკულინი

ბოლო 6 მატჩი: +2=2-2 | +0=2-4

ურთიერთშეხვედრები: სულ 23 თამაში: +8=7-8, (27-29)

#### 17 თებერვალი

**სოსიედადი–ლევანტე 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** ზურუტუზა (სოს)

**ტრავმა:** ელუსტონდო (სოს)

ბოლო 6 მატჩი: +3=2-1 | +2=0-4

ურთიერთშეხვედრები: სულ 13 თამაში: +3=3-7, (15-19)

**ვალენსია–მალიორკა 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ალბელდა (ვალ)

**ტრავმა:** მატიო, სისოკო (?) - ჟ. ვიქტორი, არისმენდი, ბიგასი

ბოლო 6 მატჩი: +4=1-1 | +0=2-4

ურთიერთშეხვედრები: სულ 31 თამაში: +15=8-8, (52-29)

**ვალიადოლიდი–ატლეტიკო 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** სერენო (ვალ)

**ტრავმა:** ებერტი, ვალიენტე, პერესი (ვალ)

ბოლო 6 მატჩი: +2=2-2 | +3=1-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 27 თამაში: +8=4-15, (28-54)

**ესპანიოლი–ბეტისი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფორლინი (ესპ)

**ტრავმა:** ბაენა (?) - მარტინესი, პოსუელო, ვილარჩაო, კასტრო, სევილია

ბოლო 6 მატჩი: +4=1-1 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 31 თამაში: +12=13-6, (51-35)

**რეალი–ვალეკანო 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** მოდრიჩი, იგუაინი (რეალ)

**ტრავმა:** არბელოა, კასილიასი - როდრი, ლაბაკა

ბოლო 6 მატჩი: +4=1-1 | +4=0-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 17 თამაში: +14=1-2, (42-15)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 78-26 | 62 |
| 2. ატლეტიკო | 23 | 16 | 2 | 5 | 44-23 | 50 |
| 3. რეალი | 23 | 14 | 4 | 5 | 58-22 | 46 |
| 4. მალაგა | 23 | 11 | 6 | 6 | 36-21 | 39 |
| 5. ვალენსია | 23 | 11 | 4 | 8 | 32-35 | 37 |
| 6. ვალეკანო | 23 | 12 | 1 | 10 | 33-39 | 37 |
| 7. სოსიედადი | 23 | 10 | 6 | 7 | 37-29 | 36 |
| 8. ბეტისი | 23 | 11 | 3 | 9 | 31-34 | 36 |
| 9. ლევანტე | 23 | 10 | 3 | 10 | 29-35 | 33 |
| 10. სევილია | 24 | 9 | 5 | 10 | 33-35 | 32 |
| 11. ვალიადოლიდი | 23 | 8 | 6 | 9 | 32-29 | 30 |
| 12. ხეტაფე | 23 | 8 | 5 | 10 | 29-42 | 29 |
| 13. ესპანიოლი | 23 | 7 | 7 | 9 | 30-34 | 28 |
| 14. გრანადა | 23 | 7 | 5 | 11 | 22-32 | 26 |
| 15. ბილბაო | 23 | 7 | 5 | 11 | 29-46 | 26 |
| 16. სარაგოსა | 23 | 7 | 3 | 13 | 23-33 | 24 |
| 17. ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 19-27 | 22 |
| 18. სელტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21-28 | 20 |
| 19. მალიორკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23-43 | 18 |
| 20. დეპორტივო | 24 | 3 | 7 | 14 | 28-54 | 16 |

**ბომბარდირები:** 35 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 12 - არიც ადურისი (ბილბაო), რუბენ კასტრო (ბეტისი).

ამბები

### განრისხებული სიმეონე

ევროპალიგის პირველ 1/16-ფინალურ მატჩში ტიტულის მფლობელმა „ატლეტიკომ" მოულოდნელად შინ 0:2 წააგო ყაზანის „რუბინთან", რასაც უკმაყოფილო გულშემატკივრების სტვენა და ობსტრუქცია მოჰყვა. ფანების ასეთმა საქციელმა ძალიან გაალიზიანა გუნდის არგენტინელი თავკაცი **დიეგო სიმეონე**.

*„როგორ უნდა შევხვდე სტვენას სტადიონზე? ჩვენ „ვისენტე კალდერონზე" 20 თამაში მოვიგეთ და გულშემატკივარმა ეს უნდა დააფასოს. ვინც უსტვენს იმათ ნამდვილმა გულშემატკივრებმა შენიშვნა უნდა მისცენ და მოსთხოვონ, რომ შეწყვიტონ სტვენა. გულშემატკივარი უნდა ამაყობდეს თავისი გუნდით და მხარს უჭერდეს მას"*, - განაცხადა სიმეონემ.

### სპრინტერი რონალდო? საინტერესო იქნება!

ლონდონის ოლიმპიადის გამარჯვებული ესტაფეტაში (4X100 მეტრზე) **იოჰან ბლეიკი** მიიჩნევს, რომ „რეალის" ფორვარდ კრიშტიანო რონალდოს კარგი სპრინტერის მონაცემები აქვს.

*„კრიშტიანო რონალდო „რეალის" ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია, ის ძალიან სწრაფია. მე ძალიან დიდი ინტერესით ვნახავდი მის გარბენს 100 მეტრზე. ჩემი აზრით, რონალდოს შეუძლია ეს დისტანცია ძალიან სწრაფად დაფაროს"*, - განაცხადა იამაიკელმა მორბენალმა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა პორტუგალიელს მძლეოსნები აქებენ, **უსაინ ბოლტიც** იმავე აზრზეა და ის ერთხელ სპეციალურად შეხვდა კიდევაც რონალდოს.

### ფლორენტინო პერესის ოპერაცია „ფიგუ 2"

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესს** კლუბში „ბარსელონას" ტალანტის, **ჟერარდ დეულოფეუს** გადაყვანა სურს. „რეალის" პრეზიდენტს ძალიან მოსწონს 18 წლის ფორვარდის თამაშის სტილი, რომელიც სეგუნდა დივიზიონის ერთ-ერთი ბომბარდირია. თუმცა მხოლოდ გუნდის გაძლიერებისთვის პერესს დეულოფეუს გადაბირება არ სჭირდება - წლეულს „სამეფო კლუბის" პრეზიდენტის არჩევნებია და ფლორენტინოს ძალიან სურს მომგებიანი სვლის გაკეთება.

თავის დროზე მან ეს შეძლო - პირველად როცა პრეზიდენტად აირჩიეს, გულშემატკივრებს შეპირდა - **ლუიშ ფიგუს** ვიყიდიო და პირობაც შეასრულა. თუმცა ახლა ფიქრობენ, რომ პერესი დეულოფეუს ვერ შეხვდება, რადგან ახალგაზრდა ფეხბურთელს დიდ ფულზე გონება არ ებინდება და „ბარსელონაში" დარჩენა სურს.

### ლორენტეს სანჩესი მიყვება?

ტურინის „იუვენტუსს" **ფერნანდო ლორენტეს** გადაბირების შემდეგ, კიდევ ერთი მაღალი ფორვარდის შეძენა სურს. ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ბებერმა ქალბატონმა" თვალი „ბარსელონას" ჩილელ შემტევ **ალექსის სანჩესს** დაადგა. 24 წლის სანჩესი მაინცდამაინც ვერ მოერგო კატალონიურ გუნდს, ის გაცილებით გამოირჩეოდა „უდინეზეში" თამაშისას.

იტალიური პრესის თქმით, **ანტონიო კონტეს** მიაჩნია, რომ სანჩესი ლორენტესთან შესანიშნავ დუეტს შექმნის.

„იუვენტუსს" ფეხბურთელის იჯარით აყვანა სურს შემდგომი გამოსყიდვის უფლებით, ან მასში 25-30 მილიონ ევროს გადაიხდის.

### იან მვილა და არასრულწლოვანი მეძავი

ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას ფრანგული „რენიდან" ყაზანის „რუბინში" გადასულ **იან მვილას** პარიზის პოლიცია დაკითხავს.

22 წლის ფრანგს არასრულწლოვან მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან ურთიერთობის გამო ბრალდება. პარიზის პოლიციამ ამას წინათ 16 წლის **მირიამი** დააკავა, რომელსაც მვილას ფოტოები აღმოუჩინეს, გოგონა ამტკიცებს, რომ ისინი ინტერნეტიდან გადმოწერა, მაგრამ ვერაფრით ხსნის, როგორ მოხვდა მის მობილურში ფეხბურთელის ტელეფონის ნომერი და მოკლე ტექსტურ შეტყობინებათა მთელი ისტორია, რომელთა განმავლობაშიც მირიამი იანს თავის შიშველ ფოტოებს უგზავნიდა. თუკი ფეხბურთელს არასრულწლოვანთან სექსი დაუმტკიცდება და ისიც, რომ მან მირიამის ასაკი იცოდა, 3 წლამდე ციხე ელის. შეგახსენებთ, რომ ანალოგიურ სკანდალში შარშან სხვა ფრანგი ფეხბურთელები გაეხვნენ: **ფრანკ რიბერი** და **ქარიმ ბენზემა**.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ასოციაციის თასი. 1/8-ფინალის წინა მიმოხილვა

# უკანასკნელი შანსი ორისთვის

| 16 თებერვალი | |
|---|---|
| ლუტონი-მილუოლი | 16:45 |
| არსენალი-ბლექბერნი | 19:00 |
| მილტონი-ბარნსლი | 19:00 |
| ოლდჰემი-ევერტონი | 22:00 |
| **17 თებერვალი** | |
| ჩელსი-ბრენტფორდი | 16:00 |
| სიტი-ლიდსი | 18:00 |
| ჰადერსფილდი-უიგანი | 19:55 |
| **18 თებერვალი** | |
| იუნაიტედი-რედინგი | 00:00 |
| **პრემიერლიგა** | |
| **17 თებერვალი** | |
| ლივერპული-სუონსი | 19:00 |



რობერტო მანჩინი ლიდსთან უკანასკნელ შანსს ჩაებღაუჭება

ინგლისის ასოციაციის თასის შეხვედრები სამ დღეზეა გადანაწილებული. თქვენს ყურადღებას სამ ყველაზე საინტერესო წყვილს მივაპყრობთ. მოდი, მოქმედი ჩემპიონისა და წინა ეტაპზე „ტოტენჰემის" შემარცხვენელი „ლიდსის" მატჩით დავიწყოთ. „სიტის" ბანაკში ყველას ესმის, რომ აღნიშნული ტურნირი უკანასკნელი შანსია, სეზონს მეტნაკლებად წარმატებული მაინც რომ დაერქვას. ჩემპიონატში 12-ქულიანი ჩამორჩენა ოპტიმიზმის საფუძველს უკვე აღარ იძლევა. აქედან გამომდინარე **რობერტო მანჩინი** ჩემპიონშიპის წარმომადგენელს უძლიერეს შემადგენლობას დაუპირისპირებს. „ქალაქელთა" ძირითადს დაუბრუნდება კაპიტანი **ვენსან კომპანი**. ითამაშებს **კარლოს ტევესიც**. სტუმრებს კი საუკეთესო ბომბარდირის **ლუსიანო ბეკიოს** გაყიდვის შემდეგ შეტევაში **ლუკ ვარნის** იმედად მოუწევთ ყოფნა. ჩვენი პროგნოზი: „სიტი" უეჭველად მოიპოვებს მომდევნო ეტაპის საგზურს.

„არსენალს" რთული დროება უდგას. 19 თებერვალს „მეთოფეებს" „ემირიტსზე" შესანიშნავ ფორმაში მყოფ „ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის დაპირისპირება უწევთ. იქამდე კი იმავე არენაზე „ბლექბერნი" ჩადის სათამაშოდ. შიდა ასპარეზზე, მანჩინისა არ იყოს, **არსენ ვენგერსაც** ბოლო შანსი აქვს, რომ დანავსული სერია შეწყვიტოს და ტიტული მოიპოვოს. ჩრდილოლონდონელებმა 8 წლის წინ სწორედ ასოციაციის თასზე იმარჯვეს. და ამ დროს ცნობილი ხდება, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მატჩებში გუნდს ლიდერი **ჯეკ უილშირი** ვერ დაეხმარება. ახალგაზრდა პლეიმეიკერი ნამდვილად არ იქნება დღევანდელ შეხვედრაში. ჩემპიონთა ლიგაში მისი თამაშის შანსი კი ძალზე მცირეა. ფეხბურთელს ბარძაყის ტრავმა აწუხებს. სამაგიეროდ, ძირითად შემადგენლობაში ბრუნდება **ტომას ვერმალენი**. შესაბამისად, „მშობლიურ" მარჯვენა ფლანგზე ითამაშებს **ბაკარი სანია**. ჩვენი პროგნოზი: „არსენალის" მოგება მინიმალური ანგარიშით

დაბოლოს, „ოლდ ტრეფორდზე" ერთმანეთს პრემიერლიგის გუნდები შეხვდებიან. „მანჩესტერ იუნაიტედი"-"რედინგი". „ეშმაკები" შესანიშნავ ხასიათზე არიან, რადგან ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან" გასვლაზე ითამაშეს ფრედ (1:1). მოსალოდნელია, რომ **ალექს ფერგიუსონი** ძირითად შემადგენლობას დასვენების საშუალებას მისცემს. „არისტოკრატებისთვის" „იუნაიტედის" შესუსტებულ შემადგენლობასთან ბრძოლაც რთული იქნება, მით უფრო, როცა „რეზერვისტებში" **ხავიერ ერნანდესი** თამაშობს. ჩვენი პროგნოზი: **ბრაიან მაკდერმოტის** გუნდს წარმატების მიღწევის მხოლოდ მიზერული შანსი აქვს.

ჩელსი



ევროპალიგის შეხვედრაში პრაღის სპარტასთან ჯონ ტერიმ ტრავმის გამო ვერ ითამაშა

# ჯონ ტერის ჩაკეტილი წრე

14 თებერვალს ევროპალიგის პლეიოფის შეხვედრაში პრაღის „გენერალი არენაზე" „ჩელსი" „სპარტას" ეწვია და შეცვლაზე შესული **ოსკარის** გოლით მინიმალური გამარჯვება იზეიმა. „ლურჯების" კარს თითნატკენი **პეტრ ჩეხი** იცავდა. მოსალოდნელი იყო, რომ ძირითადში იქნებოდა კაპიტანი **ჯონ ტერიც**, მაგრამ **რაფა ბენიტესი** იძულებული გახდა, დაცვის ცენტრი **ბრანისლავ ივანოვიჩისა** და **გარი კეჰილისთვის** ჩაებარებინა. მიზეზი? მუხლის ტრავმა. ტერისთვის საბედისწერო გამოდგა გასული წლის 11 ნოემბერს „სტემფორდ ბრიჯზე" „ლივერპულთან" შეხვედრაში (1:1) **ლუის სუარესთან** შეჯახება. მას შემდეგ ჯონი მოედანზე მხოლოდ სამჯერ გამოჩნდა. ესპანელმა სპეციალისტმა მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე იმ მიზეზებზე ისაუბრა, რამაც ის კიდევ ერთხელ აიძულა, რომ კაპიტანი სათადარიგოთა შორის დაესვა: *„წინა კვირას ჯონს მუხლი ხელახლა ასტკივდა, თუმცა ვარჯიშს მალე დაუბრუნდა ყოველგვარი გართულებების გარეშე. ჩვენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მუდმივად უნდა ვაკონტროლოთ. მან მეტი დრო უნდა გაატაროს გუნდთან ერთად ვარჯიშებზე და სწორედ ამის მერე მიიღებს მეტ სათამაშო დროს. ის თითქოს ჩაკეტილ წრეზე მოძრაობს".*

### ივანოვიჩის 200 მატჩი

**ბრანისლავ ივანოვიჩი** „სტემფორდ ბრიჯზე" 2008 წლის 15 იანვარს მოსკოვის „ლოკომოტივიდან" გადავიდა. ინგლისელებს ტრანსფერი 9,7 მილიონი ფუნტი დაუჯდათ. 24 წლის სერბი დიდხანს ვერ ახერხებდა გამოცდილი თანაგუნდელებისთვის კონკურენციის გაწევას. 2007/08-ის სეზონი ისე დასრულდა, რომ მას ძირითად გუნდში ერთხელაც არ უთამაშია. უსიამოვნო ეტაპი 8 თვეზე მეტი გაგრძელდა და მას წერტილი ოქტომბერში „პორტსმუთთან" ლიგის თასზე დაესვა. მალევე შედგა მისი დებიუტი ჩემპიონატში „ასტონ ვილასთან" მატჩში. 2009/10 წლების სეზონის სტარტზე უმძიმესი ტრავმა მიიღო **ჟოზე ბოსინგვამ**. მწვრთნელებმა სერბი მარჯვენა მცველად გადაწიეს. სწორედ ეს გახდა გარდამტეხი მომენტი. ივანოვიჩი მას მერე „ჩელსის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. ზემოხსენებული შეხვედრა პრაღის „გენერალი არენაზე" მისთვის საიუბილეო მე-200 აღმოჩნდა „ჩელსის" შემადგენლობაში.

ფეხბურთი და მედიცინა

# ჩიპი ფეხბურთელთა სამსახურში

სამწუხაროა, მაგრამ უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში ფეხბურთელთა სიკვდილიანობამ ძალიან იმატა. მიზეზი ძირითადად შემთხვევებში გულის შეტევაა. ვიკიპედიაზე შესაბამის სტატისტიკასაც წავაწყდით, საიდანაც ირკვევა, რომ მარტო XXI საუკუნეში 28 ფეხბურთელია დაღუპული უშუალოდ თამაშების მიმდინარეობისას ან ვარჯიშის დროს. ყველაზე გახმაურებული შემთხვევებიდან **კატალინ ჰალდანის** (დინამო ბუქარესტი), **სერგეი პერხუნის** (ცსკა), **მარკ ვივიენ ფოეს** (კამერუნის ნაკრები), **მიკლოშ ფეჰერის** (ბენფიკა), **ანტონიო პუერტას** (სევილია), **უგო კუნიასა** (ლეირია) და **პიერმარიო მოროზინის** (ლივორნო) გახსენება შეიძლება. ტრაგიკულმა შემთხვევებმა საფეხბურთო საზოგადოება შეაშფოთა. „ინდეპენდენტის" ცნობით, საფეხბურთო ასოციაციათა საერთაშორისო საბჭო (IFAB), ორგანიზაცია, რომელიც ფეხბურთის წესებში შესატანი ცვლილებების მომზადებაზეა პასუხისმგებელი, 3 მარტს ედინბურგში დანიშნულ სხდომაზე სპეციალური მიკროჩიპის დანერგვის პერსპექტივაზე იმსჯელებს, რაც გუნდების სამედიცინო შტაბებს საშუალებას მისცემს, ფეხბურთელთა მდგომარეობას 90 წუთის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში ადევნოს თვალი. გაკონტროლდება სპორტსმენის გულის რიტმი და სხეულის ტემპერატურა. ის საშუალებას მოგვცემს, ზუსტად გავიგოთ თამაშის განმავლობაში რა მანძილი დაფარა კონკრეტულმა ფეხბურთელმა. მონაცემები ცოცხალ რეჟიმში გადაეცემა კომპიუტერზე და საჭიროების შემთხვევაში რეაგირება აღარ დაგვიანდება. სიკვდილიანობის გარდა სისტემა პრაქტიკულად გამორიცხავს **ფაბრის მუამბას** თავს გადამხდარ ისტორიას, როცა „ბოლტონის" ფეხბურთელს ინფარქტი მატჩის მიმდინარეობისას დაემართა. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში ექიმებმა დეფიბრილატორების დახმარებით შეძლეს ფეხბურთელის გადარჩენა, თუმცა მუამბას 23 წლისას მოუხდა საფეხბურთო კარიერის დასრულება. ვარაუდობენ, რომ მიკროჩიპი მაისურებზე ყელთან ახლოს დამაგრდება.



თანამედროვე მედიცინა საშუალებას იძლევა, ფაბრის მუამბას მსგავსი შემთხვევების რისკი მინიმუმამდე დავიდეს

ამბები

### რეინა 15 მილიონად

ესპანური „ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, „ლივერპული" მზად არის, ძირითადი მეკარე **პეპე რეინა** 15 მილიონ ევროდ გაყიდოს. ამასთან, ამ თანხად ის ვეტერან ესპანელს არაპრემიერლიგურ კლუბებს დაუთმობს და არა უშუალო მეტოქეებს ჩემპიონატში. მოგეხსენებათ, რეინას გადაბირებით „ბარსელონაა" დაინტერესებული. კატალონიური გრანდი „მიონხენგლადბახიდან" 20 წლის **ანდრე ტერ შტეგენის** ტრანსფერზეც მუშაობს. საბოლოოდ რომელს მიანიჭებს უპირატესობას, ამას ზაფხულზე ვნახავთ. პეპესთან გამოთხოვებაზე ამ ბოლო დროს ხშირად იწერება, რადგან მერსისაიდელთა კარის დარაჯი მიმდინარე სეზონში მისთვის უჩვეულოდ ხშირად ცდება. სულ მან 21 თამაში ჩაატარა და აქედან 7-ჯერ შეძლო კარის მშრალად შენახვა.

### კიდევ ერთხელ დე ხეაზე

2011 წლის ზაფხულზე „მანჩესტერ იუნაიტედსა" და მადრიდის „ატლეტიკოს" შორის მოლაპარაკებები **დავიდ დე ხეას** ტრანსფერზე დიდხანს არ გაგრძელებულა. „ეშმაკებს" გარიგება 20 მილიონი ევრო დაუჯდათ. მანკუნიანელების მეკარეთა მწვრთნელის **ერიკ სტილის** თქმით, დე ხეას შეძენა სწორედ მისი იდეა იყო. **ალექს ფერგიუსონმა** კი საკითხი ოპერატიულად იმიტომ გადაწყვიტა, რომ არ სურდა, 2004 წელს **პეტრ ჩეხთან** დაკავშირებული შეცდომა გაემეორებინა. „იუნაიტედი" 22 წლის ჩეხით დაინტერესებული კი იყო, მაგრამ მაშინ „ჩელსიმ" უფრო იაქტიურა და მაღალი კლასის გოლკიპერი ჩაიგდო ხელთ. ბოლო თვეებში დე ხეაზე დიდი ხმაურია ატეხილი. ყველაფრის მიუხედავად, 13 თებერვალს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ახალგაზრდა ესპანელმა გოლკიპერმა არნახული ფსიქოლოგიური ზეწოლის მიუხედავად, გამოცდა ფანტასტიკურად ჩააბარა.

### სქოულზი დაისვენებს

„გარდიანის" ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის" 38 წლის ვეტერან **პოლ სქოულზს** მუხლი ისევ სერიოზულად აწუხებს და ვარჯიშს უახლოესი 2 კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს. მიმდინარე სეზონში პოლმა ძირითად შემადგენლობაში სულ რაღაც 7 თამაში ჩაატარა. მას კლუბთან ხელშეკრულება უმთავრდება და სავარაუდოა, რომ მაისში ის ფეხბურთს სამუდამოდ დაემშვიდობება.

### ალდერვეირელდის არჩევანი

ჰოლანდიური Voetbal International–ის ინფორმაციით, „ტოტენჰემსა" და „ნიუკასლს" „აიაქსიდან" 23 წლის ბელგიელი მცველის **ტობი ალდერვეირელდის** შეძენა სურთ. ფეხბურთელს ამსტერდამელებთან ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულზე უმთავრდება. თანამშრომლობის გაგრძელებაზე კი ის არ ფიქრობს. *„მზად ვარ კარიერაში მომდევნო ნაბიჯი გადავდგა. თუკი საინტერესო შემოთავაზება მექნება, აუცილებლად დავფიქრდები. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები ბოლომდე შევასრულო,"* – აცხადებს ფეხბურთელი.

### არსენალი თუ ლივერპული

არგენტინელ **ფედერიკო ფასიოს** „სევილიასთან" კონტრაქტში ერთი წელი დარჩა. Estadio Deportes-ის მტკიცებით, 25 წლის ტანმაღალი (195 სმ) სამხრეთამერიკელით პრემიერლიგის წამყვანი კლუბები „არსენალი" და „ლივერპული" არიან დაინტერესებულები. ისინი საზაფხულო სატრანსფერო ფანჯრისთვის წინადადებებს უკვე ამზადებენ. ფეხბურთელის აგენტი **არიელ კაიპერშმიდი** აცხადებს, რომ მას უკვე დაუკავშირდნენ არამხოლოდ ინგლისური, არამედ იტალიური და გერმანული კლუბების წარმომადგენლებიც. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ფასიო ზაფხულამდე არ აპირებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXV ტურის წინ

# დევიდ ბექჰემის დებიუტის მოლოდინში

**15 თებერვალი**

| | |
|---|---|
| ლილი-რენი | 2:0 |

**გოლები:** 1:0 მავინგა (24-საკ. კარში), 2:0 პაიე (61).

**16 თებერვალი**

| | |
|---|---|
| მარსელი-ვალანსიენი | 20:00 |
| ლორიანი-ევიანი | 23:00 |
| მონპელიე-ნანსი | 23:00 |
| ბასტია-ნიცა | 23:00 |
| ბრესტი-აიაჩო | 23:00 |
| ტულუზი-ტრუა | 23:00 |

**17 თებერვალი**

| | |
|---|---|
| ბორდო-ლიონი | 17:00 |
| რეიმსი-სტ. ეტიენი | 20:00 |
| სოშო-პსჟ | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 24 | 15 | 6 | 3 | 45-13 | 51 |
| 2. ლიონი | 24 | 13 | 6 | 5 | 39-24 | 45 |
| 3. მარსელი | 24 | 13 | 4 | 7 | 31-29 | 43 |
| 4. სტ. ეტიენი | 24 | 11 | 7 | 6 | 36-18 | 40 |
| 5. რენი | 25 | 12 | 4 | 9 | 37-32 | 40 |
| 6. ნიცა | 24 | 10 | 9 | 5 | 36-28 | 39 |
| 7. ბორდო | 24 | 9 | 11 | 4 | 26-16 | 38 |
| 8. ლილი | 25 | 9 | 10 | 6 | 32-25 | 37 |
| 9. ლორიანი | 24 | 9 | 9 | 6 | 39-38 | 36 |
| 10. მონპელიე | 24 | 10 | 5 | 9 | 39-32 | 35 |
| 11. ვალანსიენი | 24 | 9 | 6 | 9 | 34-35 | 33 |
| 12. ტულუზი | 24 | 8 | 7 | 9 | 30-30 | 31 |
| 13. აიაჩო | 24 | 7 | 9 | 8 | 27-32 | 28 |
| 14. ბასტია | 24 | 7 | 5 | 12 | 29-50 | 26 |
| 15. ბრესტი | 24 | 7 | 3 | 14 | 24-35 | 24 |
| 16. რეიმსი | 24 | 5 | 8 | 11 | 21-28 | 23 |
| 17. ევიანი | 24 | 5 | 8 | 11 | 24-36 | 23 |
| 18. სოშო | 24 | 6 | 5 | 13 | 22-34 | 23 |
| 19. ტრუა | 24 | 3 | 9 | 12 | 26-44 | 18 |
| 20. ნანსი | 24 | 3 | 9 | 12 | 22-40 | 18 |

*შენიშვნა: „აიაჩოს" – 2 ქულა*

**ბომბარდირები:** 21 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 11 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 10 – ალესანდრინი (რენი).



დევიდ ბექჰემი უკვე სრულფასოვნად ვარჯიშობს პსჟ-ში

საფრანგეთის ჩემპიონატის 25-ე ტურის ცენტრალური მატჩი კვირას, ბორდოში გაიმართება. „ტოტენჰემთან" დაღლილი და დამარცხებული „ლიონი", ხასიათის გამოსწორებას „შაბან დალმაზე" ეცდება. **რემი გარდის** გუნდს ლიგა 1-ში ზედიზედ ორი მატჩი აქვს წაგებული („აიაჩოსთან" და „ლილთან"), რის გამოც „ოლიმპიკი" პსჟ-ს უკვე 6 ქულით ჩამორჩა. მორიგი მარცხი და „ლიონს" შეუძლია ჩემპიონობაზე ოცნებას გამოეთხოვოს.

სტუმრებს ამ შეხვედრაში „ბორდოს" ყოფილი ფეხბურთელი **იოან გურკუფი** არ ეყოლებათ, რომელმაც ტრავმა მიიღო და დაახლოებით სამ კვირას გამოტოვებს. სამაგიეროდ, ბრუნდება **დეიან ლოვრენი**, ვინც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

„აიაჩომ" „ლიონის" შემდეგ „ბორდოსაც" მოუგო, რის გამოც ეს უკანასკნელი ახლა მეშვიდე ადგილზეა. შუა კვირაში **ფრანსის ჟიოს** გუნდმაც ითამაშა, თუმცა „ლიონისგან" განსხვავებით არ წააგო და კიევიდან სასურველი შედეგი წამოიღო (1:1). ამ ტურში, შესაძლოა ურუგვაელი **დიეგო როლანის** სრულფასოვანი დებიუტი შედგეს – 20-წლამდელთა კოპა ამერიკის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი, კიევის „დინამოსთან" ცვლილებაზე გამოვიდა და თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა.

მარსელის „ოლიმპიკი", რომელსაც აშკარად ჩავარდნის პერიოდი აქვს, „ვალანსიენს" უმასპინძლებს. ამ გუნდების დაპირისპირებისას, შეუძლებელია 1993 წლის შეხვედრა არ გავიხსენოთ, რომელსაც საბოლოოდ დიდი სკანდალი და „მარსელის" ლიგა 2-ში გაძევება მოჰყვა. იმ შეხვედრამდე, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ იმართებოდა („მარსელმა" საბოლოოდ „მილანს" 1:0 მოუგო), „ოლიმპიკის" ფეხბურთელი **ჟან-ჟაკ ეიდელი**, „ვალანსიენის" სამ მოთამაშეს დაუკავშირდა, რომელთა შორის, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და ფინალში გამარჯვების მომტანი გოლის გამტანი, **ხორხე ბურუჩაგა** იყო და მათ მატჩის დათმობა მოსთხოვა. ის მატჩი „ოლიმპიკმა" 3:2 მოიგო, მაგრამ ეს მოგება ძალიან ძვირად დაუჯდა (1993 წლის ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევა, ლიგა 2-ში დაქვეითება, ჩემპიონთა ლიგის საგზურის ჩამორთმევა).

ამჯერად, ასეთ სკანდალს არ უნდა ველოდოთ, თუმცა „მარსელი" კრიტიკულ მდგომარეობაშია და მოგება ახლაც არანაკლებ ესაჭიროება – ერთი ფეხის დაცდენა და გუნდი შესაძლოა სამეულიდან გავარდეს. ბოლო პერიოდში არც „ვალანსიენი" ბრწყინავს, მაგრამ ამ გუნდს „მარსელთან" უკვე ხუთი შეხვედრაა არ წაუგია, პირველ წრეში კი **ელი ბოპის** გუნდს 4:1 მოუგო.

„მარსელს" **ჯოი ბარტონი** უბრუნდება, სამაგიეროდ არ იქნებიან წინა შეხვედრაში გაძევებული **კასიმ აბდალა** და **ჯორდან აიუ**. ტრავმირებულია **ბენუა შეირუ**, ხოლო **ანდრე აიუს** და **რონ ფანის** თამაში საეჭვოა. აფრიკის თასიდან დაბრუნებული **შარლ კაბორე** კი მზად არის, მაგრამ გადაღლილია და შესაძლოა თამაში სათადარიგოთა სკამიდან დაიწყოს. როგორც ხედავთ, მასპინძლებს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ.

საკადრო პრობლემები არ ემუქრება „პარი სენ ჟერმენს". **კარლო ანჩელოტის** გუნდი ჩემპიონატში 6-ქულიანი ფორით ლიდერობს, ჩემპიონთა ლიგაში კი სტუმრად „ვალენსიას" მოუგო (2:1) და 1/4-ფინალში გასვლის შესანიშნავი შანსიც მიიღო. ამ ტურში, პარიზელები „სოშოს" ხვდებიან, რომელთანაც, როგორც წესი, არ უჭირთ (ბოლო 11 მატჩიდან პსჟ-მ 8 მოიგო, 2 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 1 წააგო). სტუმრებს არ ეყოლებათ **ტიაგო სილვა**, ვისაც ტრავმა გაუმიზეზდა, დისკვალიფიკაცია მოიხადა **ტიაგო მოტამ**, მაგრამ ისიც ტრავმირებულია.

შესაძლოა ამ შეხვედრაში **დევიდ ბექჰემის** დებიუტი შედგეს, რომელმაც ახალ თანაგუნდელებთან ვარჯიში უკვე დაიწყო.

● ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# უხვგოლიანი დღე

**II ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პალმეირ.-სპორტ. კრისტალი | 2:1 |

**გოლები:** 1:0 ენრიკე (40), 1:1 ლობატონი (52-პენ), 2:1 პატრიკ ვიეირა (68).

**III ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სტრონგესტი-არსენალი | 2:1 |

**გოლები:** 1:0 ჩუმაკერო (18), 1:1 ბენედეტო (49), 2:1 მელგარი (84).

**გაძევება:** დ. პერესი (54. არსენალი), სელაია (78. არსენალი).

**VI ჯგუფი**

| | |
|---|---|
| დეპორტეს ტოლ.-სერო პორტ. | 2:1 |

**გოლები:** 1:0 ლ. კარდოსო (32-საკ. კარში), 2:0 დ. სილვა (59), 2:1 ვ. მარტინესი (77).

**VII ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ნიუელსი-ოლიმპია | 3:1 |

**გოლები:** 1:0 სკოკო (70-პენ), 2:0 ორსანი (76), 2:1 ბერეირო (88), 3:1 მაქსი როდრიგესი (90).

**VIII ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გრემიო-უაჩიპატო | 1:2 |

**გოლები:** 0:1 ფალკონე (17), 0:2 ბ. როდრიგესი (51), 1:2 ბარკოსი (54-პენ).



სენსაციას საფუძველი ფედერიკო ფალკონეს გოლმა ჩაუყარა

გუშინ, კოპა ლიბერტადორესის პირველი ტურის ხუთი მატჩი გაიმართა და ხუთივე უხვგოლიანი და რაც მთავარია, დაძაბული გამოდგა. „ველესის", „არსენალის" და „ბოკას" წაგების შემდეგ, არგენტინული კლუბები სირცხვილისგან „ნიუელს ოლდ ბოისმა" იხსნა. **ხერარდო მარტინოს** მეტოქე პარაგვაის „რეკორდმაისტერი" „ოლიმპია" იყო. მასპინძლები თავიდან ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდნენ (**სკოკო, ორსანი**), რასაც სტუმართა ერთი საპასუხო გოლი მოჰყვა, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ, გოლი **მაქსი როდრიგესმა** გაიტანა და საკუთარ გუნდს 3 ქულა გაუნაღდა.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა პორტუ ალეგრიში, სადაც მოძლიერებული „გრემიო" „უაჩიპატოს" მასპინძლობდა. ჩილელებმა დაწინაურება 22 წლის არგენტინელის, **ფედერიკო ფალკონეს** გოლის წყალობით შეძლეს, ვისაც საგოლე გადაცემა ურუგვაელმა **ბრიან როდრიგესმა** გაუკეთა. მეორე ტაიმში, თავი უკვე თავად ბრიან როდრიგესმა გამოიჩინა და საკუთარი გუნდის უპირატესობა ორამდე გაზარდა. მასპინძლებმა, რომლებიც უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზობდნენ (მოედანზე იყვნენ: **კრისი, ელანო, ზე რობერტო, ბარკოსი, ედუარდო ვარგასი**, ცვლილებაზე კი **მარსელო მორენო** და **ველიტონი** გამოვიდნენ), ჩილეს ჩემპიონს ვერაფერი მოუხერხეს და მხოლოდ ანგარიშის შემცირება შეძლეს – თავი გუნდის დებიუტანტმა **ერნან ბარკოსმა** გამოიჩინა, რომელმაც 11-მეტრიანი გამოიყენა. საბოლოოდ, „გრემიო" დამარცხდა, VII ჯგუფში კი „ფლუ" და „უაჩიპატო" გალიდერდნენ.

სხვა შეხვედრებიდან, ბარკოსის ყოფილი გუნდის, „პალმეირასის" გამარჯვება უნდა აღვნიშნოთ. საინტერესოა, რომ მორიგი გოლი გაიტანა **ენრიკემ**, რომელიც მცველი გახლავთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ სეზონში ჩატარებულ 8 შეხვედრაში (შტატის პირველობაზე და ლიბერტადორესზე) უკვე 4 გოლი გაიტანა. მასპინძლების მხრიდან მეორე გოლის ავტორი ვეტერან ფრანგი **პატრიკ ვიეირა** არ გეგონოთ, პატრიკი 21 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველია, რომელიც „პალმეირასში" უკვე დიდი ხანია ირიცხება, მაგრამ რეგულარულად ძირითადში მხოლოდ 2013 წლიდან ხვდება.

როგორც აღვნიშნეთ, წააგო სარანდის „არსენალმაც", მაგრამ ეს გასაკვირი სულაც არ ყოფილა, რადგან არგენტინელები ბოლივიურ „სტრონგესტს" ლა პასში ეთამაშებოდნენ. საინტერესოა, რომ გამარჯვების მომტანი გოლი, მასპინძლებმა მხოლოდ მას შემდეგ გაიტანეს, რაც „არსენალი" მოედანზე ცხრა კაცით დარჩა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძე**



თავისუფალი ჭიდაობა. ნაკრები

# სათადარიგოების შანსი

## მეორე ნომრებით კიევსა და თეირანში




**დღეს კიევში** ტრადიციულად ძლიერი საერთაშორისო ტურნირი -„სახელოვან უკრაინელ მწვრთნელთა და სპორტსმენთა მემორიალი" იწყება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. მწვრთნელებმა იქ გასაგზავნად თავიდან ხუთი კაცი შეიგულეს - **ბექა ლომთაძე** (60), **ზურაბ იაკობაშვილი** (66), **მამუკა კორძაია** (96), **დავით მოძმანაშვილი**, **გიორგი საკანდელიძე** (ორივე - 120), მაგრამ ბოლო დღეებში მათ **გიორგი სანოძეც** (74) დაამატეს და უკრაინაში ექვსკაციანი გუნდით გამოვალთ. წინასწარი მონაცემებით, შეჯიბრებაში 19 ქვეყნის ნაკრები იასპარეზებს.

უკრაინაში ჩვენებს მწვრთნელად **დავით პოლოსიანი** გაჰყვა, რომლის ხელშიც, ერთი შეხედვით, მეორე შემადგენლობაა, თუმცა მძიმე წონაზე ამის თქმა ძალზე ძნელია - მოძმანაშვილი მსოფლიოს პრიზიორი და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონია, საკანდელიძე კი ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონია. ჯერჯერობით წონის ლიდერად კვლავაც საქართველოს ჩემპიონი, 18 წლის გორელი **გენო პეტრიაშვილი** რჩება. მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრები 19-24 მარტს თბილისში გასამართი ევროპის პირველობისთვის ემზადება და არაა გამორიცხული, ძირითად შემადგენლობაში კიევური გუნდიდანაც მოხვდეს ვინმე.

ამასობაში ასევე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მეორე ნაწილი 21-22 თებერვალს თეირანში გასამართი მსოფლიოს თასისთვის ემზადება. ჩვენები იქ 19 თებერვალს გაემგზავრებიან, შეჯიბრებაში კი **გივი დავიდოვი** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **მალხაზ ზარქუა** (66), **იაკობ მაქარაშვილი** (74), **ნოდარ ეგაძე** (84), **ბექა ჭელიძე**, **თედორე ებანოიძე** (ორივე - 96), **თორნიკე ხიდეშელი** (120) გამოვლენ. თეირანში გუნდს **ალექსანდრე კახნიაშვილი** უხელმძღვანელებს, რომელსაც ძირითადად სათადარიგოები მიჰყავს, ვინაიდან ლიდერები ევროპის პირველობისთვის ემზადებიან. ამ გუნდში შემავალი სპორტსმენები გუშინ საღამოს ეროვნული ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ბორჯომში გაემგზავრნენ, სადაც დღეიდან ორკვირიან შეკრებას დაიწყებენ. ზემოდასახელებული ფალავნებიც შეჯიბრებების მომთავრების შემდეგ მათ შეუერთდებიან.

როგორც ვხედავთ, ჩვენები შესუსტებული გუნდით გამოდიან მსოფლიოს თასზე, რომელიც, წესით, პრესტიჟული ტურნირი უნდა იყოს. არადა, საქართველო გამონაკლისი არაა და თეირანში უკლებლივ ყველა ევროპული გუნდი - აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, რუსეთი, თურქეთი ლიდერთა გარეშე იჭიდავებს, რადგან მათ კონტინენტის პირველობისთვის ინახავენ. ეს მთლიანად უხეიროდ შედგენილი კალენდარის ბრალია, რადგან ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებები დროში ემთხვევა ერთმანეთს.

ევროპელები კი არა, თეირანში ყაზახეთს და იაპონიასაც არ ჩაჰყავს უძლიერესი გუნდი. ირანში არც ამერიკელთა ლიდერები, ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონები - **ჯორდან ბაროუზი** (74) და **ჯეკ უორნერი** (96) იქნებიან. შეგახსენებთ, რომ ამათგან ბაროუზმა ოლიმპიადის ფინალში ირანელ **სადეგ გოუდარზის** სძლია. აზიელებიც და ამერიკელებიც ასევე თავიანთი კონტინენტების პირველობებისთვის ემზადებიან, თუმცა მათ აპრილში უტარდებათ ეს შეჯიბრება, ევროპისა კი ყველაზე ადრეა.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ევროპული ტურნირები

# უზნაძემ შემადგენლობა დაასახელა

## ჟორჟოლიანი ბრუნდება?

**საქართველოს** ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ დღეს საღამოს, ვარჯიშის შემდეგ დაასახელა დიუსელდორფსა და ვარშავაში წასაყვანი შემადგენლობები. გერმანიაში „დიდი პრიზის" ტურნირი 23-24 თებერვალს ტარდება და იქ **ბეთქილ შუკვანი**, **ამირან პაპინაშვილი** (ორივე - 60), **ლაშა შავდათუაშვილი**, **შალვა ქარდავა** (66), **ამბაკო ავალიანი**, **ზურაბ ნოზაძე** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი**, **ლევან წიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი**, **ზვიად გოგოჭური** (90), **გიორგი ნოზაძე**, **იოსებ მსხალაძე** (100), **ადამ ოქრუაშვილი**, **ლევან მატიაშვილი** (+100) იასპარეზებენ.

როგორც ვხედავთ, გუნდშია ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი, რომელიც პირველად იჭიდავებს შემოდგომაზე გაკეთებული საზარდულის ოპერაციის შემდეგ. უზნაძემ შანსი ამჯერად რამდენიმე ახალგაზრდასაც მისცა. ტურნირის დასრულების შემდეგ ნაკრები დიუსელდორფში დარჩება ერთობლივ ვარჯიშებზე, სადაც გუნდს თბილისიდან სპეციალურად ამ შეკრებისთვის ჩასული **ლაშა ტაველური** და **ბექა ღვინიაშვილიც** შეუერთდებიან. ამ წვრთნების დასრულების შემდეგ ნაკრები ვარშავაში გადაინაცვლებს და 2-3 მარტს „ევროპის ღია თასზე" იჭიდავებს. იქ ტაველურიც იასპარეზებს, უმეტეს წონებში კი მონაწილენი შეიცვლებიან. **ვაჟა მარგველაშვილი**, **პაატა მერებაშვილი** (ორივე - 60), შავდათუაშვილი, ქარდავა (66), **ნუგზარ ტატალაშვილი**, **ზებედა რეხვიაშვილი** (73), **პაატა ღვინიაშვილი**, **ხვიჩა ხუციშვილი** (81), ტაველური (90) და ლორიაშვილი (100). აი, ესენი იჭიდავებენ იქ. თუ დიუსელდორფში შეკრებას კარგად გაივლის, შეიძლება, პოლონეთში ბექა ღვინიაშვილიც გამოვიდეს. იმავე ვარჯიშებზეა დამოკიდებული ოქრუაშვილისა და მატიაშვილის გამოსვლაც, თუმცა მთავარი მოულოდნელობა - შეიძლება, ვარშავაში ტატამს **ლომერ ჟორჟოლიანიც (100)** დაუბრუნდეს, რომელიც ამჟამად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია!

**ირაკლი თავაძე**

ლელოს სტუმარი

## ვაჟა ჟღენტი
# რეაქტიული...

**თბილისის** „დინამომ" 1949-51 წლებში ზედიზედ სამჯერ მოიგო სსრ კავშირის თასი და სამჯერ გახდა საბჭოეთის ჩემპიონი. დღეს ექვსი საპატიო მედლის მქონე ერთადერთი ვეტერენია, **ვაჟა ჟღენტი**, რომელსაც ამ დღეებში 85 წელი უსრულდება. ბატონი ვაჟა ჩვენი რუბრიკის სტუმარია. იგი 50-იანი წლების თბილისის „დინამოს" კიდევ ერთ წარმატებულ კალათბურთელ **ვაჟა გვანცელაძესთან** ერთად გვეწვია.

ბატონ ვაჟა ჟღენტს თავდაპირველად საკუთარი კარიერის პირველი ნაბიჯების გახსენება ვთხოვეთ.

- კალათბურთის თამაში შემთხვევით დავიწყე. ჩემი უბნის ბიჭები მიხეილ კეკელიძესთან „დინამოში" ვარჯიშობდნენ. მე ფეხბურთელი ვიყავი. ისინი შემთხვევით ტრამვაიში შემხვდნენ და ამ ტრანსპორტის უკანა ფანჯარასთან ერთად მოვიყარეთ თავი მე, თამაზ შავგულიძემ, ნოდარ კობიძემ ილარიონ გომართელმა, ჯემი სანებლიძემ, ჯიმშერ ენუქიძემ (შემდეგში „ლელოს" ჟურნალისტი იყო), რეზო სალუქვაძემ. ბიჭებმა კალათბურთზე გაყოლა შემომთავაზეს, მითხრეს: ჩვენი მწვრთნელი მიხეილ კეკელიძეა, ვეტყვით, შენც დედა კეკელიძე რომ გყავს, მიგიღებს და ჩვენთან ერთად იქნებიო. ფორმა არ მქონდა, მაგრამ მაინც წავყევი. მარტი იყო, საშინელი სიცივე, 1944 წელი იდგა და დარბაზი არ თბებოდა. მწვრთნელმა კარგად მიმიღო, გამოიცვალეო - მითხრა. სპორტული ფეხსაცმელი არ მქონდა, ამიტომ ფეხშველამ, მაისურითა და ტრუსით ვივარჯიშე. მესამე დღეს მწვრთნელმა ცალკე დამიბარა და მითხრა - ვარჯიში არ გამიცდინოო. სამ თვეში ჩემი ასაკის პირველ გუნდში გადამიყვანეს.


ვაჟა ჟღენტი მარცხნივ და ვაჟა გვანცელაძე

■ ■ ■

- „დინამოს" პარალელურად ვთამაშობდი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის გუნდში. როცა საუნივერსიტეტო შეჯიბრებები იწყებოდა, დინამოელები ჩვენ-ჩვენი სასწავლებლების გუნდებს ვემატებოდით და საინტერესო მატჩები იმართებოდა. სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი ჩემპიონობას არავის უთმობდა. ასევე ძლიერი გუნდი ჰყავდა სამედიცინოს.

თბილისის „დინამოში" ისეთმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, მთელს საბჭოეთში უძლეველები ვიყავით. 1950 წელს მთელი სეზონის განმავლობაში ერთი მატჩიც არ წაგვიგია - გავიმარჯვეთ სსრ კავშირის ჩემპიონატში, თასის გათამაშებასა და სოცქვეყნების დინამიადაში, ამიერკავკასიისა და საქართველოს ჩემპიონატზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არადა, მაშინ ხელწამოსაკრავი მეტოქეები არ გვყოლია: მოსკოვის არმიელებში და ბალტიის ქვეყნების გუნდებში ნაკრების არაერთი წევრი თამაშობდა.

განსაკუთრებულად მახსოვს პირველი საჩემპიონო ოქროს მოპოვება. ვისაც ეს არ გამოუცდია, ვერ მიხვდება, რას ვგრძნობდი იმ წუთას. ამაღლებული, ენით აუწერელი ემოციები იყო...

1951 და 1952 წლებში ვერც ჩვენ და ვერც მოწინააღმდეგეებს წარმოედგინათ, როგორ შეიძლებოდა ჩვენი დამარცხება. შესანიშნავ ფორმაში ვიყავით, მაგრამ სულ მცირე შეცდომებმა ჩემპიონობა დაგვაკარგვინა. სამაგიეროდ, მომდევნო ორ სეზონში ავინაზღაურეთ. 1954 წლის შემდეგ გუნდში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო...

- ამას დაერთო ისიც, რომ რიგელთა შემადგენლობაში გამოჩნდა მაღალი ცენტრი კრუმინში. სწორედ მისი წინამძღოლობით ექვსი წლის განმავლობაში ლატვიელებს ჩემპიონობაში ვერავინ ეცილებოდა, - გაიხსენა ვაჟა გვანცელაძემ და დასძინა: - მაშინ შეტევისთვის დროში შეზღუდვა არ არსებობდა, გვქონდა გამოთქმა „ნაღდი ბურთი": თუ ასპროცენტიანი ჩასაგდები არ იყო, არ ვისროდით. ამიტომ ვიგებდით ყოველ მატჩს.

ტაქტიკაზე ლაპარაკი ვაჟა ჟღენტმა განაგრძო:

- კალათბურთი ყველას კარგად გვესმოდა. საჭიროების შემთხვევაში ტაქტიკას უშუალოდ თამაშის მსვლელობისას ვცვლიდით, რითაც არაერთი მეტოქე გაგვიოცებია. იყო შემთხვევა, შედარებით ტანდაბალი მეურვე დამიყენეს. მეც ცენტრის პოზიციაზე გადავედი და ქულები უხვად ვაგროვე.

■ ■ ■

- გვხვდებოდა დიდი წინააღმდეგობები. საბჭოთა კავშირის თასი ორჯერ რომ ავიღეთ, მესამედ გათამაშების ფორმატი სპეციალურად ჩვენთვის შეცვალეს: თუ მანამდე მასში კლუბები მონაწილეობდნენ, 1951 წელს ქალაქის ნაკრებები უნდა გამოსულიყვნენ. წესდებაში ასევე ჩაწერეს: ვინც ნაკრებთან ერთად საზღვარგარეთ იყო, თასზე თამაშის უფლება არ ჰქონდა. ოთარ ქორქია უცხოეთიდან ფინალის წინ ჩამოფრინდა და ლენინგრადშიც ჩამოგვისწრებდა, მაგრამ აეროპორტში დახვდნენ, მანქანაში ჩასვეს და რკინიგზის სადგურზე წაიყვანეს, საიდანაც თბილისში გამოუშვეს. ნაკრების მოსკოველი წევრები კი პირდაპირ ლენინგრადში გამოაფრინეს და მათ ითამაშეს კიდეც. ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სხვათა შორის, მთელი ლენინგრადი ჩვენ გვიჭერდა მხარს.


ვაჟა ჟღენტი

გაბრაზებულებმა მოსკოველებს ფინალში შავი დღე დავაწიეთ. გაგიკვირდებათ და მოსკოველთა ყველაზე მაღალი მოთამაშე კონევი მე მმეურვეობდა. ტაქტიკა ისე ავაწყვეთ, რომ მეტოქის მწვრთნელმა კონევს ჩემი დაჭერა დაავალა. მეც ფარიდან მოშორებით ვმოქმედებდი. ბურთს დიდხანს ვათამაშებდი. ტანმაღალ კონევს ძალიან უჭირდა ბურთის წართმევა, სისწრაფეში ხომ საგრძნობლად ვჯობდი... და, რაც მთავარია, თასის ფინალი ოთარ ქორქიას გარეშე მოვიგეთ.

■ ■ ■

- დაუვიწყარია, 1954 წელს თბილისის „დინამოს" ეგვიპტური ვოიაჟი. ეს აფრიკული ქვეყანა 1949 წლის ევროპის ჩემპიონი გახდა და შემდეგშიც ძლიერი გუნდი ჰყავდა. ამ ტურნესთვის სერიოზულად ვემზადებოდით. ლენინის სახელობის დარბაზში მზიან ამინდშიც გათბობას გვირთავდნენ და ისე გვავარჯიშებდნენ - ეგვიპტეშიც ძალიან ეცხელება და უნდა შეეჩვიოთო. არადა, ქაიროსა და ალექსანდრიაში დიდი, ტევადი დარბაზები იყო, რომლებსაც იმ დროისთვის კონდიცირებაც უმაღლეს დონეზე ჰქონდათ.

ვაჟა გვანცელაძემ აღნიშნა, რომ ეგვიპტელები საბჭოთა ნაკრებს ელოდნენ და „დინამო" რომ შერჩათ, თავიდან ეგონათ, სუსტ მეტოქესთან ჰქონდათ საქმე.

- ამიტომ ჯერ მეორე გუნდი დაგვიპირისპირეს. დიდი სხვაობით რომ დავამარცხეთ, მთავარი იმედი პირველ ნაკრებზე გადაიტანეს, მაგრამ... „დინამომ" მოედანზე ცეცხლი დაანთო, ყველა რთული ილეთი იოლად გამოდიოდა, სწრაფი შეტევების კორიანტელს ენაცვლებოდა გააზრებული პოზიციური იერიშები და ეგვიპტე დამაჯერებლად დავამარცხეთ. სამშობლოში დაბრუნებულები დიდი პატივით მიგვილეს.

■ ■ ■

პუბლიკაცია ვაჟა გვანცელაძის სიტყვებით დავასრულოთ:

- 1954 წელს მე და ვაჟა ჟღენტი საბჭოთა ნაკრებში მიგვიწვიეს. შეკრებისას ჩატარდა ტესტი, რომლის მიხედვით კალათბურთელთა რეაქცია უნდა შემოწმებულიყო. ვაჟა ჟღენტს ისეთი შედეგები აღმოაჩნდა, გაოცებულმა პეტკევიჩუსმა უთხრა - რეაქტიული თვითმფრინავის მონაცემები გქონიაო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ძიუდო. ინტერვიუ ირაკლი უზნაძესთან

# წნეხისგან თავისუფალი ძიუდოისტები

## საქართველო სწორი გზით მიდის, ძიუდო - არა

ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები გუშინ დილით დაბრუნდა პარიზიდან, სადაც ჯერ წარმატებით იასპარეზა „დიდ მუზარადზე" - სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვა, მერე კი იქვე ერთობლივი შეკრება გაიარა. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონი **ვალერი ლიპარტელიანი** (90) გახდა, **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81) ვერცხლი მოიპოვა, **ამირან პაპინაშვილმა** (60) - ბრინჯაო. შედეგი თავისთავად კარგია, მით უფრო - პარიზში გამარჯვება ჩვენებს ყოველთვის უჭირთ, მაგრამ ამაზე დამაიმედებელი გუნდის ჭიდაობის ხარისხია. პროგრესი ეტყობოდათ არა მხოლოდ მედალოსნებს, არამედ - უმედლოდ დარჩენილებსაც. ტურნირის შესახებ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე** გვესაუბრება, რომელმაც ამ რანგში პირველად აჭიდავა გუნდი უცხოეთში.

**- როგორ შეაფასებთ პარიზის ტურნირს, რითი ხართ კმაყოფილი ან უკმაყოფილო?**

- შედეგებით და სტატისტიკიდან გამომდინარე, დადებითი მომენტები სჭარბობდა უარყოფითს. ბიჭებმა კარგად იჭიდავეს და გუნდის საერთო გამოსვლით კმაყოფილი ვარ. ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად გამოიყურებოდნენ, თუმცა იყო ტაქტიკური ხარვეზები, რაც გამოსწორებადია. თუნდაც ჭრიკიშვილის ფინალი გავიხსენოთ — ვერ განეწყო საჭიდაოდ და მსაჯების პროვოკაციაზეც წამოეგო, რაც არ უნდა ემართებოდეს. სპორტსმენმა არბიტრების რეაქციას ყურადღება არ უნდა მიაქციოს, არ უნდა ჩაერიოს მათ კომპეტენციაში და ის ხუთი წუთი თავისი საქმე უნდა აკეთოს. მსაჯებთან და ახალ წესებთან დაკავშირებითაც იყო რამდენიმე ისეთი ნიუანსი, რაშიც, მგონი, საერთაშორისო ფედერაციაც ვერაა ბოლომდე გარკვეული.

**- ჭრიკიშვილი და ლიპარტელიანი ახლა ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე - ბოლო წლებში. მათ თავიანთი ადრინდელი დონე დაგვანახეს. რის ხარჯზე გარდაიქმნენ ისინი - უკეთესი ფიზიკური მომზადების, ფსიქოლოგიის თუ სხვა ფაქტორის?**

- გუნდში ისეთი სიტუაციაა, რომ სპორტსმენები ყოველგვარი ზედმეტი წნეხის, ფსიქოლოგიური ზეწოლისგან გათავისუფლდნენ. ყველას ეძლევა საშუალება, თავისი საქმე აკეთოს ბოლომდე, არ ჰქონდეს შეზღუდვა, გინდა თუ არა, ასე ვაკეთოთ, ან - ისეო. რაც იციან, მათ ის უნდა გამოავლინონ, ოღონდ - წესების შესაბამისად და არც ქართული ტრადიციები დავივიწყოთ. მაგალითად, ქამრიდან რატომ არ უნდა ვიჭიდაოთ, როცა სხვები სწავლობენ ამას?

ჭრიკიშვილთან მიმართებაში მხოლოდ ის ერთი პრეტენზია მაქვს, წელან რომ მოგახსენეთ ფინალზე, სხვა შეხვედრები კი ძლიერად ჩაატარა. ისიც, ლიპარტელიანიც და მთელი გუნდი, მგონი, ყველამ დავინახეთ, რომ არ იღლებოდნენ, ბოლომდე ჭიდაობდნენ და უკეთესად გამოიყურებოდნენ. ლიპარტელიანი ძალიან კარგად მიუდგა საწვრთნელ პროცესსაც, ტურნირსაც, უშეცდომოდ ჩაატარა შეჯიბრება და უძლიერეს მეტოქეებთან ჭიდილში დაიმსახურა ოქროს მედალი. ფინალში კუბელი ემლი გონსალესი ერთ-ერთი უძლიერესი მოწინააღმდეგე ჰყავდა,



ირაკლი უზნაძე

რომელსაც ერთი შანსიც არ მისცა. ძალიან სასიხარულოა მისი ასეთი დამაჯერებელი გამოსვლა.

**- დანარჩენების ასპარეზობას როგორ შეაფასებთ?**

- პაპინაშვილმაც კარგად იჭიდავა, თუმცა უხერხულ მეტოქესთან, რუს ევროპის ჩემპიონ ბესლან მუდრანოვთან დამარცხდა. თანაც - კარიერაში მეოთხედ და უკვე დავიწყეთ პერსონალური მუშაობა მასზე, მომავალში როგორ და რით შეიძლება აჯობოს ჩვენებურმა. სხვა შეხვედრები კარგად ჩაატარა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი ფელიპე კიტადაი გაანადგურა.

ბეთქილ შუკვანი ეტაპობრივად მიდის ძველი ფორმის დაბრუნებისკენ. მას წონა ჰქონდა ავარდნილი და დაკლების შემდეგ მაქსიმალური შედეგი ვერ გამოავლინა. ადამ ოქრუაშვილი კარგად იყო მომზადებული, მაგრამ შანსი არ მიეცა, მსაჯებმა არ აჭიდავეს - გაუგებარი მიზეზით გააფრთხილეს. მერე კი აგვიხსნეს მიზეზი, მაგრამ მაინც არ მგონია სწორი, რადგან ახალ წესებთან მსაჯების შეუთავსებლობით იყო გამოწვეული. მსაჯებმა ზებედა რეხვიაშვილიც ტყუილად გააფრთხილეს მონღოლ ცაგანბაატარ ხაშბაატართან, თორემ ცუდად არც მას უასპარეზია. შეკრება რეხვიაშვილმა კარგად გაიარა, მაგრამ ფსიქოლოგიური ფაქტორია გასათვალისწინებელი. პარიზში გუნდს შეკრებაზეც გამოვუცხადე, რომ ყველა სპორტსმენი უნდა გამოდიოდეს არა ჭიდაობის, არამედ - შედეგისთვის. ყველა უნდა ფიქრობდეს ჩემპიონობაზე და არა მოკლევადიან გათვლაზე, ხვალ იმ შეჯიბრებაზე თუ დამაყენებენ, ან ზეგ ევროპის პირველობაზე თუ მოვხვდებიო. ათლეტი რაგინდ პერსპექტიულიც უნდა იყოს, ასეთი მიდგომის გარეშე ძალიან რთულია, იმისგან დიდი სპორტსმენი დადგეს. დისციპლინის მხრივ ყველაფერი კარგად იყო - ერთს არ დაუმსახურებია შენიშვნა, საყვედური, რაც ჯერ გუნდზე, მერე კი შედეგზეც აისახა.

ნუგზარ ტატალაშვილი თითქმის ყველა ასპექტში სჯობდა ჰოლანდიელ ხიიომ ელმონტს, მაგრამ მეტოქემ ტაქტიკურად აჯობა და ამის ხარჯზე მოუგო. დავით ლორიაშვილმა დაამტკიცა, რომ თბილისის ტურნირზე ებრაელ ორ სასონთან მოგება წაართვეს. ახლა მას დამაჯერებლად აჯობა, თუმცა მერე დასანანი შეცდომა დაუშვა შვედ მარტინ პაჩეკთან. ვფიქრობ, ჩვენებურს სატურნირო გამოცდილებაც აკლია და ტაქტიკურადაც მეტი მოეთხოვება. არადა, ფიზიკური ასპექტის გათვალისწინებით, პოტენციალი აქვს. იმედია, ახალ სტილზე კარგად გადაეწყობა...

66 კილოგრამში ტრისტან ფეიქრიშვილისა და თორნიკე თათარაშვილისგან დიდ შედეგს არ ველოდით. ამ ეტაპზე ისინი უფრო გამოცდილების მისაღებად ჩავრთეთ ტურნირში. მძიმეწონოსანი გიორგი ზაქარიაძეც ახალგაზრდაა, იმანაც გამოცდილება მიიღო, ახლა კი ახალგაზრდულ ნაკრებში გადაერთვება.

**- შეიძლება ითქვას, რომ გუნდის მზადება სწორი გზით მიდის? ამ შეჯიბრებამ რაიმე კორექტივები ხომ არ გიკარნახათ?**

- გუნდი როგორი გზით მიდის, ამ შედეგმა გვაჩვენა, თუმცა ჯერ დასკვნებს მაინც ნუ ვიჩქარებთ - მთავარია, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე გამოვიდეთ კარგად. ეს ტურნირები ხომ მათთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია. გარკვეულ წონებში რაღაცას კი შევცვლით, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არ იქნება გამართლებული.

**- მსაჯების შეცდომები ახსენეთ და თბილისის ტურნირზეც ჩანდა, რომ უჭირთ ახალ წესებთან შეგუება, თითქოს დაბნეულები ჩანდნენ ტატამზე.**

- მსაჯები ფსიქოლოგიურად დათრგუნულები არიან, რადგან ახლა მარტო არიან ტატამზე და მარტოს უწევთ გადაწყვეტილებების მიღება. არბიტრიც ადამიანია და შეიძლება შეცდეს. თან ძიუდო დინამიკური სპორტია და ზოგჯერ სამსაც კი უჭირდა ვითარების უსწრაფესად შეფასება, არათუ - ერთს. ყურსასმენით კომისრებთან კი აქვთ მუდმივი კონტაქტი, მაგრამ დატვირთვა მაინც დიდია. რეხვიაშვილის შეხვედრაში რუს მარატ კოძოკოვთან კურიოზული ფაქტიც კი მოხდა, როცა თავიდან აჭიდავეს, მაგრამ ზებედამ მეორედაც დამაჯერებლად მოუგო. რამდენიმე არბიტრი, რომლებიც შაბათს შეცდნენ, კვირას არც ამსაჯეს.

**- ძიუდოს ახალი წესებიდან ბევრი იწვევს უკმაყოფილებას, მაგრამ ყველაზე მეტად ის, შიდო რომ ქულად არ გარდაისახება. წესების ასეთ ცვლილებებზე ძიუდოისტთა განწყობა როგორია - მიესალმებიან მას?**

- სხვათა შორის, ახალი წესებიდან ბევრს ფრანგებიც ვერ იგებდნენ. არადა, ჩვენი არ იყოს, ისინიც კარგად ერკვევიან ძიუდოს ნიუანსებში. თუმცა მაყურებელი კი არა, მსაჯებსაც ვერ გაუგიათ ბევრი რამე, ასე სწრაფად გადაწყობა მათთვისაც ძნელია. შიდოსთან დაკავშირებით მართლაც ისეთი აზრია, რომ შემჩნევა ქულაში უნდა გადადიოდეს, თორემ რა გამოდის - დასაწყისში შეიძლება, ერთხელ დააგდოს და მერე მთელი შეხვედრა დროის გაყვანაზე იმუშაოს... უმრავლესობის აზრით, ძიუდო არ მიდის სწორი გზით.

ირაკლი თავაძე

ხსოვნა



### ჰანს ბურჯანაძე

ბრწყინვალე სპეციალისტი და პიროვნება დაკარგა საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ოჯახმა — 81 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი სპორტსმენი და ტანმოვარჯიშეთა თაობების ღვაწლმოსილი აღმზრდელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ჰანს ბურჯანაძე.

ჯერ კიდევ ყმაწვილობიდან მიიპყრო ყურადღება, როგორც ნიჭიერმა სპორტსმენმა. თვალსაჩინო წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ ადრევე დაიწყო შეგირდების მომზადება და მთელი თავისი შესაძლებლობები უფრო მათ აღზრდა—დაოსტატებაში გამოავლინა. მის სამწვრთნელო ქურაში გამოიბრძმედნენ სახელოვანი ტანმოვარჯიშეები პაატა შამუგია, სიმონ სხირტლაძე, იური ნინოშვილი და სხვები.

ალღოიანმა და ორგანიზატორული უნარით დაჯილდოებულმა სპეციალისტმა 1979 წელს კუნძულ მადაგასკარზე სამუშაოდ გამგზავრების წინადადება მიიღო და უყოყმანოდ დათანხმდა კიდეც შეთავაზებას — წინ იშლებოდა შესაძლებლობების გამოვლენის ახალი სარბიელი. იმავე წელს გაემგზავრა კუნძულზე, იქ 1982 წლამდე იმუშავა, შექმნა ნაკრები და უდიდესი წვლილი შეიტანა კუნძულზე სპორტული ტანვარჯიშის განვითარებაში. 1982-1988 წლებში საქართველოს, 1994-2004 წლებში კი რუსეთის ვაჟთა ნაკრებების მთავარ მწვრთნელად იმუშავა. შეგირდებისთვის მუდამ იყო მაღალი ზნეობის მაგალითი.

დიდია ჰანს ბურჯანაძის ღვაწლი და დამსახურება საქართველოს ტანვარჯიშის წინაშე, რასაც დავიწყება არ უწერია, მისი ნათელი ხსოვნა კი სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულებში.

*საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაცია*

ოლიმპიური ფესტივალი

# ბრაშოვში შვიდი სპორტსმენით

დღეს დილაუთენია საქართველოს სპორტული დელეგაცია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტ **მამუკა ხაზარელის** ხელმძღვანელობით რუმინეთს გაემგზავრა. 17-დან 22 თებერვლის ჩათვლით ქალაქი ბრაშოვი ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს.



საქართველოს დელეგაცია

თანატოლებს გაეჯიბრებიან სამთო მოთხილამურეები — **ნიკოლოზ კოზანაშვილი, სოსო ჯაფარიძე, შოთა ნათაძე, სანდრო ოგბაიძე** (მწვრთნელი **ვახტანგ თედიაშვილი**), სნოუბორდისტები — **გიორგი წამალაიძე, ბექა მერკვილაძე** (მწვრთნელი **ლევან მშვილდაძე**), ფიგურულად მოციგურავე **არმენ აგაიანი** (მწვრთნელი **მარინე ჯაფარიძე**). ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელია **გიორგი ესაკია**. გუშინ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ასპარეზობის მონაწილეებს შეხვედრა მოუწყვეს და გზა დაულოცეს.

**გიორგი ესაკია:** შარშან მოვინახულე ის ადგილები, სადაც ჩვენი სპორტსმენები იცხოვრებენ და იასპარეზებენ. კმაყოფილი დავრჩი. შეჯიბრების მონაწილეებს საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენისა და აქტიური დასვენების პირობები ექნებათ. წინა ოთხ ფესტივალზეც მე ვიყავი მისიის ხელმძღვანელი და შემიძლია ვთქვა, რომ ამჯერად უკეთ მომზადებული სპორტსმენები მიგვყავს, თუმცა საპრიზო ადგილებისთვის რამდენად იქნება ეს საკმარისი, უშუალოდ პაექრობები გვიჩვენებს.

დელეგაციის სხვა წევრების კომენტარებს „ლელოს" მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# ისევ ყაიმი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებში ორი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად სამთა მინიტურნირის მეორე წრის პირველი ტურის გუშინდელი შეხვედრა **ნინო ხურციძესა** და **სალომე მელიას** შორის უწინდელივით ყაიმით დასრულდა. ხურციძეს 2 ქულა აქვს, მელიას — 1,5, **ნინო ბაციაშვილს** — 0,5 ქულა. დღეს ერთმანეთს ხურციძე და ბაციაშვილი დაუპირისპირდებიან. მელია ისვენებს.

ვაჟა დანელია

# 400 ევრო და 11 პუნქტი

გერმანულ ბადენ-ბადენში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 5000 ევრო), რომელშიც ქართველი დიდოსტატი **თორნიკე სანიკიძეც** მონაწილეობდა. ბოლო მე-9 ტურში იგი ასპარეზობის რეიტინგფავორიტ ეტიენ ბაკროს (საფრანგეთი) დაუზავდა და 6,5 ქულით მე-4 ადგილს დაყაბულდა. ამ მონაგრით სანიკიძემ საოჯახო ბიუჯეტი 400 ევროთი, ხოლო რეიტინგი (2553) 11 პუნქტით შეივსო. ქართველი მოჭადრაკის მსგავსად, 6,5-6,5 ქულას მოუყარეს თავი ინდოელმა პარიმარჯან ნეგიმ (1.000 ევრო) და არგენტინელმა რუბენ ფელგაერმა (700 ევრო), რომლებიც, შესაბამისად, ბენჯამენ ტერეიკსა (გერმანია) და ბორის ჩათალბაშევს (ბულგარეთი) შეუთანხმდნენ ყაიმზე, სანიკიძეს უკეთესი კოეფიციენტით გაუსწრეს და მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს. 7 ქულით პირველი ადგილი და 2.000 ევრო ეტიენ ბაკროს ერგო.



თორნიკე სანიკიძე

თორნიკე სანიკიძე გერმანიიდან საფრანგეთში გადაინაცვლებს და დიდოსტატ **დავით ჯოჯუასთან** ერთად დღეიდან როშფორის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში ჩაებმება.

ვაჟა დანელია

# კალათბურთი

## სუპერლიგა 2012-13. XIV ტური

15 თებერვალი, ბათუმი

**ბათუმი 66 – ოლიმპი 105**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 11 | 13 | 18 | 24 |
| ოლიმპი | 25 | 29 | 21 | 30 |

| ბათუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ემირიძე | 3 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 6 |
| ნანიტაშვილი | 26 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 5 |
| ელიაშვილი | 33 | 7 | 1 | 3 | 1 | 1 | 4 |
| სიგუა | 29 | 4 | 7 | 5 | 1 | 0 | 2 |
| ყველაშვილი | 30 | 6 | 0 | 3 | 2 | 0 | 22 |
| კეშელავა | 38 | 7 | 3 | 1 | 2 | 1 | 20 |
| ნინუა | 35 | 1 | 8 | 1 | 0 | 1 | 7 |
| კოკობინაძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

| ოლიმპი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაშვილი | 18 | 2 | 1 | 3 | 2 | 0 | 10 |
| ტომარაძე | 22 | 7 | 4 | 2 | 3 | 0 | 21 |
| სოკი | 15 | 3 | 3 | 1 | 3 | 0 | 8 |
| ბერიშვილი | 23 | 8 | 2 | 0 | 0 | 1 | 5 |
| თავართქილაძე | 9 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 |
| მიქელაძე | 24 | 2 | 8 | 0 | 2 | 0 | 6 |
| თენიეშვილი | 20 | 6 | 3 | 1 | 0 | 0 | 6 |
| ფაცაცია | 22 | 8 | 1 | 2 | 2 | 2 | 24 |
| ცირეკიძე | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დვალიშვილი | 30 | 16 | 2 | 2 | 0 | 1 | 20 |
| ლოგუანიძე | 6 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 |

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე, მიხეილ ვართანოვი

# ერთი სტუმარმა, ერთიც მასპინძელმა

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 13 | 11 | 2 | 1122/915 | 24 |
| 2. შსს აკადემია | 12 | 10 | 2 | 978/772 | 22 |
| 3. ოლიმპი | 12 | 10 | 2 | 1052/861 | 22 |
| 4. დინამო | 13 | 8 | 5 | 997/950 | 21 |
| 5. არმია | 11 | 9 | 2 | 969/723 | 20 |
| 6. ქუთაისი | 12 | 7 | 5 | 945/877 | 19 |
| 7. თსუ | 12 | 5 | 7 | 841/925 | 17 |
| 8. ბათუმი-რსუ | 13 | 3 | 10 | 874/1076 | 16 |
| 9. სოხუმი | 12 | 3 | 9 | 904/999 | 15 |
| 10. სამედიცინო | 12 | 1 | 11 | 748/1084 | 13 |
| 11. სტუ | 12 | 0 | 12 | 784/1032 | 12 |

15 თებერვალი, რუსთავი

**რუსთავი 94 – დინამო 75**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 21 | 25 | 26 | 22 |
| დინამო | 18 | 25 | 12 | 20 |

| რუსთავი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 29 | 7 | 8 | 1 | 2 | 0 | 9 |
| ცეკვავა | 26 | 6 | 5 | 2 | 1 | 0 | 15 |
| ვატადი | 8 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 |
| აბაიშვილი | 15 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 13 |
| ჩაჩანიძე | 8 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გუგავა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნელსონი | 33 | 6 | 4 | 2 | 1 | 0 | 22 |
| ჭოჭუა | 22 | 5 | 4 | 2 | 3 | 0 | 17 |
| ტუჯანი | 25 | 6 | 1 | 1 | 1 | 0 | 11 |
| ათანელიშვილი | 16 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 4 |
| არაბული | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხმელიძე | 9 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |

| დინამო | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კარიმი | 35 | 6 | 6 | 2 | 1 | 0 | 18 |
| ლეჟავა | 27 | 3 | 1 | 4 | 2 | 0 | 4 |
| ჩიკვილაძე | 33 | 4 | 4 | 4 | 1 | 0 | 23 |
| ლილუაშვილი | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| კეიდია | 15 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 | 6 |
| ორმოცაძე | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გელაზონია | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ოლუიჩი | 33 | 7 | 0 | 2 | 0 | 3 | 10 |
| კლიმენი | 35 | 11 | 2 | 2 | 1 | 0 | 10 |
| ლუდუშაური | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |

მსაჯები: მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი

„ოლიმპი" ბათუმში მოსაგებად ჩავიდა და გაიმარჯვა კიდეც. შეხვედრის შესახებ მატჩისშემდგომი კომენტარებიდან მეტს შეიტყობთ. აქ კი ფოტოზე გავამახვილებთ ყურადღებას: ორი ბათუმელი და ერთი თბილისელი. თითქოს იოლი გამოსაცნობია, ვინ-ვინაა, მაგრამ რეალურად ასე არ არის. საქმე ისაა, რომ „ოლიმპის" წითელი მაისურით მოთამაშე (№10) **ირაკლი მიქელაძე** წარმოშობით ბათუმელია, ასევე ბათუმელია მისი მოწინააღმდეგე **ავთო ელიაშვილი** (№8), ხოლო №7 **გიორგი ნანიტაშვილი** თბილისელია და „ბათუმში" ამ სეზონის წინ გადავიდა.

მატჩში **აკაკი დვალიშვილმა** სუპერლიგის რეკორდი გაიმეორა - მეტოქის ფარზე ბურთი 10-ჯერ მოხსნა. ასეთივე შედეგი მის თანაგუნდელს **სტევან მილოშევიჩს** აქვს ნაჩვენები.

**გია კაზანჯიანი** („ოლიმპის მწვრთნელი"): - მოწინააღმდეგეს ბევრ კომპონენტში ვაჯობეთ, განსაკუთრებით ფარქვეშ და სამქულიანებში. ანდრიუკაიტისი ნელ-ნელა შედის ფორმაში, თუმცა დღეს მისი თამაშის საჭიროება არ იყო და დავასვენეთ.

**მიხეილ კოზემავიძე** („ბათუმის" მწვრთნელი): - ჩვენი გუნდი შემადგენლობით „ოლიმპს" ისედაც ჩამორჩება და ახლა ტრავმიანობაც დაგვემატა - მაისურაძემ და რამიშვილმა ვერ ისპარეზეს, ტრავმის გამო ბოლომდე ვერ ითამაშა გიორგი ნანიტაშვილმა.



„ბათუმი"-„ოლიმპი"

„რუსთავმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მრავალმხრივი გუნდია და წინასწარ რთული გამოსაცნობია, საიდან უნდა ელოდო მისგან ხიფათს. გუშინ დინამოელებმა მასპინძელთა კალათში 9 სამქულიანი ჩააგდეს, რაც შესანიშნავი შედეგია, მაგრამ ამ კომპონენტში ქვემოქართლელები უფრო გამოირჩნენ - 15 სამიანი გამოიყენეს. **მიხეილ ბერუაშვილის** შეგირდებმა მეტოქეს მოხსნებშიც აჯობეს (42:40) და რეალიზებულ ორქულიანებშიც (22:16). მათ გუნდურობაზე კი შედეგიანი გადაცემების სიმრავლე მეტყველებს - 31 (13-ის წინააღმდეგ).

**მიხეილ ბერუაშვილი** („რუსთავის" მწვრთნელი):

- „დინამო" ძლიერი გუნდია და გამარჯვების მიღწევა იოლი არ იყო. წინ კიდევ უფრო სერიოზული ბრძოლები გველის და ვეცდებით, აღებული ტემპი არ დავაგდოთ.

**ირაკლი ხოშტარია** („დინამოს" მწვრთნელი):

- ეს მატჩები პლეი ოფისთვის მოსამზადებლად გვინდა, რადგან გადამწყვეტი ბრძოლები სწორედ მეოთხედფინალიდან იწყება. რუსთაველებს პირველ ტაიმში კარგად ვებრძოლეთ, მაგრამ მეორე ნახევარში...

## სუპერლიგა 2012-13

### XIII ტური

ქუთაისი-არმია........................72:75
დინამო-ბათუმი........................72:48
სოხუმი-შსს აკადემია..................56:59
სამედიცინო-რუსთავი..................74:126
სტუ-თსუ..............................74:88

### რეკორდები

**ქულა**

41 - ლაშა კეშელავა (ბათუმი)
2-ქულ 5/11: 3-ქულ 10/15; საჯ 1/1
19.12.12 არმია-ბათუმი

**მოხსნა**

21 - სერჟ ასელაინი (თსუ)
(მეტოქ: 9; საკუთ: 12)
09.02.13 სტუ-თსუ

**ჩაჭრა**

7 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
17.11.12 სტუ-შსს აკადემია

**პასი**

12 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.11.12 შსს-თსუ
12 - გიორგი გაფრინდაშვილი (სამედიცინო)
15.12.12 სამედიცინო-სტუ
12 - მალხაზ აბაიშვილი (რუსთავი)
04.02.13 რუსთავი-სტუ
12 - ზაურ ფაშაევი (ქუთაისი)
06.02.13 სამედიცინო-ქუთაისი

**დაფარება**

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 12 | 265 | 22.08 |
| 2 | ნეით ბოუი | რუსთავი | 12 | 251 | 20.92 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 12 | 241 | 20.08 |
| 4 | ქირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 11 | 216 | 19.64 |
| 5 | ლამარ კარიმი | დინამო | 11 | 180 | 16.36 |
| 6 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 12 | 190 | 15.83 |
| 7 | ფლინ კლიმენი | დინამო | 12 | 185 | 15.42 |
| 8 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 12 | 184 | 15.33 |
| 9 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 11 | 166 | 15.09 |
| 10 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 12 | 179 | 14.92 |
| 11 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 11 | 155 | 14.09 |
| 12 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 12 | 169 | 14.08 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 11 | 46 | 91 | 137 | 12.45 |
| 2 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 12 | 45 | 103 | 148 | 12.33 |
| 3 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 11 | 48 | 83 | 131 | 11.91 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 12 | 30 | 110 | 140 | 11.67 |
| 5 | სერჟი ასელაინი | თსუ | 11 | 32 | 83 | 115 | 10.45 |
| 6 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 12 | 27 | 83 | 110 | 9.17 |
| 7 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 12 | 37 | 64 | 101 | 8.42 |
| 8 | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 10 | 18 | 61 | 79 | 7.9 |
| 9 | გიორგი რევაზაშვილი | თსსუ | 11 | 33 | 53 | 86 | 7.82 |
| 10 | ლემეინ ვილსონი | არმია | 9 | 13 | 57 | 70 | 7.78 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 12 | 18 | 1.5 |
| 2 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 12 | 18 | 1.5 |
| 3 | იოაკიმ შელგომი | არმია | 10 | 13 | 1.3 |
| 4 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 11 | 13 | 1.18 |
| 5 | სერჟი ასელაინი | თსუ | 11 | 11 | 1 |
| 6 | გიორგი ფერიაშვილი | თსსუ | 12 | 11 | 0.92 |
| 7 | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 11 | 10 | 0.91 |

# სერჟი...

მე-13 ტურში არაერთი საინტერესო და დაძაბული მატჩი გაიმართა. ჟურნალისტებისთვის რთული იყო საუკეთესო კალათბურთელის შერჩევა, თუმცა საბოლოოდ არჩევანი თსუ-ის ლეგიონერ **სერჟ ასელაინზე** შეჩერდა, რომელსაც ტურში ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა - 34 (32 ქულა, 21 მოხსნა). მისი კარგი გარჯა სტუდენტურ დერბიში თსუ-ს გამარჯვების საწინდარი გახდა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**




## საუკეთესონი

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 11 | 73 | 6.64 |
| 2 | გიორგი გამყრელიძე | არმია | 10 | 63 | 6.3 |
| 3 | სტენ სოკი | ოლიმპი | 11 | 68 | 6.18 |
| 4 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 12 | 71 | 5.92 |
| 5 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 12 | 65 | 5.42 |
| 6 | ლამარ კარიმი | დინამო | 11 | 56 | 5.09 |
| 7 | გივი ბაძრაძე | თსუ | 12 | 60 | 5 |
| 8 | ნეით ბოუი | რუსთავი | 12 | 54 | 4.5 |
| 9 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 12 | 48 | 4 |
| 10 | კურტის მილიჯი | არმია | 9 | 36 | 4 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეით ბოუი | რუსთავი | 12 | 32 | 2.67 |
| 2 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 11 | 28 | 2.55 |
| 3 | კურტის მილიჯი | არმია | 9 | 21 | 2.33 |
| 4 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 12 | 26 | 2.17 |
| 5 | მიხეილ ჭოჭუა | რუსთავი | 9 | 17 | 1.89 |
| 6 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 9 | 16 | 1.78 |
| 7 | ირაკლი გაბისონია | თსსუ | 12 | 20 | 1.67 |
| 8 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 12 | 19 | 1.58 |
| 9 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 9 | 14 | 1.56 |
| 10 | აკაკი დვალიშვილი | ოლიმპი | 11 | 17 | 1.55 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 12 | 49 | 4.08 |
| 2 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 12 | 41 | 3.42 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 12 | 40 | 3.33 |
| 4 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 12 | 40 | 3.33 |
| 5 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 12 | 38 | 3.17 |
| 6 | გიორგი ხანიაშვილი | თსუ | 12 | 37 | 3.08 |
| 7 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 12 | 36 | 3 |
| 8 | გივი ბაძრაძე | თსუ | 12 | 35 | 2.92 |
| 9 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 12 | 35 | 2.92 |
| 10 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 11 | 32 | 2.91 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულშემატკივრების თხოვნა

ჩვენ, ქართული რაგბის გულშემატკივრებს, მიგვაჩნია, რომ წინამდებარე თხოვნაში დასმული საკითხი სცილდება ვიწრო სპორტულ თემატიკას და მას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა: რაგბი უფრო მეტია, ვიდრე თამაში, რაგბი მომავალი თაობების აღზრდის საუკეთესო სისტემაა; საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების წარმატებები ხელს უწყობს რაგბის პოპულარიზაციასა და უფრო მეტი ახალგაზრდის ჩართვას ქართული სარაგბო თემის ჯანსაღ სივრცეში; ჩვენი ბორჯღალოსნების წარმატებისათვის კი უმნიშვნელოვანესია ის მატერიალური პირობები, რასაც მას სახელმწიფო შეუქმნის. რაგბისთვის დახარჯული თითოეული თეთრი სახელმწიფოსა და საზოგადოებას სიკეთის სახით ათასწილად დაუბრუნდება.

მოგეხსენებათ, დღეისათვის ქ. თბილისში არსებობს ორი სტადიონი (მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი და ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი), რომელზედაც შეიძლება საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გამართოს საერთაშორისო სარაგბო მატჩები.

ამ რამდენიმე წლის წინ, ქ. თბილისის მერიამ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი გრძელვადიან მფლობელობაში გადასცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ხოლო "დინამოს" სტადიონი, ასევე გრძელვადიანი იჯარით - საფეხბურთო კლუბ "დინამოს". ამასთანავე, ამ ხელშეკრულებებში, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არ იქნა გათვალისწინებული რაგბის ეროვნული ნაკრების მიერ ამ სტადიონებით შეუფერხებლად და უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ ნორმა, რის გამოც, დღეს, საქართველოს რაგბის ეროვნულ ნაკრებს არა აქვს არც საკუთარი სარაგბო სტადიონი, სადაც მიზანშეწონილი იქნებოდა საერთაშორისო მატჩების ჩატარება, და არც დიდი ტევადობის საფეხბურთო სტადიონი, რომლის სარგებლობაც შეეძლებოდა საიჯარო ქირის გადახდის გარეშე. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში (სარაგბო და საფეხბურთო მატჩების დამთხვევა, მინდვრის საფარის გაფრთხილება საფეხბურთო გუნდების ხელმძღვანელთა მხრიდან და სხვა), რაგბის ეროვნულ ნაკრებს არც საიჯარო ქირის გადახდის პირობით ეძლევა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონით სარგებლობის უფლება.





გარდა იმისა, რომ საიჯარო ქირის გადახდა რაგბის კავშირისათვის მძიმე ტვირთია, ყოვლად შეუწყნარებელი და პრინციპულად მიუღებელია, საქართველოს ეროვნული ნაკრები საქართველოს სახელით გამართულ საერთაშორისო მატჩებში სახელმწიფოს მიერ აშენებული და მერიის საკუთრებაში არსებული სტადიონით სარგებლობისთვის საიჯარო ქირას იხდიდეს (ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა ქირის ოდენობას). რაგბის ეროვნული ნაკრები არის ყველაზე წარმატებული გუნდი სპორტის სათამაშო სახეობებში (არასათამაშო სახეობებიდან კი მას მხოლოდ მოჭიდავეები თუ უწევენ კონკურენციას), იგი უკვე მუდმივად მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ სტადიაზე, არის ერთა თასის არაერთგზის გამარჯვებული და მას არაერთხელ მოუტანია უდიდესი სიხარული მთელი საქართველოსთვის; ქართველი "ბორჯღალოსნები" თავიანთი თავდადებით, პიროვნული ღირსებებითა და მაღალი პროფესიონალიზმით, სამაგალითონი არიან ახალგაზრდა მორაგბეებისათვის, ხოლო საყოველთაო აღიარებით საქართველოს რაგბის კავშირი ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ფედერაციაა.

სწორედ ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, რაგბის საერთაშორისო საბჭომ, სულ ცოტა ხნის წინ, საქართველოს განვითარებული სარაგბო ქვეყნის სტატუსი მიანიჭა. ამგვარ ვითარებაში კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს არა აქვს შესაფერისი ტევადობის სტადიონი, სადაც გარანტირებულად ჩაატარებს საერთაშორისო მატჩებს. არსებულ მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ რაგბის საერთაშორისო საბჭომ ქართული რაგბის განვითარების ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მიზნით დააფუძნა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო სარაგბო ტურნირი, რომელიც პირველად წელს, ივნისში უნდა ჩატარდეს და მასში საქართველოსთან ერთად ელიტური სარაგბო ქვეყნების A ნაკრებებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. სტადიონის პრობლემის გამო კი დღემდე გაურკვეველია ამ უმნიშვნელოვანესი ტურნირის ჩატარების ადგილი.

არსებული მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი რაგბის ეროვნული სტადიონის აშენება იქნება, რაც, ცხადია, სწრაფად შესასრულებელი საქმე არ არის; პრობლემა კი რაგბის ეროვნული სტადიონის აშენებამდეც საჭიროებს მოგვარებას. საკითხის გადაწყვეტა შეიძლება შემდეგნაირად: მესხისა და პაიჭაძის სტადიონების ამჟამინდელ მფლობელებთან დადებულ ხელშეკრულებებში შეტანილ უნდა იქნას ცვლილებები, რომლითაც საქართველოს რაგბის ეროვნულ ნაკრებს ექნება უფლება, უსასყიდლოდ ჩაატაროს ყველა საერთაშორისო მატჩი (წინასამატჩო ვარჯიშებითურთ) ამ სტადიონებზე; ამასთან, შეხვედრების ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს (თამაშის შემდეგ მინდვრის საფარის მოწესრიგების ხარჯების ჩათვლით) გადაიხდის რაგბის კავშირი. იმ შემთხვევაში, თუკი ერთმანეთს დაემთხვევა რომელიმე საფეხბურთო კლუბის ან ასაკობრივი ნაკრების და რაგბის ეროვნული ნაკრების მატჩები, უპირატესობა მიენიჭოს რაგბის ეროვნულ ნაკრებს. ამასთან, რაგბის კავშირს უფლება უნდა ჰქონდეს, რაგბის საერთაშორისო საბჭოს ეგიდით ჩატარებული ნებისმიერი საერთაშორისო ტურნირის ყველა მატჩი ჩაატაროს მესხისა და პაიჭაძის სტადიონებზე.

რაც შეეხება რაგბის ეროვნული სტადიონის აშენებას. კარგად გვესმის, რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით ეს საკითხი სწრაფად ვერ გადაწყდება, თუმცა მიგვაჩნია, რომ პ სამუშაოების დაწყება დღესვე შეიძლება (ტერიტორიის შერჩევა, პროექტირება და ა. შ.).

პატივისცემით, რაგბის გულშემატკივრები

*(იბეჭდება შემოკლებით. სტილი დაცულია)*

**რაგბის ქართველ ქომაგთა თხოვნაზე კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს გიორგი ნიჟარაძეს:**

*„დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ ქომაგებს, ვინც ეს თემა წამოწია. თუმცა რამდენიმე განმარტება უნდა გავაკეთო.*

*ქართველმა რაგბის ქომაგებმა მინდა იცოდნენ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და „დინამო არენას" დირექცია ყოველთვის მხარში გვიდგანან და შესაძლებლობების ფარგლებში ყველანაირ დახმარებას გვიწევენ. ამის გამო, ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. უფრო მეტსაც გეტყვით, ფეხბურთის ფედერაცია ყველანაირად ცდილობს, 9 მარტს დანიშნული საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების თამაში გადაიტანოს, თუმცა ეს მასზე სრულად არ არის დამოკიდებული.*

*ქომაგთა თხოვნაში ლაპარაკია იმაზე, რომ იჯარას არ უნდა ვიხდიდეთ. ნებისმიერ სტადიონს, როცა იქ მატჩი იმართება აქვს ხარჯები. შესაბამისად, დამქირავებელმა, ვინც არ უნდა იყოს ის, იჯარა უნდა გადაიხადოს. ფეხბურთის ფედერაცია ფაქტობრივად სიმბოლურ ფასად გვითმობს ხოლმე სტადიონს.*

*პრობლემა რეალურად არსებობს, რადგან მუდმივად დამოკიდებულნი ვართ სხვებზე, ამინდზე და სხვა გარემოებებზე. ვინაიდან ეროვნულ ნაკრებს ვერ ეძლევა საშუალება ითამაშოს თბილისში არსებულ ორ საერთაშორისო დონის სტადიონზე, იძულებულნი ვართ „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" ვითამაშოთ, რომელიც 2 ათას მაყურებელს იტევს. ეს პირდაპირ ურტყამს ჩვენს ავტორიტეტს.*

*გამოსავალი მოკლევადიან პერსპექტივაში არის ასეთი. წლის დასაწყისში მოხდეს შეთანხმება ფეხბურთის ფედერაციასთან, რათა ეროვნული ჩემპიონატის მატჩები არ დაემთხვეს ჩვენი ნაკრების თამაშს.*

*გრძელვადიან პერსპექტივაში კი აუცილებელია აშენდეს 25-30 ათასიანი სტადიონი საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისთვის. ჩვენ გვესმის, რომ ეს საკმაოდ ძვირი ჯდება და სახელმწიფოს ამ ეტაპზე არ აქვს საჭირო თანხები. მაგრამ მიგვაჩნია, რომ უკვე შეიძლება მუშაობა ისეთ თემებზე, როგორიცაა მიწის ნაკვეთის მოძიება და სტადიონის პროექტის შექმნა."*

## ერთა თასი



საქართველოს ნაკრები

# ჰეიგმა სარუსეთოდ 25 ბორჯღალოსანს უხმო

საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩს 23 თებერვალს, სოჭში რუსეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ გამართავს. „ბორჯღალოსნები" ამ თამაშისთვის მზადებას „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ორშაბათიდან დაიწყებენ და პარასკევს სოჭში ჩარტერული ავიარეისით გაემგზავრებიან.

ჩვენი ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** სარუსეთოდ 25 მორაგბე გამოიძახა. გაფართოებულ შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ შერკინების კვაჭი **რეზო ბელქანია** (ლელო), ბურჯი **ირაკლი მირცხულავა** (ტარბი), მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე** (ალბი), მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი) და გარემარბი **ალექსანდრე თოდუა** (ალბი). ამათგან ტრავმის გამო გუნდს მხოლოდ კოლელიშვილი დააკლდება. მას ყვრიმალი აქვს გატეხილი და სამი კვირა უნდა იუქმოს.

„ბორჯღალოსანთა" რიგებში ისევ ვერ მოხვდნენ მეორეხაზელები ლევან დათუნაშვილი (ორიაკი) და **გიორგი ნემსაძე** (ტარბი). დისკვალიფიკაციის შემდეგ გუნდს დაუბრუნდება შერკინების ბურჯი **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი), ტრავმა მოიშუშა და მწყობრშია კიდევ ერთი პირველხაზელი **ვასილ კაკოვინი** (ტულუზი).

**საქართველო**

**პირველი ხაზი:** დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), დავით ხინჩაგიშვილი ირაკლი ნატრიაშვილი (ორივე-ბრივი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია).

**მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე).

**მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი).

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).

**№15:** ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

## ინგლისელი სტუმრები

# ლონდონურ კლუბს მეგობრობა სურს

დღეს „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე საასპარეზოდ ემზადება, ლონდონის „ვოსფსის" 18-წლამდელთა გუნდს დაუპირისპირდება. ჭაბუკი ინგლისელები თბილისში ორი დღის წინ ჩამოვიდნენ და თამაშისთვის „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" ემზადებიან.

ლონდონის „ვოსფსი" ინგლისური რაგბის ერთ-ერთი წამყვანი, ყველაზე ტიტულოვანი კლუბია. „ავივა პრემიერშიპის" წლევანდელ გათამაშებაში ლონდონელები ამჟამად მეოთხე ადგილზე არიან. ცხადია, რაგბის ქართველი ქომაგებისთვის საინტერესოა - რამ განაპირობა ასეთი მაღალი დონის სარაგბო კლუბის მომავალი თაობის ვიზიტი საქართველოში. „ვოსფსის" მწვრთნელთან დენ ბეთისთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ.



- როგორც კი საქართველოდან მოწვევა მივიღეთ, დიდხანს არ გვიფიქრია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული რაგბი პროგრესირებს, ეს კი განსაკუთრებით ასაკობრივ ნაკრებებს ეტყობათ. ვფიქრობთ, ძალიან კარგად მოვიქეცით, ეს შესანიშნავი შანსი რომ გამოვიყენეთ. თქვენს გუნდთან თამაში ჩვენს ბიჭებს დიდად წაადგება. ამასთან ერთად, მატჩი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებსაც მოუტანს სარგებლობას.

**- რამდენიმე დღეა საქართველოში იმყოფებით. ურთიერთობა გაქვთ ადგილობრივ რაგბის თემთან. გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილება.**

- ქართული რაგბი საერთაშორისო ასპარეზზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. 2011 წელს, მსოფლიოს თასზე გამართული მატჩების შემდეგ თქვენს გუნდს ბრიტანეთშიც დიდ პატივს სცემენ. როგორც ვხედავთ, თბილისში ინფრასტრუქტურა და ზოგადად ფინანსური შესაძლებლობები ლიმიტირებულია, მაგრამ რაც არის, ყველაფერი მაღალ პროფესიულ დონეზეა აყვანილი.

**- „ვოსფსის" 18-წლამდლეთა გუნდიდან ინგლისის ნაკრებში თუ არის გამოძახებული ვინმე?**

- ორი ისეთი მოთამაშე გვყავს, ვინც ახლოს არის ამ ნაკრებთან. სამაგიეროდ, ჩვენი ერთი ყოფილი 18-წლამდელი მორაგბე 20-წლამდელთა ნაკრებში მოხვდა.

**- ხომ არ გეგმავთ, რომ საქართველოს „ვოსფსის" ძირითადი გუნდით ეწვიოთ?**

- ამაზე დეტალურად ჩვენი მენეჯერი გიპასუხებთ.

**მარტინ ანსვორსი** - „ვოსფსის" მენეჯერი:

- სამწუხაროდ, „ვოსფსის" ძირითად გუნდს ძალიან დატვირთული სეზონი აქვს. ჩვენი მორაგბეები თამაშობენ „ავივა პრემიერშიპში", „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში და ექვსი ერის მატჩებში, ამიტომ სეზონის განმავლობაში ძალიან იღლებიან. თუ მოვახერხეთ თბილისში ჩამოსვლა, საბრძოლო შემადგენლობით, ალბათ, მაინც ვერ გეწვევით.

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძემ**

სამთო თხილამურები


ტედ ლიგეტი

# ლიგეტი ლეგენდა გახდა

მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატს თამამად შეიძლება ვუწოდოთ **ტედ ლიგეტის** ჩემპიონატი. ამერიკელი გახდა პირველი მამაკაცი მოთხილამურე ბოლო 45 წლის განმავლობაში, ვინც ერთ ჩემპიონატზე სამი ოქროს მოპოვება მოახერხა. თუ ლიგეტი კვირას სპეციალური სლალომის სტარტსაც მოიგებს, ის გვერდით ამოუდგება ფრანგ ლეგენდას **ჟან-კლოდ კილის**, რომელმაც 1968 წლის პირველობაზე ოქროს ოთხი მედალი მოიპოვა.

გუშინ ლიგეტის განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია - მან მოიგო დისციპლინა, რომელშიც ამ სეზონში ისედაც დომინირებს. უფრო გასაკვირი მისი წინა ორი ტრიუმფი იყო სუპერგიგანტსა და სუპერკომბინაციაში. ეს სახეობები არასოდეს მიიჩნეოდა ამერიკელის ვიწრო სპეციალიზაციად.

რაც შეეხება გუშინდელ სტარტს, იქ ლიგეტიმ უბრალოდ კარგად გააკეთა თავისი საქმე. ორმა შესანიშნავმა ცდამ მას თითქმის წამიანი უპირატესობა მოუტანა ავსტრიელთა კერპ **მარსელ ჰირშერზე**, რომელმაც საუკეთესო მეორე ცდა აჩვენა, მაგრამ ამერიკელის გასწრება მაინც ვერ მოახერხა.

მესამე ადგილი დაიკავა იტალიელმა **მანფრედ მოელგმა**. ის, როგორც იქნა, დაუბრუნდა თავის საუკეთესო ფორმას და ამ სეზონში პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწია.

■ ■ ■

შლადმინგში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გმირობას ქალთა სეზონის ლიდერს, სლოვენიელ **ტინა მაზეს** უწინასწარმეტყველებდნენ. მართალია, ტინას ასევე სამი მედალი აქვს, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთია ოქროსი, თანაც, მან ვერ აასრულა დანაპირები და ყველა დისციპლინაში მედლის მოპოვება ვერ მოახერხა.

მესამე მედალი მაზემ სწორედ გიგანტურ სლალომში მოიპოვა - ის პოდიუმის მეორე საფეხურზე ავიდა, თუმცა მეტს გეგმავდა. სლოვენიელმა უკვე პირველ ცდაზე წააგო გუშინდელი სტარტი, რადგან წამით ჩამორჩა მომავალ ტრიუმფატორს, ფრანგ **ტესა ვორლის**. ასე რომ, ტინამ დათმო წინა ჩემპიონატზე ამ სახეობაში მოპოვებული ტიტული.

ვორლის სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მით უმეტეს, რომ სტარტამდე ბოლო ვარჯიშზე ტრავმა მიიღო გიგანტურ სლალომში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გერმანელმა **ვიქტორია რებენსბურგმა** და მხოლოდ მე-11 აღმოჩნდა საბოლოო ოქმში.

საფრანგეთის ქალთა ნაკრებმა კი ამ ჩემპიონატზე მეორე ოქრო აიღო. შეგახსენებთ, რომ მანამდე სწრაფდაშვება მოიგო **მარიონ როლანმა**.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების ორი კომპლექტი დარჩა გასათამაშებელი: შაბათს და კვირას, სპეციალური სლალომი გაიმართება ქალებსა და მამაკაცებს შორის.

**გიგანტური სლალომი**

**კაცები**

1. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 2:28.92 (1:13.14+1:15.78); 2. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 2:29.73 (1:14.45+1:15.28); 3. **მანფრედ მოელგი** (იტალია) - 2:30.67 (1:14.58+1:16.09); 4. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 2:30.71 (1:14.44+1:16.27); 5. **ალექსის პინტურო** (საფრანგეთი) - 2:30.86 (1:15.09+1:15.77); 6. **დავიდე სიმონჩელი** (იტალია) - 2:31.00 (1:14.91+1:16.09)...

**გიგანტური სლალომი**

**ქალები**

1. **ტესა ვორლი** (საფრანგეთი) - 2:08.06 (1:04.90+1:03.16); 2. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 2:09.18 (1:05.99+1:03.19); 3. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 2:09.24 (1:05.75+1:03.49); 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 2:09.60 (1:05.42+1:04.18); 5. **ფრიდა ჰანსდოტერი** (შვედეთი) - 2:10.34 (1:06.55+1:03.79); 6. **მიკაელა შიფრინი** (აშშ) - 2:10.36 (1:06.55+1:03.81)...

ველოსპორტი

# კატიუშა გაამართლეს

სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ დააკმაყოფილა რუსული ველოსაჯინიბოს - „კატიუშას" აპელაცია, რომელიც გუნდმა მსოფლიოს ტურის ლიცენზიის ჩამორთმევის გამო შეიტანა.

2012 წლის 10 დეკემბერს, ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა უარი უთხრა „კატიუშას" ლიცენზიის გაგრძელებაზე და ეს იმით ახსნა, რომ რუსების გუნდში არასაკმარისად ებრძვიან დოპინგს.

20 დეკემბერს „კატიუშამ" აპელაცია შეიტანა სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში და მოიგო საქმე. მოსამართლე არ დაეთანხმა ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის მოსაზრებებს და გადაწყვეტილების გაუქმება მოსთხოვა. ახლა კავშირმა ლიცენზია უნდა აღუდგინოს „კატიუშას", რის შემდეგაც, ამ გუნდს ისევ ექნება პრესტიჟულ რბოლებში გამოსვლის უფლება.


კატიუშას ლიდერი ხოაკიმ როდრიგესი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონმა დურანტს აჯობა, კლიპერსმა – ლეიკერსს

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „ყველა ვარსკვლავის უქმეების" გამო პაუზა გამოცხადდა, მანამდე კი რეგულარულ ჩემპიონატში ორი საინტერესო მატჩი გაიმართა.

"მაიამი", რომელმაც ბოლო პერიოდში ფანტასტიკური ტემპი აკრიფა, სტუმრად „ოკლაჰომასთან" თამაშობდა. ჩემპიონს ექვსმატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდა, თან შეუჩერებელი გახდა გუნდის ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი**, რომელმაც ზედიზედ ექვს შეხვედრაში დააგროვა 30 ქულა და თან თამაშიდან 60-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა (NBA-ის რეკორდი). ამჯერად "მეფემ" ეს სერია ვერ გააგრძელა. მისი სტატისტიკა 39 ქულა, 12 მოხსნა და 7 შედეგიანი პასი იყო, მაგრამ 60-პროცენტიან სიზუსტემდე სულ მცირე დააკლდა (14/24 თამაშიდან). ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამის გამო ლებრონი დიდად დამწუხრებულიყო, მით უმეტეს, რომ 30-ქულიანი შვიდი მატჩი დაუგროვდა, რაც მის კარიერაში ბოლოს 2005-06 წლების სეზონში მოხდა.

ყველაზე სასიამოვნო ჩემპიონისთვისა და მისი ლიდერისთვის ის იყო, რომ "ჰიტი" ძალიან იოლად გაუსწორდა ასოციაციის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს. ხუმრობა საქმე ნამდვილად არ არის მესამე მეოთხედში მიღწეული 23-ქულიანი უპირატესობა. და ეს იმის მიუხედავად, რომ მასპინძელთა დუეტი მაქსიმალურს აკეთებდა შეხვედრის გადასარჩენად. **დურანტმა** 40 ქულის დაგროვება შეძლო, კიდევ 26 **უესტბრუკმა** დაუმატა. გარდა ამისა, ამ გამთამაშებლის ანგარიშზე 10 შედეგიანი პასიც იყო. დუეტმა 28-დან 27 საჯარიმო მოახვედრა მიზანში, თუმცა 11 შეცდომაც დაუშვა.

და მაინც, **ბრუქსის** შეგირდებმა ულაპარაკოდ წააგეს შეხვედრა. მიზეზი კი ის არის, რომ დურანტსა და უესტბრუკს პარტნიორებისგან სათანადო მხარდაჭერა არ ჰქონდათ - არც ერთ მასპინძელ კალათბურთელს არ გადაულახავს 10-ქულიანი ზღვარი. **იბაკასა** და **პერკინსის** დუეტმა კი „მაიამის" ფარის მოგების საშუალებაც მისცა (46:35). საბოლოოდ, მაქსიმუმი, რასაც „ოკლაჰომამ" მეოთხე მეოთხედში მიაღწია, მეტოქესთან 10 ქულით მიახლოება იყო.


ბრაიანტი და პოლი

■ ■ ■

არანაკლებ ინტერესს იწვევდა დღის მეორე მატჩი - ლოსანჯელესური დერბი „ლეიკერსსა" და „კლიპერსს" შორის. მაგრამ ინტრიგა არც ამ შეხვედრაში ყოფილა, რადგან „ლეიკერსმა" ულაპარაკოდ წააგო ამ მომენტისთვის მასზე ძლიერ თანაქალაქელთან.

„კლიპერსმა" ფანტასტიკური სტარტი აიღო და 15:0 წაიყვანა ანგარიში. აქედან **გრიფინის** წილი 10 ქულა იყო. თუმცა ეს არ ყოფილა ნომინალური სტუმრის უპირატესობის საბოლოო დაფიქსირება, რადგან „ლეიკერსმა" მოახერხა სამ ქულამდე ანგარიშის შემცირება, რასაც „კლიპერსის" კიდევ ერთი სპურტი მოჰყვა - 11:0. დაახლოებით წუთ-ნახევარი დასჭირდა **ბილაპსს** იმისთვის, რომ ჩაეგდო საშუალო ტყორცნა, შეესრულებინა „ენდ-უანი" **ჰოვარდთან** ბრძოლაში და კალათში მოეთავსებინა სამქულიანი. გარდა ამისა, დროის ამ პერიოდში ვეტერანმა ორჯერ მოჰპარა ბურთი **ბრაიანტს**. ამ სპურტში შედიოდა ასევე, კიდევ ერთი სამქულიანი **პოლის** შესრულებით. ეს უკანასკნელი მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. 24 ქულა და 13 შედეგიანი პასი - ასეთი გახლდათ პლეიმეიკერის სტატისტიკა.

საერთო ჯამში, „კლიპერსმა" თამაშიდან ტყორცნების ნახევარზე მეტი გამოიყენა, 30 სამქულიანი ესროლა და 16 ჩააგდო. ამიტომაც, ბრაიანტის ორმაგმა დუბლმა (20 ქულა, 11 პასი) „ლეიკერსს" ვერ უშველა.

**ოკლაჰომა–მაიამი 100:110**

17:32, 29:31, 23:25, 31:22

ო: დურანტი (40+8 მოხსნა+3 დაფარება), უესტბრუკი (26+5 მოხსნა+10 პასი).

მ: ჯეიმსი (39+12 მოხსნა+7 პასი), ბოში (20+12 მოხსნა+3 დაფარება), უეიდი (13+5 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), ალენი (13).

**ლეიკერსი–კლიპერსი 101:125**

17:31, 35:33, 28:37, 21:24

ლ: ბრაიანტი (20+5 მოხსნა+11 პასი), ჰოვარდი (18+8 მოხსნა), ჯეიმისონი (17), მიქსი (13+6 მოხსნა), უორლდ პისი (11).

კ: პოლი (24+13 პასი), გრიფინი (22+10 მოხსნა), ბილაპსი (21+4 ჩაჭრა), ბატლერი (13+8 მოხსნა), ჯორდანი (11+12 მოხსნა), ბარნსი (11).


ჯორდანი კობის მხარესაა

## ხუთი ერთზე მეტია

### ჯორდანი კობის ლებრონზე მაღლა აყენებს

მუდმივ დავას იმის შესახებ - „ვინ უფრო ძლიერია - ლებრონ ჯეიმსი თუ კობი ბრაიანტი?" ყველა დროის უძლიერეს კალათბურთელად აღიარებული **მაიკლ ჯორდანი** გამოეხმაურა.

*„ხუთი ტიტული ყოველთვის გადაწონის ერთს - რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ ამ საკითხს. მე არ ვამბობ, რომ ლებრონს არ შეუძლია ხუთი საჩემპიონო ბეჭდის მოპოვება. დამიჯერეთ, მას ეს შეუძლია - უფრო მეტისაც კი. მაგრამ ამ მომენტისთვის ბრაიანტს უფრო მაღლა ვაყენებ. უბრალოდ იმიტომ, რომ ხუთი უფრო მეტია, ვიდრე ერთი"*, - განაცხადა მაიკლ ჯორდანმა.

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ბევრი იაგრი

„კალგარისა" და „დალასს" შორის რეგულარული ჩემპიონატის მატჩში, გულშემატკივართა ჯგუფი ორიგინალურად მიესალმა „სტარზის" ფორვარდ **იარომირ იაგრს**.

შეხვედრა 14 თებერვალს გაიმართა და „ფლეიმზმა" 7:4 გაიმარჯვა. იაგრმა იმ მატჩში ორი საგოლე პასი მიითვალა.

მატჩს ესწრებოდნენ გულშემატკივრები, რომლებიც იმ გუნდების მაისურებში იყვნენ გამოწყობილნი, სადაც იაგრს უთამაშია - „დალასი", „რეინჯერსი", „ვაშინგტონი", „ფილადელფია" და „პიტსბურგი". მათ გვერდით იყო ფანი ჩეხეთის ნაკრების ფორმით. ქომაგებს თავზე პარებკი ეხურათ, რომელიც იაგრის ახალგაზრდობის ვარცხნილობას გამოსახავდა.

ერთ-ერთი პაუზის დროს გულშემატკივრები წამოდგნენ და ჩეხ ლეგენდას მიესალმნენ, რომელსაც ძალიან ესიამოვნა მისი პიროვნების მიმართ ინტერესი.

**რეინჯერსი–აილენდერსი 3:4 (ბ)**

2:0, 1:3, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ჟირარდი-1 (ჰაგელინი-3, ნეში-8), 2:0 გაბორიკი-7 (ბ. რიჩარდსი-8, კელეჰანი-1), 2:1 კ. მაკდონალდი-2 (ჩიზიკასი-3), 2:2 ტავარესი-8, 2:3 ბოიესი-4 (ვიშნოვსკი-3, სტრაიტი-4), 3:3 ჰაგელინი-5 (გაბორიკი-4, მ. სტაალი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** ნილსენი (აილენდერსი), ტავარესი (აილენდერსი).

**ფლორიდა–მონრეალი 0:1 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 რ. ბურკი-4 (გალჩენიუკი-7).

**მინესოტა–კოლორადო 3:4 (ბ)**

0:0, 1:2, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პალუშაი-1 (დ. ჯონსი-1, პ. შჩასტნი-4), 1:1 პარიზე-7 (მ. კოივუ-8, ჰიტლი-3), 1:2 ჰეიდუკი-2 (მაკგინი-6, ბარი-1), 2:2 რუპი-1 (გრანლუნდი-4), 3:2 მ. კოივუ-3 (ჰიტლი-4, რ. სატერი-8), 3:3 დუშენი-4 (პარენტო-4, ო'ბრაიენი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰეიდუკი (კოლორადო), დუშენი (კოლორადო).

**კაროლინა–ტორონტო 3:1**

0:0, 3:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კორვო-2 (ე. სტაალი-9), 1:1 კადრი-4 (ფანოფი-3, გრაბოვსკი-3), 2:1 ი. იოკინენი-2 (სკინერი-6, კორვო-4), 3:1 ჯ. სტაალი-2 (სკინერი-7, მაკბეინი-3).

**ტამპა ბეი–ვაშინგტონი 3:4**

1:1, 0:1, 2:2

**გოლები:** 0:1 ბრაუერი-7 (მ. პერო-2, ბექსტრიომი-10), 1:1 სან ლუი-4 (პულიო-5, ლეკავალიე-9), 1:2 ფერი-2 (მ. პერო-3, ჯ. უორდი-6), 1:3 ფერი-3 (მ. პერო-4, ჯ. კარლსონი-4), 1:4 ბიგლი-1 (მულტცი-2, კუნდრატეკი-4), 2:4 2:4 პურსელი-3 (სტემკოსი-11), 3:4 ნ. ტომპსონი-3 (სან ლუი-15).

**ნეშვილი–ფინიქსი 3:0**

0:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 გ. ბურკი-3 (ერატი-5, შ. უებერი-2), 2:0 სპალინგი-3 (ჰალიშჩუკი-1, კ. უილსონი-5), 3:0 ფიშერი-2 (ელისი-4, ერატი-6).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


იაგრის ფანები

## რაგბი


მელბურნ რებლზი-ფორსი

# ზე რაგბი რებლზმა გახსნა

ზე რაგბის გათამაშება ავსტრალიის კონფერენციაში გამართული პირველი მატჩით გაიხსნა. ორი წლის წინათ დაფუძნებულმა ავსტრალიურმა „მელბურნ რებლზმა“ შინ პერთის „ფორსს“ უმასპინძლა და 30:23 დაამარცხა.

მელბურნელებმა თავის მოკლევადიან ისტორიაში პირველად დაიწყეს სეზონი წარმატებით. მათი ერთ-ერთი დამრიგებელი საქართველოს ნაკრების დაცვის ყოფილი მწვრთნელი **ჯონ მაგლტონია,** რომელმაც, როგორც ჩანს, გუნდის თამაშის ეს კომპონენტი საგრძნობლად დახვეწა.

„რებლზის“ რიგებში მსოფლიოს დონის სამი ვარსკვლავი თამაშობს: ფულბეკი **ჯეიმზ ოკონორი,** მგეზავი **ქართლი ბეილი** და მესამეხაზელი **სკოტ ჰიგინბოთამი.** მელბურნელთა გუნდში დებიუტი ჰქონდა იაპონიის ნაკრების შერკინების კვაჭს **შოთა ჰორის,** რომელიც ნოემბრის ტესტებზე საქართველოს ნაკრებთან თბილისში გამართულ მატჩში იაპონელთა შორის საუკეთესო იყო.

ზე რაგბის გათამაშება ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი საკლუბო ტურნირია, რომლის გამარჯვებულიც აგვისტოს დასაწყისში გახდება ცნობილი. გუნდებს შესვენებისა და სულის მოთქმის საშუალება მხოლოდ ივნისის ტესტებისას ექნებათ, თუმცა წამყვანი მოთამაშეები თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში იქნებიან დაკავებულნი.

სეზონის ასეთი ხანგრძლივობა გუნდების მწვრთნელებს აიძულებს რაც შეიძლება რაციონალურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული რესურსი და ფორმის პიკს მაშინ მიაღწიონ, როცა გადამწყვეტი, პლეი ოფის მატჩების დრო დგება. ერთი მხრივ, გრძელი სეზონი ძალიან მომქანცველია, მაგრამ, ამასთან, მორაგბეებისთვის ასეთი ტურნირის მოგება უფრო პრესტიჟულია.

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ცხრა ნომერმა **ფური დუპრიმ** ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც კი თქვა, რომ ზე რაგბის გათამაშებაში გამარჯვება 2007 წლის მსოფლიოს თასის მოგებაზე მეტად გაეხარდაო. კაცია და გუნება, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შეჯიბრებისთვის მოთამაშეები უდიდესი მონდომებით ემზადებიან.

ზე რაგბის გათამაშება მეორე წელიწადია ახალი ფორმატით ტარდება. შეჯიბრებაში თხუთმეტი გუნდი ასპარეზობს, რომელიც სამ კონფერენციაშია განაწილებული. ხუთ-ხუთი ავსტრალიური, სამხრეთაფრიკული და ახალზელანდიური გუნდი საკუთარი ქვეყნების კონფერენციებში პირველობისთვის იბრძვის.

ორი საუკეთესო პირველადგილოსანი პირდაპირ ნახევარფინალში ითამაშებს. კიდევ ოთხი გუნდი (მესამე პირველადგილოსანი და სამი საუკეთესო მაჩვენებლების მქონე გუნდი) კი ნახევარფინალში მოსახვედრ შესარჩევ მატჩებს გამართავს. შარშან, ავსტრალიურ გუნდებს ჩავარდნა ჰქონდათ. საპლეიოფო ექვსეულში მხოლოდ წინა წლის გამარჯვებულმა ბრისბენის „რედსმა“ გააღწია და ასპარეზობა ნახევარფინალის შესარჩევ სტადიაზე შეწყვიტა.

ზე რაგბის ჩემპიონი კი ახალზელანდიური ჰემილტონის „ჩიფსი“ გახდა, რომელმაც ფინალში სამრეთაფრიკული დურბანის „ნატალ შარქსი“ დაამარცხა - 37:6. სავარაუდოდ, ჩემპიონის ტიტულისთვის წლეულსაც ახალზელანდიელები და სამხრეთაფრიკელები იბრძოლებენ.

საგრძნობლად მოღონიერდა და ძველი ძალა დაიბრუნა ზე რაგბის მრავალგზის გამარჯვებულმა ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“, რომელმაც ორივე მსოფლიოს დონის ვარსკვლავის, **რიჩი მაქოასა და დენ კარტერის** შენარჩუნება შეძლო. მისი უმთავრესი კონკურენტი ორი სამხრეთაფრიკული გუნდი: შარშანდელი ფინალისტი „ნატალ შარქსი“ და პრეტორიის „ბლუ ბულზი“ იქნება.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა კლუბების როტაცია განახორციელა. შარშანდელი ხელმოცარულის - ზე რაგბიში იოჰანესბურგის „ლაიონზის“ ნაცვლად ახალი გუნდი, „საუთერნ კინგზი“ ითამაშებს. ასეთი რამ, ამ ტურნირის ისტორიაში პირველად მოხდა. ახლა, „კინგზს“ დიდი ძალისხმევა დასჭირდება ღირსეულად თამაშისთვისა და თავისი ამბიციების საფუძვლიანობის დასამტკიცებლად.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთაფრიკელები როტაციის პრინციპის დარღვევას არ აპირებენ და ამ ქვეყნის კონფერენციაში ბოლოადგილოსანი მომავალ სეზონში ადგილს ისევ იოჰანესბურგის „ლაიონზს“ დაუთმობს.

ზე რაგბის პირველ ტურში მხოლოდ ორი შეხვედრა გაიმართება და ყველა გუნდი ასპარეზობაში მეორე ტურიდან ჩაერთვება.

### ავსტრალია

ბრისბენის „რედსი“, კანბერის „ბრამბიზი“, სიდნეის „ვორათაზი“, მელბურნ „რებლზი“, პერთის „ფორსი“.

### ახალი ზელანდია

ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერსი“, დანიდინის „ჰაილენდერზი“, ოქლენდის „ბლუზი“, ველინგტონის „ჰარიკენზი“, ჰემილთონი „ჩიფსი“.

### სამხრეთ აფრიკა

პრეტორიის „ბლუ ბულზი“, დურბანის „ნატალ შარქსი“, კეიპთაუნის „სტორმერზი“, „საუთერნ კინგზი“, ბლუმფონტეინის „ჩიტაზი“.

### I ტური

მელბურნ რებლზი-ფორსი 30:23, ბრამბიზი-რედსი.

### II ტური

ჰაილენდერზი-ჩიფსი, მელბურნ რებლზი-ბრამბიზი, ბლუ ბუზი-სტორმერზი, ჰარიკენზი-ბლუზი, რედსი-ვორათაზი, ჩიტაზი-ნატალ შარქსი, კინგზი-ფორსი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| მიოლდე-სიოგნდალი | 2:2 |
| მალმიო-ოდენსე | 3:1 |
| ვეილე-კიოგე | 1:2 |
| ბოდო გლიმტი-რანჰაიმი | 1:2 |
| პანდური-ბრონდბიუ | 2:1 |
| რადი-სილკებორგი | 1:2 |
| მტკ-მეტალურგი (დ) | 2:4 |
| ტურკუ-ჰიონეფოსი | 1:0 |
| ოცელული-სპარტაკი | 1:2 |
| ჰელსინგბორგი-აგფ ორჰუსი | 1:4 |
| ზაგლებე-კატოვიცე | 2:1 |
| ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 0:1 |
| კობ რამბლერსი-კორკი | 1:1 |
| უოტერფორდი-ლიმერიკი | 1:0 |
| ოლბორგი-ელფსბორგი | 3:0 |

**ინგლისი**

| I ლიგა | |
|---|---|
| ტრანმერი-შრიუსბერი | 0:2 |
| **II ლიგა** | |
| ექსეტერი-აკრინგტონი | 2:0 |

| იტალია | |
|---|---|
| მილანი-პარმა | 2:1 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| სევილია-დეპორტივო | 3:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-ბაიერნი | 0:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| მიუნხენი-ბოხუმი | 0:1 |
| პადერბორნი-აუე | 2:0 |
| რეგენსბურგი-ბრაუნშვაიგი | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| ლაიპციგი-ნოიშტრელიტცი | 1:0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ლილი-რენი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| არლი-ნიორი | 0:1 |
| გფკო აიაჩო-ნიმი | 2:3 |
| ისტრი-ოსერი | 0:3 |
| ლავალი-სედანი | 3:0 |
| ჰავრი-ანჟერსი | 2:1 |
| ლე მანი-კაენი | 1:1 |
| ლანსი-შატორუ | 4:3 |
| ტური-კლერმონი | 2:1 |
| **ნასიონალი** | |
| კევილი-ლუზენაკი | 1:2 |
| ამიენი-ორლეანი | 3:0 |
| კარკეფუ-ბასტია | 5:0 |
| კრეტეი-მეცი | 2:0 |
| რედ სტარი-ლე პუარი | 0:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ნიიმეგენი-ვენლო | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| დორდრეჰტი-იგლზი | 1:1 |
| ჰელმონდი-ემენი | 4:3 |
| მაასტრიხტი-კამბური | 1:2 |
| სპარტა-ეინდჰოვენი | 6:1 |
| ტელსტარი-ფორტუნა | 2:0 |
| ტოპ ოსი-გრააფსხაპი | 0:2 |
| ვეენდამი-ალმერი | 3:1 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-შარლერუა | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| სტ.ტრუიდენი-მუსკრონი | 2:0 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| ბეირა მარი-პორტუ | 0:2 |

| შოტლანდია | |
|---|---|
| აბერდინი-დანდი | 1:0 |

**საბერძნეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ლარისა-პანსერაიკოსი | 0:1 |

| თურქეთი | |
|---|---|
| ახისარი-გალათასარაი | 1:2 |

| უელსი | |
|---|---|
| პრესტატინი-ეირბასი | 0:4 |
| ებერისტვიტი-ბალა | 1:3 |

| ხორვატია | |
|---|---|
| ინტერი-ზადარი | 0:1 |
| სპლიტი-ზაგრები | 3:2 |

| ავსტრალია | |
|---|---|
| ნიუკასლი-მელბურნი | 2:0 |

### კალათბურთი

| ევროლიგა | |
|---|---|
| ხიმკი-ოლიმპიაკოსი | 82:87 |
| ფენერბაჰჩე-ბეშიქთაში | 78:72 |
| მონტეპასკი-კახა ლაბორალი | 85:74 |

### ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| ავანგარდი-სკა | 3:4 (ბ) |
| მეტალურგი (მ)-ავტომობილისტი | 3:1 |
| იუგრა-დინამო (მ) | 4:0 |
| ლოკომოტივი-მეტალურგი (ნ) | 2:5 |
| სევერსტალი-ს. იულიაევი | 3:0 |
| ტორპედო-სიბირი | 4:0 |
| ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი | 1:4 |
| სპარტაკი-ლევ პოპრადი | 0:2 |
| დინამო (მნ)-აკ ბარსი | 2:3 |
| ატლანტი-ამური | 2:0 |
| დონბასი-სლოვანი | 3:4 (ო) |
| დინამო (რ)-ცსკა | 3:2 (ბ) |

| ავსტრია | |
|---|---|
| ვენა-[illegible] | [illegible] |
| დორნბირნი-ოლიმპია | 3:2 (ო) |
| ზნოიმო-ალბა | 6:2 |
| ინსბრუკი-ზალცბურგი | 1:5 |
| კლაგენფიურტი-გრაცი | 3:2 |
| ლინცი-ზაგრები | 6:5 |

| გერმანია | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 3:0 |
| აისბარენი-დიუსელდორფი | 5:4 (ბ) |
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 4:2 |
| იზერლონი-ჰამბურგი | 2:5 |
| კიოლნი-აუგსბურგი | 4:0 |
| კრეფელდი-მანჰაიმი | 4:3 |
| შტრაუბინგი-მიუნხენი | 1:0 |

| დანია | |
|---|---|
| როდოვრე-ფრედრიკშავენი | 2:3 (ო) |
| ესბერგი-კოპენჰაგენი | 7:2 |
| ჰერნინგი-ოლბორგი | 5:1 |
| ჰერლევი-ოდენსე | 4:1 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ბისტრიცა-მარტინი | 5:0 |
| ჟილინა-ნიტრა | 1:2 |
| პოპრადი-ზვოლენი | 2:3 (ო) |
| ტრენჩინი-სკალიცა | 6:2 |
| პიესტანი-კოშიცე | 5:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ბლუზი-ტაპარა | 0:3 |
| პელიკანსი-იუვიასკიულა | 1:4 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| კლადნო-ჟლინი | 5:2 |
| ხომუტოვი-პლზენი | 4:3 |
| ბრნო-კარლოვი ვარი | 4:0 |
| ბუდეიოვიცე-ტრშინეცი | 5:3 |
| ლიბერეცი-ლიტვინოვი | 5:3 |
| სპარტა-სლავია | 2:3 (ო) |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბილი-ამბრი | 5:0 |
| დავოსი-კლოტენი | 2:0 |
| ლანგნაუ-ბერნი | 6:5 (ო) |
| ლუგანო-ცუგი | 3:4 |
| რაპერსვილი-ციურიხი | 2:3 (ო) |
| სერვეტი-ფრიბურგი | 5:4 (ო) |

### ჩოგბურთი

| ATP. როტერდამი | |
|---|---|
| დიმიტროვი-ბაღდატისი | 6:7, 7:6, 6:3 |
| ნიემინენი-დელ პოტრო | 3:6, 4:6 |
| ფედერერი-ბენეტო | 3:6, 5:7 |

| ATP. სან ხოსე | |
|---|---|
| ჰაასი-ჯონსონი | 6:4, 6:2 |

| ATP. სან პაულუ | |
|---|---|
| ბოლელი-მონტანიესი | 6:4, 6:4 |
| ვოლანდრი-ალუნდი | 5:7, 6:7 |
| ალმაგრო-ნალბანდიანი | 6:7, 6:3, 6:7 |

| WTA. დოჰა | |
|---|---|
| სტოსური-შარაპოვა | 2:6, 4:6 |
| აზარენკა-ერანი | 6:2, 6:2 |
| კვიტოვა-ს. უილიამსი | 6:3, 3:6, 5:7 |
| ა. რადვანსკა-ვოზნიაცკი | 6:2, 7:5 |

## TV პროგრამა

### 16 თებერვალი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტური. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
**12:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. ტურის მიმოხილვა.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**16:00** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბორუსია (მ)-ლაციო.
**18:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**18:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტური. მაინცი-შალკე (LIVE).
**20:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**21:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტური. დორტმუნდი-აინტრახტი (LIVE).
**23:45** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ეინდჰოვენი-უტრეხტი (LIVE).
**01:45** გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტური. ლევერკუზენი-აუგსბურგი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-კლიპერსი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. VII ტური. ეფესი-რეალი.
**17:30** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ლევერკუზენი-აუგსბურგი (LIVE).
**20:30** ყველაზე სწრაფები.
**20:45** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. 1983-84 წლები.
**21:45** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ტვენტე-ტილბურგი (LIVE).
**22:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-კლიპერსი.
**00:45** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-მაიამი.
**21:30** NBA ACTION.
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).

### 17 თებერვალი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ეინდჰოვენი-უტრეხტი.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ამხანაგური მატჩი. შვედეთი-არგენტინა.
**16:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**17:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. VIII ტური. სან პაულუ-იტუანუ.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი. ლივერპული-სუონსი (LIVE).
**21:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ვაალვაიკი-აიაქსი.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. VIII ტური. კორინთიანსი-პალმეირასი (LIVE).
**01:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ვალენსია-პსჟ.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2011-12. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**16:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. VII ტური. მონტეპასკი-კახა ლაბორალი.
**18:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჰარლიქვინზი-ბიარიცი.
**20:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი (LIVE).
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**23:00** საკალათბურთო ღამე GMG-სპორტზე: NBA ACTION, ოვერტაიმი, შაკის გუნდი-ბარკლის გუნდი, კონკურსები...
**05:00** კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მემფისი. აშშ.
**17:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**17:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**20:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ჩიკაგო.
**22:30** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. დანია-ესპანეთი.
**23:55** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. ტიგრე-ბოკა ხუნიორსი (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 13 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 9 | 11 | (წვიმა) |
| ბათუმი | 9 | 9 | (წვიმა) |
| ფოთი | 6 | 8 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 7 | 11 | (წვიმა) |
| გორი | 2 | 9 | (წვიმა) |
| თელავი | 4 | 13 | (მზე) |
| სიღნაღი | 2 | 12 | (მზე) |
| გუდაური | -5 | 0 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -3 | 2 | (თოვლი) |
| ბორჯომი | 3 | 7 | (წვიმა) |
| მესტია | -4 | 2 | (თოვლი) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2097 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6568 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5685 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5018 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# სერენა პირველია



სერენა უილიამსი

გუშინ, დოჰას უმაღლესი კატეგორიის ტურნირმა კულმინაციას მიაღწია. ბოლო ორი დღის განმავლობაში გაიმართა მერვედფინალური და მეოთხედფინალური ეტაპის მატჩები და WTA-მ კლასიფიკაციის ახალი ლიდერი მიიღო. თუმცა ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ...

მერვედფინალში **მარია შარაპოვა კლარა ზაკოპალოვას** ხვდებოდა და მატჩი ზედიზედ სამი გეიმის აღებით დაიწყო, მაგრამ რუსი მთელი შეხვედრა ძლიერ ქარს ებრძოდა, რის გამოც ჩაწოდება უჭირდა და ცხრა ორმაგი შეცდომა დაუგროვდა. თუმცა, საბოლოო ჯამში, შარაპოვას სერიოზული პრობლემა არ ჰქონია – ის კარნახობდა თამაშს თავის მეტოქეს. მართალია, მარიამ სემი ბრეიკი დაუთმო ზაკოპალოვას, მაგრამ თავად ორჯერ მეტი ბრეიკი დააფიქსირა – 6:3, 6:3.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ვიქტორია აზარენკამ** უფრო კარგად აუღო ალღო რთულ პირობებს, რამდენიმე რთული გეიმი მოუგო **კრისტინა მაკჰეილს** და საბოლოოდ, "მშრალი" ანგარიშით გაიმარჯვა – 6:0, 6:0. ასეთი ანგარიში ამ სეზონში მეხუთედ დაფიქსირდა. თანაც ასე იგებენ შეხვედრებს მხოლოდ ტოპ-ათეულის წევრები – ორჯერ ეს გააკეთა შარაპოვამ და თითოჯერ **აგნიეშკა რადვანსკამ** და **სერენა უილიამსმა**.

მსოფლიოს პირველი ნომრისთვის ბრძოლაში ფავორიტმა - უილიამსმა ბოლოსწინა ნაბიჯი გადადგა WTA-ის რეიტინგში ლიდერობისთვის. შეგახსენებთ, რომ თუ ამერიკელი პირველ საფეხურზე ასვლას მოახერხებს, ის გახდება ქალთა ჩოგბურთის ყველაზე ასაკოვანი ლიდერი ისტორიაში. მერვედფინალში **ურსულა რადვანსკამ** ვერ გაუწია წინააღმდეგობა სერენას. პირველ სეტში პოლონელმა საერთოდ ვერც ერთი გეიმი ვერ აიღო, მეორეში კი ორი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ სერენამ საჭირო დროს მოუმატა და 57 წუთში დაასრულა მატჩი – 6:0, 6:3. ამერიკელის შემდეგი მეტოქე **პეტრა კვიტოვა** უნდა ყოფილიყო და ჩეხი დამარცხების შემთხვევაში, WTA-ის კლასიფიკაციაში ლიდერი შეიცვლებოდა.

ტოპ-ათეულის მეოთხე წარმომადგენელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** ზედიზედ მეექვსედ დაამარცხა სერბი **ანა ივანოვიჩი**. ამ უკანასკნელმა ძალიან ცუდად დაიწყო შეხვედრა და პოლონელმა სწრაფად აიღო პირველი პარტია, მაგრამ მეორე სეტში სიტუაცია შეიცვალა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ივანოვიჩმა სეტზე ჩაწოდების უფლებაც მიიღო, მაგრამ საკუთარი შეცდომებით მეტოქეს ბრეიკი გააკეთებინა. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც დაძაბულ ბრძოლაში უფრო იღბლიანი რადვანსკა აღმოჩნდა – 6:1, 7:6(6).

■ ■ ■

გუშინ, მოსახდენი მოხდა. სერენა უილიამსმა პრაქტიკულად წაგებული მატჩი გადაარჩინა კვიტოვას წინააღმდეგ და დაბრუნდა WTA-ის კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე. პირველი ორი პარტია ჩოგბურთელებმა ერთნაირი ანგარიშით მოიგეს - 6:3, მესამე პარტიაში კი ჩეხი 4:1 დაწინაურდა. თითქოს, სერენას რეიტინგში გალიდერება ისევ უნდა გადადებულიყო, მაგრამ ამერიკელმა ზედიზედ სამი გეიმის აღებით პარტია გადაარჩინა, 4:5-ზე კი ისევ მიჯრით სამი გეიმი აიღო და გაჭირვებით გააღწია ნახევარფინალში. სწორედ ამ ეტაპზე გასვლა სჭირდებოდა უილიამსს აზარენკასთვის ლიდერობის წასართმევად.

# რაფაელი მეოთხედფინალშია

**რაფაელ ნადალი** სან პაულუს ტურნირში ჩაება. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მერვედფინალში ბრაზილიელი **ჟოაო სოუზას** წინააღმდეგ ითამაშა, რომელიც მსოფლიოს 140-ე ნომერი გახლავთ.

26 წლის ესპანელმა ორ სეტში მოამთავრა საქმე - 6:3, 6:4. ნადალმა თითო პარტიაში თითო ბრეიკი აიღო და არც ერთხელ არ წაუგია საკუთარი მოწოდება. გარდა ამისა, რაფას ანგარიშზე იყო ხუთი ეისი და ორი ორმაგი შეცდომა. მატჩი საათი და 18 წუთი გაგრძელდა.

გუშინ, გვიან ღამით, ნადალი მეოთხედფინალში უნდა შეხვედროდა არგენტინელ **კარლოს ბერლოკს**, რომელმაც ესპანელი **ალბერტ რამოსი** გამოთიშა ბრძოლას.



რაფაელ ნადალი

ტრაგედია



პისტორიუსი სასამართლოში

# განზრახ მკვლელობა იყო?

## ოსკარ პისტორიუსის მდგომარეობა მძიმდება

მოულოდნელი განვითარება მიეცა იმ სკანდალს, რომელმაც უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ლაპარაკია ორი დღის წინანდელ ინციდენტზე, როცა ქალაქ პრეტორიაში ცნობილმა მძლეოსანმა-ამპუტანტმა **ოსკარ პისტორიუსმა** საკუთარი შეყვარებული გამოასალმა სიცოცხლეს.

სამხრეთაფრიკელმა პროკურორმა **ჯერი ნელმა** განაცხადა, რომ ბრალდების მხარე მოითხოვს პისტორიუსის შეყვარებულის მკვლელობა წინასწარ განზრახულ დანაშაულად გამოცხადდეს. ნელმა ამის შესახებ სასამართლოს დარბაზში გამოაცხადა, სადაც უნდა გადაეწყვიტათ პისტორიუსის თავდებში განთავისუფლების საკითხი, მაგრამ მოსამართლემ განხილვა 19 თებერვლისთვის გადადო.

თუ დამტკიცდება, რომ საქმე ეხება განზრახ მკვლელობას, პისტორიუსისთვის რთული იქნება თავდებით განთავისუფლების მიღწევა. სამხრეთაფრიკული კანონების თანახმად, ასეთ შემთხვევაში სპორტსმენის ადვოკატებს მოუწევთ განსაკუთრებული გარემოებების ჩამოთვლა, რაც პისტორიუსს ციხიდან გამოსვლის საშუალებას მისცემს.

პარალიმპიური თამაშების ვარსკვლავმა დარბაზში ცრემლები ვერ შეიკავა. მისი ადვოკატის თქმით, პისტორიუსის გონება „ძალიან არის ტრავმირებული".

ოსკარის შეყვარებულის - 30 წლის **რივა სტინკამპის** მკვლელობა 14 თებერვალს, ღამით მოხდა. აბაზანის კარს ამოფარებულმა მძლეოსანმა ქალს პისტოლეტიდან ესროლა და ოთხი ჭრილობა მიაყენა, მათ შორის, თავისა და მკერდის არეში.

თავდაპირველად იტყობინებოდნენ, რომ სტინკამპი პისტორიუსს სიურპრიზს უმზადებდა, მორბენალმა კი ქალი მძარცველად მიიღო და ცეცხლი გახსნა. თუმცა პოლიცია არ ადასტურებს ამ ინფორმაციას. სამხრეთაფრიკული გამოცემის - Beeld-ის ცნობით, სტინკამპის მკვლელობამდე ორი საათით ადრე, მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს სპორტსმენსა და მის გოგონას შორის ხმამაღალი ჩხუბის გამო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608